რუსეთის ფრონტზე ჭერჭეროზით უამინდობაა A2 | ესენიც ბავშვები არიან A8 | "საოჯახო ტოტოს" ცხრილი B6-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 15 დეკემბერი, 2003 წელი. №323 (535)

ფასი 50 თეთრი

# გიორგი ბარამიძეს პანკისი "დანებდა"

გიორგი ასანიშვილი

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, კრიმინოგენული "ეპიდემიის" კერებიც. მაგალითად, თბილისი, ტრადიციულად, სიმშვიდისა და სტაბილიზაციის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ხოლო პანკისის ხეობა, "კრაზანების ბუდედ" ითვლებოდა. დღეს პირიქით არის - მაშინ, როდესაც საქართველოს დედაქალაქში დამნაშავეთა სამყაროს არნახული გააქტიურება იგრძნობა, პანკისის ხობაში სიტუაცია დაუჯერებლად მშვიდად გამოიყურება.*

გაგრძელება A2 გვერდზე

*პოლიტიკა*

## საქართველო ერთიანი დელეგაციით გაემგზავრება ბაქოში

აჭარის ლიდერმა ჰეიდარ ალიევისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად ბაქოში გამგზავრება გადაწყვიტა. შესაბამისად, ზურაბ ჟვანიასა და საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის ვიზიტმაც რამდენიმე დღით, სავარაუდოდ ოთხშაბათისათვის გადაიწია.

A3

*ეკონომიკა*

## ბიზნესი და ხელისუფლება ხვალ...

"მე ოლიგარქებისგან და ბიზნესმენებისგან ვალდებულებები არ ამიღია" - მომავალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება, რომელიც რამდენჯერმე გააჟღერა მან საზოგადოების წინაშე, გახლავთ ის ძირითადი მესიჯი, რომელიც ქართველ ბიზნესმენთა გასაგონად იყო ნათქვამი.

A4

*უცხოეთი*

## ევროკავშირი იმედიანადაა

1991 წლის მაასტრიხტის სამიტს ერთიანი ევროპის ისტორიაში გარდამტეხი ეწოდა, რადგან ამ სამიტზე ოფიციალურად გამოცხადდა ევროკავშირის შექმნა და ინტეგრაციამ ახალი სფეროები, განსაკუთრებით - უსაფრთხოება და ერთიანი საგარეო პოლიტიკა მოიცვა.

A5

*ამინდი*

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | |
| ქუთაისი | 16 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 14 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 12 | |
| ზუგდიდი | 16 | |
| გორი | 11 | |
| ახმეტა | 12 | |
| ჭიათურა | 13 | |
| გაგრა | 12 | |
| სამტრედია | 16 | |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1450 |
| ევრო | 2.6263 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7514 |
| რუბლი | 0.0729 |

# ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და სუსტი ხელისუფლების კომბინაცია

**ინტერვიუ სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების უფროს ექსპერტთან, ეთნიკური კონფლიქტებისა და რეგიონული უსაფრთხოების პროექტის დირექტორთან გეილ ლაპიდუსთან**

ეკა კვესიტაძე
*სტენფორდიდან*

**- როგორ შეაფასებდით იმას, რაც საქართველოში არჩევნების შემდეგ მოხდა?**

- ეს ჩემთვის ძალიან დრამატული და მოულოდნელი მოვლენები იყო. პირადად მე, როგორც მეცნიერი, ამას რევოლუციას ვერ დავარქმევდი, ეს უფრო ლიდერების შეცვლა იყო, როცა პროცესები კონსტიტუციის ფარგლებს არ გასცდენია.

ბოლო პერიოდში საქართველო სტაგნაციაში იყო შესული და ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება შეწყვიტა. ასეთი ჩიხიდან გამოსავალი და ახალი გზა განვითარებისაკენ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი არჩევნები შეიძლება გამხდარიყო.

იმ მოვლენებმა რასაც არჩევნების შემდეგ ჰქონდა ადგილი, ძალიან ბევრი რამე შეცვალა მოკლე დროში. მან ერთდროულად სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა ქვეყანა და, ამასთანავე, ბევრი ახალი შესაძლებლობა გაუხსნა.

**- რა არის ამ ეტაპზე მთავარი გამოწვევები ქვეყნისთვის და რა არის ის მთავარი შანსი, რომელიც ამ რევოლუციამ მოიტანა?**

- პირველ რიგში, ახალ ლიდერებს აქვთ იმის შანსი, რომ ის პრობლემები მოაგვარონ, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის წინსვლას ამუხრუჭებდა. მთავარი პრობლემა ამ ეტაპზე კორუფციის ის უზარმაზარი მასშტაბებია, რომელმაც ჩაკლა ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობები და უამრავი სოციალური პრობლემა წარმოშვა. ყველაფერმა ამან კი ძველი ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ნაკლებ პოპულარულ და არალეგიტიმურ ძალად აქცია.

ახალი ლიდერების მზადყოფნა, ებრძოლონ კორუფციას, ხელისუფლებაში მყოფი კორუმპირებული ჩინოვნიკები შეცვალონ ახალი, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული ადამიანებით, თავისთავად უკვე ახალი შესაძლებლობების უზარმაზარ სივრცეს ხსნის ქვეყნისთვის.

გამოწვევა, რომლის წინაშე ახალი ხელისუფლება აღმოჩნდა, უზარმაზარია. პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ, ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ ქვეყნის მართვისათვის მომზადებულიყვნენ. ეს მაშინ, როცა მათ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დახვდათ, როგორიც არის, მაგალითად, უზარმაზარი საბიუჯეტო დეფიციტი და შეუსრულებელი სახელმწიფო ვალდებულებები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "თქვენ გაქვთ საფუძველი, ამაყად ატაროთ ჯარისკაცის მუნდირი!"

**საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის გამოსვლა გამოსაშვებ სამხედრო აღლუმზე**




აღლუმი რესპუბლიკის მოედანზე.

# სადამ ჰუსეინი დაპატიმრებულია

**ის დაღლილი და ბედთან შეგუებული იყო**

A5





REUTERS

# ქართული გაკვეთილები უკრაინელებისთვის

სოფო ბუკია

მემარჯვენე ცენტრისტულმა ბლოკმა "ჩვენი უკრაინა" და პოლიტიკურმა გაერთიანება "ნაციონალურმა მოძრაობამ" შაბათს მიიღეს შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ. დოკუმენტს ხელს აწერენ "ჩვენი უკრაინის" ლიდერი, უკრაინის პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკო და საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი. დოკუმენტში დეკლარირებულია ორივე ქვეყნის სწრაფვა კანონის უზენაესობისკენ, სახელმწიფოში საზოგადოებრივი კონტროლისკენ, სიტყვის თავისუფლებისკენ, კერძო საკუთრების დაცვისკენ. ხაზგასმულია, აგრეთვე, საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობების განვითარებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის აუცილებლობა. მხარეებმა აღნიშნულ დოკუმენტში აქცენტი გააკეთეს ორი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და ხელშეუხებლობის, ასევე ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის აუცილებლობაზე. "ჩვენი უკრაინა" და "ნაციონალური მოძრაობა" სახელმწიფო მართვის კლანურ-ოლიგარქიული მეთოდის, ტოტალიტარიზმის, სახელმწიფო შოვინიზმის წინააღმდეგ გამოდიან და ერთმანეთს ერთგულებასა და თანამშრომლობას ჰპირდებიან.

**"ჩვენს პოლიტიკურ ძალებს შორის კავშირის მთავარი მიზანია საქართველო-უკრაინის ურთიერთობების გაღრმავება და ჩვენი ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დაჩქარება,"** – აღნიშნა იუშჩენკომ.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი საქართველოს ერთ-ერთ პრიორიტეტად უკრაინასთან მეგობრობას ასახელებს. **"ვინც არ უნდა გახდეს უკრაინის პრეზიდენტი 2004 წელს, მე მზად ვარ ყველასთან ვითანამშრომლო,"** – აცხადებს სააკაშვილი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე ღიად დაუჭირა მხარი ვიქტორ იუშჩენკოს გაპრეზიდენტებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იწყება ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია

*დღეიდან ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია უნდა დაიწყოს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, ამომრჩეველმა საარჩევნო უბანს უნდა მიაკითხოს და შეავსოს ის ფორმა, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისთვის არის შედგენილი. ნებისმიერ ჩვენგანს ამ პროცედურის გავლა 21 დეკემბრამდე შეუძლია.*

თამარ მჭედლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა ბოლო დღეებში ვერ მიიღო შესწორებები საარჩევნო კოდექსში, რომელიც ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესს შეეხება, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სრულად აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და ამომრჩეველთა ერთიანი სიების დადგენა თავად გადაწყვიტა. ბუნებრივია, ამ პროცესში მას ადგილობრივი საუბნო საარჩევნო კომისიები, პოლიციის რაიონული განყოფილებები და თვითმმართველობის ორგანოები დაეხმარებიან. რაც შეეხება თავად ფორმებს. მათ საუბნო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი დაამოწმებს. ფორმის შევსებისას ამომრჩეველს შეეძლება პირადობისა და საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობების გამოყენება.

ამასობაში, შესაძლოა, წინასწარი რეგისტრაციის პროცესს სერიოზული საფრთხე დაემუქროს. საქმე ის არის, რომ დღეს თბილისის საოლქო სასამართლომ, წესით, უნდა განიხილოს სოციალისტური პარტიის მიერ შეტანილი სარჩელი, სადაც პარტიის წარმომადგენლები სასამართლოს ცესკო-ს იმ დადგენილების გაუქმებას სთხოვენ, რომელიც სწორედ ამ წესს ეხება. **"კოდექსში ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი მკაფიოდაა განსაზღვრული. ცესკო-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია რომელიმე წესის დაზუსტება, თუ კოდექსი ამის თაობაზე არაფერს ამბობს",** - აცხადებს მინდელი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აზერბაიჯანი პრეზიდენტს ეთხოვება

დავით აფრასიძე

დღეს ბაქოში აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტს, ჰეიდარ ალიევს დაკრძალავენ. ჰეიდარ ალიევი 80 წლის ასაკში კლივლენდის კლინიკაში გარდაიცვალა, სადაც იგი 6 აგვისტოდან იმყოფებოდა. აზერბაიჯანი აზიური ტრადიციით ემშვიდობება ყოფილ პრეზიდენტს: ქვეყანაში ერთკვირიანი გლოვაა გამოცხადებული და უამრავ სტუმარს ელიან.

ალიევი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის არქიტექტორად მიიჩნევა. საბჭოთა კავშირის დაშლა აზერბაიჯანში ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე მიმდინარეობდა. აიაზ მუტალიბოვის კომუნისტური რეჟიმი და აბულფაზ ელჩიბეის ქაოტური მმართველობა ქვეყანაში დამანგრეველი შედეგებით დასრულდა. 1993 წელს ხელისუფლებაში დაბრუნებულმა ალიევმა თანდათანობით შეძლო დეზინტეგრაციული პროცესების შეჩერება და შეიარაღებული დაჯგუფებების ნეიტრალიზაცია, რასაც ქვეყანაში სახელმწიფოს შენების დაწყება მოჰყვა. ალიევის სახელს უკავშირდება აზერბაიჯანის საერთაშორისო აღიარების მოპოვება და დასავლეთთან, განსაკუთრებით აშშ-სთან ურთიერთობების გააქტიურება. მისი პრეზიდენტობის დროს აზერბაიჯანში ჯერ კიდევ ელჩიბეის დროს დაწყებული ენერგეტიკული პროექტების განხორციელება დაიწყო. ამ პროექტებმა ძირეულად შეცვალა რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურა სამხრეთ კავკასიაში. ერთმანეთს დაუახლოვდნენ აზერბაიჯანი და საქართველო, გააქტიურდა თურქეთისა და აშშ-ს როლი. საყურადღებოა, რომ უკვე კონკრეტულად განიხილება აზერბაიჯანში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგების საკითხი.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საზოგადოება

B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6-B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## თამაზ ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნას აფხაზეთის ინვალიდ მეომართა კავშირი უერთდება

საქართველოს მოქალაქეთა სოციალური დაცვის კავშირი, აფხაზეთის ინვალიდ-მეომარ ტრანსპორტელთა კავშირი „აბჯარი“ და აფხაზეთის ინვალიდ მეომართა კავშირი „უშბა“ მხარს უჭერენ აფხაზეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებული საბჭოს საპროტესტო აქციას და უერთდებიან მის მოთხოვნას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის უპირობო გადადგომისა და დამატებითი არჩევნების ჩატარების შესახებ, - ნათქვამია ამ ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **მედია-ნიუსი**

## დიდი ბრიტანეთი საქართველოს სამშვიდობოთა მომზადებაში დაეხმარება

ქართველ სამშვიდობოთა მოსამზადებლად, საქართველოს მარტში დიდი ბრიტანეთიდან 6 ინსტრუქტორი ეწვევა, რომლებიც 5 კვირას იმუშავებენ.

ამის შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ნატო-ს პროგრამის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ირაკლი ბატკუაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, დაგეგმილია 45 მშვიდობისმყოფელის მომზადება, რომლებიც შემდგომში ინსტრუქტორთა რანგში წარდგებიან. **პრაიმ-ნიუსი**

## ქუთაისის ანტიკორუფციული საბჭო ფალიანის გადადგომას მოითხოვს

ქუთაისის ანტიკორუფციულმა საბჭომ, რომელიც 13 წევრისაგან შედგება, გუშინ თვითლიკვიდაციის შესახებ გამოაცხადა. საბჭოს 10-მა წევრმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. "არც ერთი ჩვენი რეკომენდაცია და ინიციატივა ქუთაისის მერიისათვის მისაღები არ აღმოჩნდა. ამიტომაც, ამგვარი გადაწყვეტილება მივიღეთ," - განაცხადა სპეციალურ ბრიფინგზე ქუთაისის ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარემ გიგა შუშანიამ. ანტიკორუფციული საბჭოს ყოფილი წევრები ქალაქის მერის ნუგზარ ფალიანის გადადგომას მოითხოვენ, რომელსაც, მათი მტკიცებით, სერიოზული საბიუჯეტო დარღვევები აქვს დაშვებული. ამ მიზნით, ქუთაისის არასამთავრობო ორგანიზაციები ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ. ანტიკორუფციული საბჭო ქუთაისში მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა. **ინტერ-პრესი**

## შაშიაშვილი ბრძოლას გააგრძელებს

თემურ შაშიაშვილი საქართველოს პრეზიდენტობისთვის ბრძოლას გააგრძელებს და კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს. ამის შესახებ მან გუშინ ქუთაისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. "გავიმარჯვებ თუ დავმარცხდები, ამ ბრძოლას ყველა შემთხვევაში ექნება აზრი," - აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა. იმერეთის ყოფილმა გუბერნატორმა ბათუმში ვიზიტის დეტალებზეც ისაუბრა. შაშიაშვილმა ვიზიტი სასარგებლოდ შეაფასა და განმარტა, რომ თუ მანამდე მისთვის "ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული", ბათუმში სტუმრობის შემდეგ ის "ზოგ საკითხში საბოლოოდ გაერკვა". "მივხვდი, რომ მე და ასლან აბაშიძეს ცენტრი კი არ გვაერთიანებდა, პირიქით, გვაპირისპირებდა," - განაცხადა შაშიაშვილმა, რომლის შეფასებით, ეს "მოქალაქეთა კავშირის" მომაკვდინებელი იდეოლოგია" იყო. თემურ შაშიაშვილი აჭარაში 12 დეკემბერს იმყოფებოდა და რეგიონის ლიდერს ასლან აბაშიძეს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

## რუსეთის ფრონტზე ჯერჯერობით უამინდობაა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ.კორ.მოსკოვში*

რატომ აუქმებს მოსკოვი აჭარასთან სავიზო რეჟიმს? - ამ შეკითხვაზე პასუხი სავიზო რეჟიმივით გამარტივებულია: იმიტომ, რომ მოსკოვისა და ბათუმის შეხედულება საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე ერთმანეთს ემთხვევა. ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის წინ, ანუ რუსეთ-საქართველოს ურთიეთრობების სუფთა ფურცლიდან დაწყებამდე, მოსკოვის სავიზო დემარში კარგს არაფერს უქადის ამ ურთიერთობებს. მოსკოვთან მთელი რიგი პრობლემების გაჩენის პროგნოზებია. "ჩქარობს საქართველო არჩევნების ჩატარებას, ძალიან ჩქარობს," - ასეთი პოზიცია გაახმოვანა ჩვენთან საუბარში რუსეთის პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა გენადი სელეზნიოვმა. მოსკოველი ექსპერტები ფიქრობენ, რომ ბურჯანაძის ვიზიტის წინ, აჭარასთან სავიზო დემარში დანარჩენ საქართველოსთან ურთიერთობებისათვის ცუდი ფონია.

და მთავარი: მოსკოვს არ სურს მეზობელ საქართველოში პრეზიდენტის პოსტზე იხილოს რადიკალური ქართველი, რომელიც თავისი ნაციონალისტური ლოზუნგებითაა ცნობილი. მოსკოვი აქაც სოლიდარულია აბაშიძესთან. მოსკოვში აბაშიძემ თავის რუს პარტნიორებს გახსნილი ტექსტით უთხრა, რომ სააკაშვილის გამოკლებით, ყველასთან გამართავს დიალოგს.

იყო რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ხაბურძანია 14 დეკემბრის დილით თბილისში ვერ გაფრინდა, დიდთოვლობისა და მოსოკოვური ქარბუქის გამო. ხოლო მოსკოვიდან გაწვეული საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე ზუსტად იმ დროს თბილისიდან ვერ გამოფრინდა. რუსეთის ფრონტზე, ჯერჯერობით, პოლიტიკური უამინდობაა.

### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2003 წლის 17 დეკემბერს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასიათასი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 8.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 5 მაისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2003 წლის 17 დეკემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ” დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

## იწყება ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია

პირველი გვერდიდან



ცესკო პრეზიდენტობის კანდიდატების ხელმოწერებს ამოწმებს.

ამავე დროს, ცესკო-ს თავმჯდომარე კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ იმავე საარჩევნო კანონის თანახმად, ამომრჩეველთა სიების ფორმირება მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივაა და, შესაბამისად, მას ამ წესის მიღების უფლება ჰქონდა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვარაუდობენ, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სია 21-დან 27 დეკემბრის ჩათვლით დაზუსტდება. **“იმედი გვაქვს, რომ ამომრჩევლები გამოიჩენენ მაღალ სამოქალაქო აქტივობას და აუცილებლად გაივლიან წინასწარ რეგისტრაციას”,** – აცხადებენ ცესკო-ში.

რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატებს. გუშინ ცესკო-მ რეგისტრაციაში გაატარა “ნაციონალური მოძრაობის” ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილი, “საქართველოს ადვოკატების” თავმჯდომარე ქართლოს ღარიბაშვილი, “მძლეველის” ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ქელეხსაშვილი, “არასამთავრობო ორგანიზაციათა და ინვალიდთა კოალიციის” პრეზიდენტი ზაზა სიხარულიძე და “დავით აღმაშენებლის პარტიის” ლიდერი როინ ლიპარტელიანი.

ორი დღის წინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რეგისტრაციაზე ოფიციალურად უთხრა უარი უშიშროების ექსმინისტრს იგორ გიორგაძეს.

“24 საათი” არაერთგზის წერდა მოვლენების ამდაგვარად განვითარების შესაძლებლობაზე, რადგან სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, იგორ გიორგაძეს ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ უცხოვრია. როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, **“ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი ცესკო-ს იურიდიული განყოფილების დასკვნა გახდა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ წერილს ეყრდნობა. სამინისტროს ცნობით, იგორ გიორგაძეს 1995 წლის 20 ოქტომბრიდან დღემდე საქართველოში არ უცხოვრია, საარჩევნო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად კი, მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არ უცხოვრია და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულოს აღრიცხვაზე, პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის უფლება არ აქვს”.**

თავად იგორ გიორგაძის მხარდამჭერები კი სასამართლოში ჩივილს აპირებენ.

**“იგი ბოლო წლებში საქართველოში ცხოვრობდა და ამჟამადაც სამშობლოში იმყოფება. თუმცა, მისი ადგილსამყოფელის დაკონკრეტებას არ ვაპირებ”,** – აცხადებს ექსმინისტრის წარმომადგენელი ნოდარ გურგენიძე და იქვე დასძენს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის არგუმენტაცია არასაკმარისია და **“პოლიტიკურს უფრო ჰგავს, ვიდრე სამართლებრივს”.**

გუშინ საინფორმაციო სააგენტო “პრაიმ-ნიუსმა” გაავრცელა თავად იგორ გიორგაძის კომენტარი, სადაც უშიშროების ექსმინისტრი აცხადებს, რომ **“ცესკო-ს ეს გადაწყვეტილება მისთვის სავსებით მოსალოდნელი და პროგნოზირებადი იყო. საქართველოში ხელისუფლება მასწავლებლიდან მოსწავლეებს გადაეცათ და ქვეყანაში არაფერი შეცვლილა, ხოლო ნებისმიერი საუბარი, რომ ხელისუფლებაში შევარდნაძის სასტიკი ოპოზიცია მოვიდა, უბრალოდ, ფარსია”.**

## გიორგი ბარამიძეს პანკისი "დანებდა"

პირველი გვერდიდან



პანკისის რეგიონში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა.

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ პანკისის ხეობაში ჩავიდა, რათა პირადად დარწმუნებულიყო, რომ ამ რეგიონიდან საქართველოს მართლაც აღარ ემუქრება კრიმინოგენული "აფეთქების" საფრთხე. მინისტრს იმედი ნამდვილად არ გაცრუებია: დღეს ამ მხარეში, მართლაც, სიმშვიდეა.

თუმცა, იმის თქმა, რომ პანკისის კრიმინალური "ჰეროიკა" სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს და აქ ტყვია აღარასდოს გავარდება, არასწორი იქნება.

"არ წახვიდეთ. ბანდიტები და გარეწრები სოროებში არიან დამალულები და მომენტს ელოდებიან, თავი რომ წამოყონ," - ადგილობრივი მოსახლეობა ასეთ რჩევას აძლევს მინისტრს, რომელიც, თავის მხრივ, ცივი გონებითა და სუფთა ხელებით აპირებს პანკისში შემორჩენილი დამნაშავეების იზოლირებას.

იმას, რომ ბოლო ხანს პანკისის რეგიონში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა, ადგილობრივი ხელისუფალნიც ადასტურებენ. სოფელ დუისის გამგებელი ჯარაფ ხანგოშვილი ირწმუნება, რომ ხეობაში მძიმე დანაშაული უკვე დიდი ხანია, აღარ მომხდარა. იგი ასევე უარყოფს, რომ უკანასკნელ პერიოდში დედაქალაქში გატაცებული პიროვნებები თითქოს ხეობაში შემოიყვანეს.

რაც შეეხება ადრე გატაცებულებს, ხანგოშვილი აცხადებს, რომ მათ შესახებ რაიმე ახალი ინფორმაცია არ გააჩნია და მისთვის უცნობია, იმყოფებიან თუ არა ისინი საერთოდ პანკისის ხეობაში.

შსს მინისტრის "მასპინძელი" სოფლის გამგებელი ირწმუნება, რომ ბოლო ხანს ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ნარკოტიკების ბრუნვა.

"ხალხმა ამოისუნთქა", - დამნაშავეთა სამყაროს მხრიდან ფსიქოლოგიური პრესინგის მოხსნაზე საუბრობს ჯარაფ ხანგოშვილი.

პანკისის ხეობაში ამ სასიკეთო ტენდენციებს მამუკა არეშიძეც ადასტურებს.

თუმცა, ყველაზე უტყუარი ფაქტი იმისა, რომ პანკისში მშვიდობა "იბუდებს", ხადორჰესის მშენებლობის ფინიშის სწორზე გასვლაა. სულ რაღაც ორ კვირაში საქართველოსა და ჩინეთის რესპუბლიკის ხელისუფალთა ერთობლივი "ნაღვაწი", - ხადორჰესი, - მთელ კახეთის რეგიონს მოჰგვრის ენერგეტიკულ შვებას.

შინაგან საქმეთა მინისტრი, პანკისის ხეობაში სტუმრობის დროს, მხოლოდ ერთ რამეს სთხოვდა ყველას, - ჯარისკაცებსაც და ადგილობრივ მოსახლეობასაც: "ცოტაც გაიჭირვეთ, 4 იანვრის არჩევნებს ჩავატარებთ და მერე უფრო უკეთესად მოგხედავთ".

რევოლუციის "კომისრის" ყველამ ირწმუნა: პანკისის მოსახლეობა, თავის მხრივ, გიორგი ბარამიძეს გვერდში დგომას დაჰპირდა.




## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლო დღეს "სოციალისტური პარტიის" მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს განიხილავს. 1999 წლის მოწვევის პარლამენტის "სოციალისტური პარტიის" დეპუტაციამ სარჩელი რამდენიმე დღის წინ შეიტანა და ცესკო-ს მიერ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების კანონიერების დადგენა მოითხოვა. როგორც პარტიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი მინდელმა განაცხადა, სრული საფუძველი არსებობს იმისა, რომ სასამართლომ ცესოკ-ს მიერ დადგენილი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი უკანონოდ გამოაცხადოს, ვინაიდან ის საქართველოს ორგანულ კანონს - "საარჩევნო კოდექსს" ეწინააღმდეგება. "კოდექსში ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი მკაფიოდაა განსაზღვრული. ცესკო-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია რაიმე წესის დაზუსტება, თუ კოდექსი ამაზე არ მიუთითებს," - აღნიშნა მინდელმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აბაშის მოსახლეობის ნაწილმა გუშინ ფოთი-თბილისის ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტა. აქციის 100-მდე მონაწილე თენგიზ კალანდაძეს უჭერს მხარს, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობისთვის იბრძოდა და დამარცხებულად გამოცხადდა. აქციის მონაწილეთა მტკიცებით, "მრეწველების" კანდიდატმა პაატა ქურდოვანიძემ კალანდაძეს 200 ხმა "მოპარა", რის გამოც თავიდან გამარჯვებულად აღიარებული სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატი კალანდაძე ცესკო-მ დამარცხებულად სცნო. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, დღევანდელი აქცია გამაფრთხილებელია და თუ ცესკო "სამართლიანობას არ აღადგენს", კალანდაძის მხარდამჭერები ფართომასშტაბიან გამოსვლებს მოაწყობენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურია რამდენიმე დღეში სტრასბურგში გაემგზავრება და ევროსაბჭოს წარმომადგენლებს შეხვდება. როგორც ბაკურიამ განაცხადა, ვიზიტის მიზანს საქართველოში არსებული "რეალური მდგომარეობის შესახებ" ევროსაბჭოს ინფორმირება წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს დღეებში საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წინასაარჩევნო დამკვირვებელთა მისია ეწვევა მათეას ეორშის ხელმძღვანელობით. როგორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრმა ელენე თევდორაძემ განაცხადა, საქართველოში 4 იანვრისათვის დანიშნულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტმა 9 დეკემბრის სხდომაზე განიხილა. თევდორაძის თქმით, დაუფინანსებლობის გამო იგი სხდომას ვერ დაესწრო, თუმცა მიიღო კომიტეტის მიერ შემუშავებული მემორანდუმი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ საქართველოში ყველაზე აქტუალურ წინასაარჩევნო პრობლემად კვლავ ამომრჩეველთა სიები რჩება. მისივე მონაცემებით, საქართველოში ვიზიტის დროს ევროსაბჭოს წარმომადგენლები საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის გამოგზავნის საკითხსაც განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ელჩი რუსეთში ზურაბ აბაშიძე, რომელიც თბილისში 10 დეკემბერს საგანგებო გამოძახების საფუძველზე ჩამოვიდა, გუშინ მოსკოვში დაბრუნდა. თბილისში ყოფნისას აბაშიძემ კონსულტაციები გამართა საქართველოს საგარეო მინისტრ თედო ჯაფარიძესა და პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესთან; ელჩი მიიჩნევს, რომ საქართველოს რუსეთთან თანამშრომლობის სურვილი აქვს და ამჟამად ორ ქვეყანას შორის არსებობს წანამძღვრები ურთიერთობების განსამტკიცებლად. ცნობილია, რომ საქართველოს ელჩი რუსეთში ხელისუფლების პირველმა პირებმა საკონსულტაციოდ სამშობლოში მას შემდეგ გამოიხმეს, როცა რუსეთმა აჭარის მიმართ გამარტივებული სავიზო რეჟიმი დააწესა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ედუარდ შევარდნაძე კრიტიკას ჯერჯერობით ითმენს

ბაქოში კლივლენდიდან აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ცხედარი გადაასვენეს. ამასთან დაკავშირებით, ბაქოს აეროპორტში დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თავისი მეგობრის, ჰეიდარ ალიევის დაკრძალვაზე დასასწრებად, ბაქოში დღეს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან ნინო ბურჯანაძესთან ერთად გაემგზავრება.

როგორც შევარდნაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ჰეიდარ ალიევი მისი დიდი მეგობარი იყო და მას არ აქვს მორალური უფლება, არ დაესწროს დაკრძალვას. ექსპრეზიდენტის თქმით, იგი ნინო ბურჯანაძეს ტელეფონით დაუკავშირდა და შეუთანხმდა, რომ ბაქოში მასთან ერთად, მისი თვითმფრინავით გაემგზავრება.

ამასთან, ექსპრეზიდენტის თქმით, არ არის გამორიცხული, მასსა და ბურჯანაძეს პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილიც შეუერთდეს და ისინი ბაქოდან ერთად დაბრუნდნენ.

რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას, ედუარდ შევარდნაძის თქმით, ის და ჟვანია "ხავერდოვანი რევოლუციიდან" დღემდე მუდმივად უწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს, რაც "არ არის გასაკვირი და ასეც უნდა იყოს".

გუშინ ექსპრეზიდენტი მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ განცხადებებსაც გამოეხმაურა, თუმცა ამ განცხადებების ავტორები არ დაუკონკრეტებია. "ჯერჯერობით, ეს მოსათმენია და ვითმენ, მაგრამ როცა მოსათმენი აღარ იქნება, შესაბამის რეაგირებას მოვახდენ", - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

რაც შეეხება 4 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცენტრსა და აჭარის რეგიონს შორის შექმნილ პრობლემებს, ექსპრეზიდენტის თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა პრობლემა კონსულტაციების გზით მოგვარდეს და აჭარამ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ეს არჩევნები არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს". "პირადად მე არჩევნებზე აუცილებლად წავალ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ამას ხალისით გავაკეთებ", - დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს კაზაკთა კავშირი" უარყოფს თავის კავშირს რუსულ სპეცსამსახურებთან, — ნათქვამია ქართველ კაზაკთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, მისი თანამდებობიდან გადაყენების და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების მოთხოვნით ორგანიზებულ აქციაში, რუსული სპეცსამსახურების დაკვეთით, კაზაკები მონაწილეობდნენ. „ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ნადარეიშვილის პოლიტიკური კურსი აფხაზეთში იურისდიქციის აღდგენის საკითხში.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვუერთდებით საპროტესტო აქციას და ვაცხადებთ, რომ სრულიად ვიზიარებთ მის მოთხოვნებს“, — აცხადებენ ქართველი კაზაკები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალ კვირას დანიშნულ მთავარი კომიტეტის სხდომაზე "სოციალისტური პარტია" განსაზღვრავს დამოკიდებულებას 4 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებისადმი. როგორც "სოციალისტური პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, მთავარი კომიტეტი გადაწყვეტს პარტიის რეორგანიზაციისა და საპარლამენტო წარმომადგენლობის საქმიანობის ფორმების საკითხებსაც.

ქუცნაშვილმა თავი შეიკავა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პირადი პოზიციების დაფიქსირებისაგან. თუმცა, პარლამენტარის განცხადებით, "სოციალისტთა" გენერალური მდივანი ირაკლი მინდელი აუცილებლად დამტკიცდება პარტიის თავმჯდომრის მოვალეობის შემსრულებლად. **პრაიმ-ნიუსი**

# ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და სუსტი ხელისუფლების კომბინაცია

პირველი გვერდიდან



გეილ ლაპიდუსი.

დღეს საქართველო ძალიან მძიმე და საპასუხისმგებლო მომენტს გადის, ამიტომ მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა ძალები ამ სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენებას შეეცდებიან და ვითარებას დაძაბავენ.

მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო დიდი მხარდაჭერით სარგებლობს დასავლეთისა და ამერიკის მთავრობების მხრიდან. მათ უკვე გამოხატეს სურვილი და მზადყოფნა იმისათვის, რომ ახალ ხელისუფლებას დაეხმარონ.

**რევოლუცია, რომელიც საქართველოში მოხდა, მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებებით პირდაპირ ეთერში გაშუქდა. როგორ გგონიათ, რამ გამოიწვია ასეთი დიდი ინტერესი იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც ძალიან იშვიათად ხვდებოდა წამყვანი ტელეკომპანიების ჰედლაინებში?**

საქართველო ყოველთვის იმსახურებდა საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესს, მაგრამ ბოლო წლებში ამ ინტერესმა იკლო, რისი მიზეზიც ერთგვარი იმედგაცრუება იყო იმ პროცესებით, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობდა. დასავლეთში მიაჩნდათ, რომ საქართველოს ყველაფერი ჰქონდა საიმისოდ, პოსტ-საბჭოთა სივრცეში წარმატებული ქვეყნის პრეცედენტი შეექმნა. მაგრამ იმ უამრავმა პრობლემამ, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში დაგროვდა, პირველ რიგში - კორუფციამ და ხელისუფლების უუნარობამ, ამ პრობლემებისათვის მოევლო, ძალიან გაართულა საქართველოს მთავრობისათვის დასავლეთის მხარდაჭერა.

ახლა კი გაჩნდა იმის იმედი, რომ შესაძლოა, ეს პრობლემები ახალმა ხელისუფლებამ ენერგიულად გადაჭრას. ძალიან საინტერესოა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში პირველად, ქვეყნის სათავეში ის ახალგაზრდა ლიდერები მოვიდნენ, რომლებიც პოსტ-საბჭოთა თაობას წარმოადგენენ.

ეს არის ახალგაზრდა პოლიტიკოსების ჯგუფი თანამედროვე იდეებით, მიდგომებითა და, რაც მთავარია, უზარმაზარი ენერგიით.

გარდა ამისა, ის, რამაც დასავლეთის დიდი ინტერესი გამოიწვია, ბუნებრივია, ეს ამ მოვლენების მშვიდობიანად დასრულება იყო. თავიდან ყველას ჰქონდა დიდი შიში, რომ ყველაფერი შეიძლებოდა ძალიან ცუდად, დიდი მსხვერპლით დამთავრებულიყო. მით უმეტეს, რომ ამის გამოცდილება საქართველოში სამოქალაქო ომის სახით უკვე არსებობდა.

მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. განსაკუთრებული ყურადღება კი ღირსების იმ დიდმა გძნობამ მიიპყრო, რომელიც ამ დაპირისპირებაში ორივე მხარემ გამოიჩინა.

ძალიან დასაფასებელია პრეზიდენტ შევარდნაძის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. ამით მან შეძლო, მოვლენების ცუდი სცენარით განვითარება თავიდან აეცილებინა და ღირსეულად წასულიყო.

**საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები თანდათან სცილდებიან დემოკრატიული განვითარების გზას და სულ უფრო მეტად ემსგავსებიან ავტორიტარულ რეჟიმებს.**

**ამ ფონზე, რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს საქართველოში მომხდარმა ხავერდოვანმა რევოლუციამ. შეიძლება თუ არა, ის მაგალითი გახდეს იმ ძალებისათვის, რომელთაც თავის ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებებისათვის ბრძოლა სურთ.**

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბალტიის რესპუბლიკებს, საქართველო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისაგან ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სამოქალაქო საზოგადოებით, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში.

თქვენ ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოებისა და სუსტი ხელისუფლების კომბინაცია გქონდათ. როდესაც ბოლო პერიოდში ამბობდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება ავტოკრატიული გახდა, ლაპარაკი არ შეიძლება ყოფილიყო ნამდვილ ავტოკრატიაზე, როგორიც ეს აზერბაიჯანის, ცენტრალური აზიის ქვეყნების ან, თუნდაც, რუსეთის შემთხვევაში გვაქვს. ის, რაც საქართველოს ამ ქვეყნებისაგან ყოველთვის გამოარჩევდა - ეს თავისუფალი პრესა, პლურალისტური პოლიტიკური სპექტრი და ძლიერი არასამთავრობო სექტორი იყო, რამაც, საბოლოო ჯამში, მოიტანა კიდეც ეს რევოლუცია.

ვფიქრობ, ამ პროცესების დუბლირება ვერსად ვერ მოხდება, რადგან ასეთი კომბინაცია - ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და სუსტი ხელისუფლება - სხვაგან არ არსებობს.

თუმცა, ვფიქრობ, საქართველოს მაგალითი ამ ქვეყნების ოპოზიციურ ჯგუფებს გაამხნევებს. მოსალოდნელია, რომ მსგავსი პროცესები უკრაინასა და მოლდოვაშიც დაიწყოს.

# მიმართვა აჭარის მოსახლეობას და ყველას, ვისთვისაც საქართველო ერთადერთი სამშობლოა

ბოლო დროს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, რაც გამოიხატა საბჭოური მართვის სისტემის ნგრევაში, შექმნა ისტორიული შანსი ქართული სახელმწიფოს შენებისა. გაჩნდა შესაძლებლობა, საქართველო კვლავ დაუბრუნდეს მისთვის ბუნებრივ გარემოს – ცივილიზებულ სამყაროს.

მოახლოებულია საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მთელი საქართველო ემზადება, განურჩევლად იმისა, თუ რომელ კანდიდატს გამოუცხადებს ნდობას.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ყოვლად დაუშვებელია საქართველოს რომელიმე რეგიონის ხელმძღვანელობა თვითნებურად უკრძალავდეს ხალხს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, რადგან ეს იქნება მკაფიო ბზარი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენების გზაზე.

მეცხრამეტე საუკუნეში, სწორედ აჭარის მკვიდრთა თავგანწირული ბრძოლა დედა-სამშობლოში დასაბრუნებლად, გვაძლევს იმედსა და საფუძველს რწმენისა, რომ აჭარა იყო, არის და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

ერთად მოვთხოვოთ აჭარის რეგიონის ხელმძღვანელობას, რომ საქართველოს მოქალაქეებს აჭარაში მიეცეთ არჩევანის გაკეთების უფლება და საშუალება ქართული სახელმწიფოს შენებაში მონაწილეობისა.

დღეს გვეძლევა შესაძლებლობა, რომ ერთად ვაშენოთ საქართველოს მომავალი. ეს ჩვენი ისტორიული ვალია.

სამოქალაქო საზოგადოება “დარბაზი”

მთავარი საბჭო:

1 დარბაზის საპატიო პრეზიდენტი – რამაზ ჩხიკვაძე
2 ნანა ალექსანდრია;
3 ანა კორძაია-სამადაშვილი;
4 შოთა ნადირაძე;
5 გოგი ოჩიაური;
6 დათუნა მუსხელიშვილი;
7 ზურაბ კიკნაძე;
8 გიორგი შენგელაია;
9 ვანო კილურაძე;
10 ვახუშტი კოტეტიშვილი;
11 დავით მაღრაძე (საბჭოს თავმჯდომარე)
12 დავით უსუფაშვილი

# საქართველო ერთიანი დელეგაციით გაემგზავრება ბაქოში

*აჭარის ლიდერმა ჰეიდარ ალიევისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად ბაქოში გამგზავრება გადაწყვიტა. შესაბამისად, ზურაბ ჟვანიასა და საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის ვიზიტმაც რამდენიმე დღით, სავარაუდოდ, ოთხშაბათისათვის გადაიწია.*

ლელა მჭედლიძე

ბაქო შეიძლება ქართული პოლიტიკური სპექტრის ეპიცენტრადაც კი გადაიქცეს. მართალია, სახელმწიფო მინისტრი იქ გამგზავრებას არ აპირებს, მაგრამ მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძესთან ერთად, ბაქოში გაფრენის სურვილი ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა. მას საამისოდ თავისი არგუმენტი აქვს. **“საქართველოს ერთი სახელმწიფო დელეგაცია უნდა ჰყავდეს,”** - აცხადებს იგი. თავისი სურვილი მან ბურჯანაძესთან სატელეფონო საუბრისასაც დააფიქსირა. თავის მხრივ, სახელმწიფო კანცელარიაში ყოფილი პრეზიდენტის ასეთ განცხადებას საკმაოდ თბილად შეხვდნენ. დღის ბოლოსთვის მოქმედ პრეზიდენტთან დაახლოებული პირები უკვე დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ ნინო ბურჯანაძე ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ბაქოში გაფრენაზე თანახმა იყო. თავის მხრივ, ედუარდ შევარდნაძე მომავალ არჩევნებში აჭარის მონაწილეობის მომხრეთა რიგებშია.

შესაძლოა, ბაქოში ყოფნისას მან ახალ ხელისუფლებას აბაშიძესთანაც “შეაწიოს” სიტყვა.

იმ პრეტენზიების ნუსხას, რომელიც რეგიონის მხრიდან ცენტრისადმი არსებობს, კიდევ ერთი დაემეტა. აჭარის ლიდერთან, უკვე პრეზიდენტობის “რიგითი კანდიდატის” სახელით, მოსალაპარაკებლად ჩასულმა თემურ შაშიაშვილმა აჭარის ლიდერის ცენტრზე “საკადრო” განაწყენება გაიხსენა. თუ კონკრეტულად რა თანამდებობის სურვილი აწუხებდა ან აწუხებს დღემდე აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელს, თემურ შაშიაშვილს არ დაუკონკრეტებია. ამას არც თავად აჭარის წარმომადგენლები აცხადებენ. **“ჩვენ რაიმე კონკრეტული სია ან თანამდებობის ჩამონათვალი კი არა გვაქვს, უბრალოდ, ეს პრეტენზია ერთ-ერთია, რაც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ არსებობდა. ბურჯანაძესთან შეხვედრის დროს ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მომავალ შეხვედრებზე საუბარი უკვე ამ საკითხზეც იქნება”,** - აცხადებს ჰამლეტ ჭიპაშვილი.

# ქართული გაკვეთილები უკრაინელებისთვის



ზაურ ბულაშვილის ფოტო

სააკაშვილი უკრაინელებს უზიარებს "ხავერდოვან" გამოცდილებას.

პირველი გვერდიდან

“ჩვენი უკრაინა”, რომელიც ათი პარტიისგან შედგება, დღეს ყველაზე რეიტინგული საარჩევნო ბლოკია უკრაინაში. მას მხარს უჭერს მოსახლეობის, დაახლოებით, 22 პროცენტი, რაც უკრაინისთვის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. უკრაინის ექს-პრემიერი ვიქტორ იუშჩენკო კი მთავარ ოპოზიციონერად და პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიაზრება. სააკაშვილის ვიზიტს უკრაინაში, ისევე როგორც ქართულ “ვარდების რევოლუციას”, უკრაინის პრესა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს. “ქართული გაკვეთილი უკრაინისთვის” - ასეთი სათაურით ბეჭდავს სტატიას “უკრაინსკაია პრავდა” და აღნიშნავს, რომ ქართული რევოლუცია საკმაოდ დიდი გაკვეთილია “სულ მცირე, ორი ადამიანისთვის უკრაინაში. პირველია კუჩმა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს, რომ ძალაუფლება შეიძლება ჩამოერთვას, მისი საპრეზიდენტო სკამი კი ფანჯრიდან ისროლონ. ერთადერთი პასუხი, რომელსაც კუჩმა ხალხს გასცემს, იქნება ან გადადგომა ან ცეცხლის გახსნა დემონსტრანტების მისამართით. ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა კი თითქმის ყოველთვის წაგებულია. ქართული გაკვეთილის მეორე ადრესატი ვიქტორ იუშჩენკოა. ოპოზიციონერმა იუშჩენკომ უკვე იცის, რომ არჩევნებში გამარჯვებას მას ლანგარზე არავინ მიართმევს, გამარჯვება მოსაპოვებელია. შესაძლოა ისე, როგორც ეს რამდენიმე კვირის წინ ქართველებმა გააკეთეს.”

უკრაინული გაზეთი “ტემნიკი” კი პარალელს ავლებს იუშჩენკოსა და სააკაშვილს შორის: ”სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა და შეხედულებები საოცრად ჰგავს იუშჩენკოს პოლიტიკურ გზას. ოდესღაც სააკაშვილი პრეზიდენტ შევარდნაძის ყველაზე იმედისმომცემი პროტეჟე გახლდათ, შემდეგ კი მის ყველაზე შეურიგებელ მოწინააღმდეგედ გადაიქცა. ქართული ოპოზიციის ლიდერი ტიპურ ამერიკელ ადვოკატს ან ბიზნესმენს ჰგავს. ეს მანერები მან ნიუ-იორკში ცხოვრებისას შეისისხლხორცა.”

“ნაციონალების ლიდერი” თბილისში, სავარაუდოდ, დღეს ჩამოვა. სააკაშვილი არ შეხვედრია უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას. კუჩმა რამდენიმე დღის წინ საავადმყოფოდან გამოწერეს და იგი თავს შეუძლოდ გრძნობს.

# აფეთქებების სერიალი გრძელდება

გუშინ, გამთენიისას, თბილისის ცენტრში კვლავ აფეთქების ხმა გაისმა. ამჯერად, კომპანია ”მაგთი GSM”-ის ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ოფისი აფეთქდა. ისევე, როგორც ბოლო დროს, ერთმანეთის მიყოლებით მომხდარი აფეთქებებისას, გუშინაც არავინ დაშავებულა. აფეთქებამ ოფისის წინა ფასადი დააზიანა. აფეთქების სიძლიერის გამო, ჭავჭავაძის გამზირზე, “მაგთის” ოფისის ახლო-მახლო მდებარე შენობების მინები ჩაიმსხვრა.

ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, სამართალდამცველებს არც გუშინდელი აფეთქების ორგანიზატორ-შემსრულებელი ეჭვმიტანილები ჰყავთ. წინასწარი ინფორმაციით, დაუდგენელმა პირებმა, აფეთქებისას, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი ნივთიერება “ტროტილი“ გამოიყენეს, რომელიც ჩამკეტი ჟალუზების მარცხენა ქვედა კუთხეში იყო დამონტაჟებული.

შეგახსენებთ, რომ “მაგთის" ოფისის გუშინდელი აფეთქება უკვე მეორე შემთხვევაა. ანალოგიური აფეთქება, რომელიც დროშიც კი ემთხვევა გუშინ მომხდარს, ოთხი დღის წინ, კოსტავას ქუჩაზე განხორციელდა. კოსტავას ქუჩაზე მდებარე “მაგთის” ოფისის აფეთქების შედეგადაც დაზიანდა და დაზარალდა მიმდებარე შენობები. ორივე შემთხვევაში, აფეთქების ფაქტს წინასწარი შეტყობინება, "მაგთიკომის" ხელმძღვანელთა მიმართ განხორციელებული მუქარის ან სხვა რაიმე ტიპის გამაფრთხილებელი ზარები არ უძღოდა. ორივე ინციდენტზე სისხლის სამართლის საქმე აფეთქების მუხლით არის აღძრული.

შეგახსენებთ, რომ "მაგთის" ოფისების აფეთქებას წინ უსწრებდა ამ კომპანიის მფლობელის, გია ჯოხთაბერიძის საცხოვრებელ კორპუსში ასაფეთქებლად დამონტაჟებული ხელყუმბარის პოვნის ფაქტი. ამ შემთხვევაში, ხელყუმბარის არსებობის შესახებ შევარდნაძე-ჯოხთაბერიძის ოჯახს ანონიმური ზარის საშუალებით შეატყობინეს. თუმცა, მაშინ ჯოხთაბერიძის საცხოვრებელი კორპუსი აფეთქებას გადაურჩა. სისხლის სამართლის საქმე კი სხვისი ქონების განზრახ განადგურების მუხლით აღიძრა.

უკავშირდება თუ არა სამივე ფაქტი ჯოხთაბერიძის სახელს, გამოძიება ჯერჯერობით არ აკონკრეტებს. თუმცა, ძალოვანი უწყების წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ სამივე საქმე გაერთიანდეს.

**"ჯერ დასადგენია, არის თუ არა ერთი ხელწერა და არის თუ არა სამივე შემთხვევა ერთი და იმავე ჯგუფის მიერ ორგანიზებული. არ არის გამორიცხული, ეს დანაშაულები არც იყოს ერთმანეთთან კავშირში",** - ასეთი გახლავთ სამართალდამცველთა კომენტარები.

*24 საათი*

# უშიშროების მინისტრი მოსკოვში ვიზიტით კმაყოფილია

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, თბილისის აეროპორტში უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას ელოდნენ. მოსკოვში სამდღიანი ვიზიტის დასრულების შემდეგ, თბილისში დაბრუნებისთანავე, უშიშროების მინისტრი აეროპორტში გეგმავდა ბრიფინგის მოწყობას, თუმცა, უამინდობის გამო, მოსკოვი-თბილისის რეისი გადაიდო და მინისტრი თბილისში გვიან ღამით დაბრუნდა.

მოსკოველ კოლეგებთან ვალერი ხაბურძანიას ვიზიტის მიზანი საქართველო-რუსეთს შორის ამჟამინდელი ურთიერთობის განხილვისა საერთაშორისო ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის გარდა, რამდენიმე თვის წინ, რუსი სამართალდამცავების მიერ დაკავებული ქართველი ცნობილი კრიმინალის, შოთა ჭიჭიაშვილის საქართველოსთვის გადმოცემის საკითხიც გახლდათ. ისევე, როგორც წინა ვიზიტისას, ქვეყნის უშიშროების სამსახურის უფროსი მოსკოვიდან ამჯერადაც ჭიჭიაშვილის გარეშე დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ჭიჭიაშვილის ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით, ვალერი ხაბურძანია ცოტა ხნის წინაც იმყოფებოდა მოსკოვში, თუმცა, მაშინ მას რუსმა კოლეგებმა ცნობილ კრიმინალთან შეხვედრის საშუალებაც არ მისცეს.

რა გადაწყდა ამჟამინდელი ვიზიტისას მოსკოვში, მიაღწია თუ არა ვალერი ხაბურძანიამ ჭიჭიაშვილის ქართულ ციხეში გადმოყვანის შეთანხმებას რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსთან ნიკოლაი პატრუშევთან, როდის, როგორ, რა პირობით მოხდება ჭიჭიაშვილის საქართველოსთვის გადმოცემა, მოგვიანებით გახდება ცნობილი. შეგახსენებთ იმასაც, რომ რუსულ ციხეში მყოფმა ჭიჭიაშვილმა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ცოტა ხნის წინ პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, რაზეც უარი მიიღო.

ჩვენი ინფორმაციით, ვალერი ხაბურძანია მოსკოვიდან თბილისში გუშინ კმაყოფილი დაბრუნდა და სამდღიანი საქმიანი ვიზიტი კოლეგებთან წარმატებულად შეაფასა. ქვეყნის უშიშროების სამსახურის უფროსის ვიზიტის შედეგებზე დეტალური ინფორმაცია, დღეს გახდება ცნობილი.

*24 საათი*

# ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის კომპანია ერაყში საწვავს ზედმეტად მაღალ ფასებში ყიდდა

ადამ მჭედლიძე

კომპანია "ჰელიბერტონი," რომელსაც ადრე აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი განაგებდა, აშშ-ს შეიარაღებული ძალებისათვის საწვავის ზედმეტ ფასად მიყიდვაში დაადანაშაულეს. პენტაგონიდან წარგზავნილი აუდიტორები აცხადებენ, რომ "ჰელიბერტონმა" ამ უკანონო ოპერაციით ამერიკულ არმიას ნორმაზე 61 მილიონი დოლარით მეტი გადაახდევინა.

პენტაგონის წარმომადგენლები არ აცხადებენ, რომ "ჰელიბერტონი" ამ ოპერაციით თავის შემოსავალს ზრდიდა. ჯერჯერობით, კომპანიას მხოლოდ იმაში ედება ბრალი, რომ იგი ადგილობრივ ქვეკონტრაქტორს უხდის ზედმეტს ნავთობის სანაცვლოდ. **"ეს, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა სულელური შეცდომა,"** – განაცხადა ერთ-ერთმა აუდიტორმა.

მაგრამ პენტაგონთან დაახლოებული წყაროები ირწმუნებიან, რომ ეს უწყება "ჰელიბერტონის" ერაყში მოღვაწეობით საკმაოდ შეშფოთებულია. კერძოდ, არის ინფორმაცია, რომ კომპანია 67 მილიონით მეტის გადახდას აპირებდა სხვა კონტრაქტში, რომელიც საკვებით უზრუნველყოფას შეეხება.

ეს ფაქტები ნამდვილად უდროოდ ამოტივტივდა პრეზიდენტ ბუშისათვის იმის გათვალისწინებით, რომ ახლახან იგი სერიოზული კრიტიკის სამიზნედ იქცა. მოგეხსენებათ, თეთრმა სახლმა გადაწყვიტა, ერაყული კონტრაქტები მხოლოდ იმ ქვეყნების კომპანიებზე გასცეს, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს აშშ-ს გვერდით იდგნენ.

"ჰელიბერტონი" ერაყული აღმშენებლობის პიონერია. მისი ქვეყანაში დაშვება ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, სანამ მოკავშირეთა ჯარები ბაღდადს აიღებდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბუშის ადმინისტრაციაში მოსვლამდე ჩეინი ამ კომპანიის თავკაცი იყო, "ჰელიბერტონის" ერაყში აღზევებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კომპანიამ ჯერ ჭაბურღილებზე ხანძრების ჩაქრობის, შემდეგ კი ერაყში მთელი ნავთობმრეწველობის აღდგენის კონტრაქტს გამოჰკრა ხელი.

ოქტომბერში ორი დემოკრატი კონგრესმენი დაინტერესდა "ჰელიბერტონის" ერაყული მოღვაწეობით, მათ მოიპოვეს დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც, "ჰელიბერტონს" კუვეიტიდან იმპორტირებულ ერთ გალონ საწვავში ნორმაზე 2,64 დოლარით მეტს უხდიდნენ. ეს სხვა არაფერია, თუ არა მონოპოლიის არაკეთილსინდისიერად გამოყენება. ნავთობით მდიდარ ერაყში საწვავის იმპორტირება, ცხადია, უცნაური ფაქტია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ქვეყანაში, ჯერჯერობით, ნავთობის ინფრასტრუქტურის აღდგენა არ ხერხდება.

ჩეინის ყოფილი კომპანია თავს იმით იმართლებს, რომ ერაყში ნავთობის ტრანსპორტირება დიდ რისკთანაა დაკავშირებული და ზედმეტი ფასიც ამიტომ ედება.

# ვალებით ცხოვრება მავნებელია თქვენი მომავლისათვის

ამ ცოტა ხნის წინათ, დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც საკრედიტო ბარათებს ეხებოდა. მინისტრის თქმით, აუცილებელია, რომ თითოეული ბარათს თან ახლდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ჩამონაწერი იმისა, თუ რა ნეგატიური მხარეები აქვს საკრედიტო ბარათით სარგებლობას. მოსალოდნელია, რომ მსგავსი შინაარსის კანონპროექტი დიდ ბრიტანეთში მომავალი წლის მარტში გამოვა სამსჯავროზე და ძალაში შემოდგომაზე შევა. ასეთი მეთოდით სახელმწიფო უწყებას სურს გააფრთხილოს ბრიტანელები, რომ ვალებით ცხოვრების ფართოდ გავრცელებულმა პრაქტიკამ შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს მათ ფინანსურ სტაბილურობას.

# გიბრალტარის ქვეშ მატარებელი ივლის

ესპანეთმა და მაროკომ დღემდე უპრეცედენტო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ხმელთაშუა ზღვის ქვეშ სარკინიგზო გვირაბის მშენებლობას ეხება. ამ გზით, მსოფლიოს ისტორიაში პირველად, ევროპა და აფრიკა ერთმანეთს 39-კილომეტრიანი გვირაბით დაუკავშირდება, რომელიც გიბრალტარის სრუტის ქვეშ გაივლის. გვირაბის მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება, თუმცა, ჯერჯერობით, მისი დასრულების თარიღი უცნობია. სამუშაოების დასაწყისისთვის გამოყოფილია 30 მილიონი დოლარი. მიმომხილველები ამ ფაქტს რაბატსა და მადრიდს შორის ურთიერთობის დათბობად აფასებენ. ევროპა-აფრიკას შორის წყალქვეშა გვირაბის აშენების იდეა ჯერ კიდევ 20 წლის წინ გაჩნდა, ამ ცოტა ხნის წინათ კი ესპანეთი-მაროკოს სამიტზე "გაცოცხლდა".

# ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე ისევ გაფიცვაა

გუშინ დილით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა რამდენიმე მონაკვეთზე ისევ შეჩერდა. ამის მიზეზი მორიგი გაფიცვა გახდა, რომელიც ხელფასების მომატების მოთხოვნით, რუსთავში მილების ეზოს მშენებლობაზე დასაქმებულმა მუშებმა დაიწყეს. ისინი აცხადებენ, რომ პროექტში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეებს კონტრაქტორები საათში ერთ ლარს უხდიან, მაშინ როცა უცხოელი მოქალაქეები ათჯერ მეტ საზღაურს იღებენ. გაფიცულებს შეუერთდნენ ჯანდარას, თეთრი წყაროსა და მარნეულის მონაკვეთებზე დასაქმებული მუშები. დღეს საპროტესტო აქციის ესკალაცია ახალციხეშია მოსალოდნელი.

*მედია-ნიუსი*

# საბანკო სისტემის აქტივების ხარისხში პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საბანკო სისტემის აქტივების ხარისხში პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება, რაც განსაკუთრებით კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელს შეეხება. 2002 წლის 1 ნოემბრისათვის კომერციულ ბანკებს 606,9 მილიონი ლარის სტანდარტული, საყურადღებო, არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო სესხები ჰქონდათ გაცემული. 2003 წლის ანალოგიური პერიოდისათვის ბანკებმა სესხების მთლიანი მოცულობა 196,7 მილიონი ლარით გაზარდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა - 197,9 მილიონი ლარი – სტანდარტულ სესხებზე დაფიქსირდა. ამასთან, 9,7 მილიონი ლარით გაიზარდა სტანდარტული აქტივების გრაფაში ბანკთაშორისი სესხების მაჩვენებელი. მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის სტანდარტული აქტივების გრაფაში ფიგურირებს ფასიანი ქაღალდებით წარმოებული ოპერაციების მოცულობა, რომელიც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში არ შეინიშნებოდა. კომერციული ბანკების განსაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება 2672 ლარით შემცირდა, საწესდებო კაპიტალში განხორციელებულმა ინვესტიციებმა - 133 645 ლარით, ხოლო სხვა აქტივების პარამეტრმა 2,6 მილიონი ლარით იკლო.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ზამთარში, სამუშაო პირობების გაურესების გამო, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებულებს დღიური ანაზღაურება 2 დოლარით გაეზარდათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის რაიონებს ბუნებრივი აირი შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. "თბილგაზში" ამის მიზეზად, ტემპერატურის დაცემის გამო, ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდას ასახელებენ, რაც გაზგაყვანილობის მილებში ბუნებრივი აირის წნევის დაცემას იწვევს. "თბილგაზის" ხელმძღვანელობა მდგომარეობის გამოსწორებას ოთხშაბათისათვის ვარაუდობს და მომხმარებლებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს, რადგან ამ ბოლო დროს უბედური შემთხვევები გახშირდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რეალიზებული საქონლის რაოდენობა გაიზარდა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, იანვარ-ოქტომბერში სამრეწველო საქონლით მოვაჭრე პირთა მიერ რეალიზებულია 2.1 მილიარდი ლარის საქონელი, რაც გასული წლის მონაცემებზე 4.1 პროცენტით მეტია. ოქტომბრის თვის მონაცემებით, საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი 0.9 პროცენტით შემცირდა. **მედია-ნიუსი**

# "თელასი" - უყაირათო მხარჯველი?

მაია ურუშაძე

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი უკმაყოფილოა "თელასის" მიერ ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვით. როგორც ბაზარში აცხადებენ, მათ მიერ დაწესებული ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვები "თელასზე" არ ვრცელდება, მაგრამ თავად კომპანია იმაზე გაცილებით მეტ დენს მოიხმარს, ვიდრე ეს წინასწარი განაცხადით იყო ნავარაუდევი. ამის გამო, თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანიას დღის საათებში დენი შეზღუდვით მიეწოდება, შედეგად კი რიგრიგობით ითიშება ქალაქის მსხვილი უბნები.

როგორც ირკვევა, დეკემბრის თვეში "თელასმა" საბითუმო ბაზარს პიკის საათებში 520 მეგავატი სიმძლავრე მოსთხოვა. ენერგოკომპანიაში ვარაუდობდნენ, რომ ეს სიმძლავრე დედაქალაქის მოთხოვნილებას სავსებით დააკმაყოფილებდა, რადგან გაზის ინფრასტრუქტურის ასე თუ ისე მოწესრიგებამ ამ ბოლო დროს თბილისის ელექტროენერგეტიკულ სექტორს საკმაოდ დიდი დატვირთვა მოუხსნა: მოსახლეობისა და მცირე საწარმოების უმეტესი ნაწილი საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის სწორედ გაზის დანადგარებს იყენებს. სანამ გაზის მეურნეობა მოწესრიგდებოდა, პიკის სათებში თბილისს 650 მეგავატი სიმძლავრე სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ "თელასი" ახლა პიკის საათების დროს 600 მეგავატ სიმძლავრეს საჭიროებს, 50-მეგავატიან გადახარჯვას კი საბითუმო ბაზარი დღის საათებში შეზღუდვით აკომპენსირებს. საბითუმო ბაზარში აცხადებენ, რომ დღისით კომპანია 8 პროცენტით იზღუდება ხოლმე, რაც სხვადასხვა უბნების ხანმოკლე გამორთვას ნიშნავს.



"თელასში" მიიჩნევენ, რომ თბილისის შეზღუდვაში საბითუმო ბაზარი "სცოდავს".

"თელასში" კატეგორიულად უარყოფენ, რომ მათი გათვლა არასწორი იყო და აცხადებენ, რომ თბილისი პიკის საათების დროს 530 მეგავატ სიმძლავრეზე მეტს არ საჭიროებს. კომპანიაში აბსურდად მიიჩნევენ იმასაც, რომ დღის შეზღუდვებით მათ მიერ გადახარჯული სიმძლავრის კომპენსირება ხდება. "ჩვენი ქვესადგურების გამორთვა უსისტემოდ, ქაოტურად ხდება და ამას მიზეზი არა აქვს," – ირწმუნებიან "თელასში".

საბითუმო ბაზრის მონაცემებით, "თელასმა" დენის მოხმარება, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 20 პროცენტით გაზარდა, გასულ თვესთან შედარებით კი – 25 პროცენტით. ამასთან, საყურადღებოა, რომ კომპანიას არ დაუსრულებია დედაქალაქის გამრიცხველიანება, რის გამოც ელექტროენერგიის საფასურის კარგ და ურჩ გადამხდელებს დენი თანაბრად მიეწოდება. უმრიცხველოდაა დარჩენილი დედაქალაქის მოსახლეობის 35 პროცენტი. შედეგად, "თელასის" მიერ დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელი დაბალია.

თავად "თელასში" თბილისის ელექტრომომარაგებაში არსებულ შეფერხებებს "სახელმწიფო ელექტროსისტემას" აბრალებენ და აცხადებენ, რომ "ქართული მხარე არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც რუსეთიდან იმპორტირებული დენი თბილისამდე სრულად უნდა მოვიდეს." თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად რუსეთიდან 150-200 მეგავატი სიმძლავრე შემოდის, ამას მალე დაემატება იმპორტი სომხეთიდან, მაგრამ "თელასის" "გარანტირებული" სიმძლავრე 650 მეგავატს მაინც ვერ შეავსებს.

საბითუმო ბაზარში მიიჩნევენ, რომ გამოსავალი ერთია: უპირველეს ყოვლისა, "თელასის" "რაოელმა" მენეჯერებმა უნდა განაგრძონ ჯერ კიდევ "ეი-ი-ესის" მიერ დაწყებული გამრიცხველიანების პროგრამა. მეორეც, ელექტროენერგიის შეზღუდვები ურჩი გადამხდელების ხარჯზე განახორციელონ და მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც პირნათლად იხდის დენის საფასურს, დისკომფორტი თავიდან აცილონ.

# ბიზნესი და ხელისუფლება ხვალ...

*"მე ოლიგარქებისგან და ბიზნესმენებისგან ვალდებულებები არ ამიღია" - მომავალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება, რომელიც რამდენჯერმე გააჟღერა მან საზოგადოების წინაშე, გახლავთ ის ძირითადი მესიჯი, რომელიც ქართველ ბიზნესმენთა გასაგონად იყო ნათქვამი. მიხეილ სააკაშვილის ეს მესიჯი არის მთავარი, რაც მომავალში, ყოველ შემთხვევაში - დღევანდელი გადასახედიდან, ქართული ბიზნესისა და ქართული სახელმწიფოს ურთიერთობებს განსაზღვრავს.*
*თუნდაც ამ განცხადებიდან და ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ საქართველოში ახალი რეალობა მოდის. საქართველოში ცვლილებები მოდის.*

თამარ ხორბალაძე

ცვლილებები ყოველთვის იწვევს გარკვეულ შიშს, მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარია თამაშის იმ წესების შეცვლაზე, რომლითაც მთელი შენი სიცოცხლე გითამაშია.

მით უმეტეს მაშინ, როცა თამაშის დამკვიდრებული წესები ცალსახად არაკანონიერ და მახინჯ ურთიერთობებზეა აგებული - საქართველოს სახელმწიფოსა და წარმატებული ქართული ბიზნესის ურთიერთობა ბოლო წლებში სწორედ ამ "მახინჯი ურთიერთობის" ისტორიაა.

ფაქტია და ამას დღეს ვერავინ გაექცევა, რომ ხელისუფლების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტები, ქვეყნის ხელისუფლების კორუმპირებულობის გამო კაპიკებად "გაპრივატიზებული" ქონება, ხელოვნურად, ანუ ისევ და ისევ ხელისუფლების წყალობით შექმნილი მონოპოლისტური გარემო ნავთობის თუ სხვა ბიზნესში, კრიმინალური ფული იყო ის საწყისი კაპიტალი, რომელზეც დღევანდელი დიდი ბიზნესის არა ყველა, თუმცა დიდი ნაწილია აშენებული.

შევარდნაძემ კარგად უწყოდა - სჭირდებოდა გარანტია იმისა, რომ მომავალ არჩევნებში თუ თავად არა, მემკვიდრისთვის მაინც უზრუნველყოფილი ექნებოდა ქართული ბიზნესის მხარდაჭერა. ამისათვის კი ეს ბიზნესი მასზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, ანუ უნდა ყოფილიყო ოჯახის ხელში, ოჯახის მიღმა დარჩენილ ბიზნესს უნდა ჰქონოდა დიდი საგადასახადო დავალიანებები, დროებით შერჩენილი კრედიტები და ა.შ. მოკლედ – კომპრომატები.

ედუარდ შევარდნაძის "სასახელოდ" უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ კანონით, ყველა ბერკეტი გააჩნდა იმისათვის, რათა არგადამხდელების თუ სხვა სახის დამრღვევების წინააღმდეგ შესაბამისი ზომები მიეღო, ამ მიმართულებით არაფერი გააკეთა. სანაცვლოდ კი დაამკვიდრა კორუფციული კანონები და ამით თითქმის მთელი ქართული ბიზნესი ჩინოვნიკებზე დამოკიდებული დატოვა.

ქართველ ბიზნესმენთა დიდი ნაწილის სამარცხვინოდ კი უნდა ითქვას, რომ იგი შევარდნაძეს ამ კორუფციულ თამაშებში ბოლომდე ჩაჰყვა და არსებული რეჟიმის შესანარჩუნებლად საკმაოდ ბევრიც გაიღო.

სწორედ ამ ორმხრივ ურთიერთობაზე გახლდათ დაფუძნებული დღემდე დამოუკიდებელ საქართველოში არსებული "სტაბილური ბიზნეს-გარემო", რომელიც სტაბილურად მიათრევდა ქვეყანას ჭაობისკენ.

დღეს იმის თქმა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ქართული ბიზნესის ვალდებულებებისგან მთლიანად თავისუფალია, ნამდვილად გადაჭარბებული იქნება.

თუმცა ფაქტია, რომ მომავალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მართლაც არ არის დატვირთული ამ ვალდებულებებით და ამიტომ მან ზემოთ მოხსენიებული მესიჯი ჯერ კიდევ ათიოდე დღის წინ გაახმოვანა.

ამას ემთხვევა დროებითი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების მწკრივი, რომელთა ფონზეც ბიზნესისა და სახელმწიფოს მომავალ ურთიერთობებზე უფრო კონკრეტულად შეიძლება საუბარი:

პირველ რიგში, პროკურატურა თაროდან იღებს ქართული ოქროს დატაცების და რკინიგზის საქმეს. ეს ფაქტი, ერთის მხრივ, კორუმპირებული ჩინოვნიკების სახალხო დასჯის კონტექსტში აღიქმება, რაც საზოგადოების დაკვეთაზე პირდაპირი პასუხია, მეორე მხრივ კი, ამით იწყება ოჯახის ინტერესებისაგან სახელმწიფო საწარმოების "გაწმენდა".

პარალელურად, ხელისუფლება იწყებს რკინიგზის რეფორმირებას მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით და რკინიგზაში ევროპული მართვის სტილის გადმოტანას აპირებს. იძლევა პირობას, რომ მსგავს მოდელს სხვა სახელმწიფო საწარმოებზეც "გადაიტანს".

აქვე ფინანსთა მინისტრი იწყებს შეხვედრებს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ბიზნესმენებთან და "თამაშის ახალ წესებს" აცნობს. "გარკვეულ დროს მოგცემთ ამ წესებისთვის შესაგუებლად და შემდეგ მოგთხოვთ..." - დაახლოებით ასე ჟღერს დახურულ შეხვედრებზე მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებები. ბიზნესმენები, რამდენადაც "24 საათისთვის" არის ცნობილი, სანაცვლოდ კონტრაბანდის აღკვეთას და აბსოლუტურად თანაბარ პირობებში ჩაყენებას ითხოვენ.

პარალელურად, შიდა ქართლის გუბერნატორი ძალოვანებთან ერთად კონტრაბანდის აღსაკვეთად რეიდებს იწყებს.

ამ ფონზე კი ხდება გაუგებარი დანიშვნები და შემდეგ - გადადგომები ამა თუ იმ პოსტებიდან...

ერთის მხრივ, ეს ქმედებები არაკოორდინირებული ჩანს, მეორეს მხრივ კი - გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება.

მოკლედ, პოსტ-რევოლუციური სიტუაციაა.

ამავე დროს, ცარიელია ქვეყნის ბიუჯეტი და კუთვნილ მიზერულ ხელფასებსაც ვერ იღებენ ის პოლიციელები და სხვა მაკონტროლებლები, რომელთა ნაწილი ელემენტარული შიშის გამო ვერ აგრძელებს ჩვეულ რიტმში ცხოვრებას, ნაწილი კი ისევ თავისას ცდილობს.

პრობლემა იმაშია, რომ ვერც უხელფასო მაკონტროლებლები, ვერც ჩვეულებრივი მოსახლეობა, რომელსაც ხელისუფლების მიერ მიღებული ანტიკონტრაბანდისტული ზომები აუცილებლად გაუძვირებს საქონელს, და ვერც თავად ბიზნესმენები, ჯერჯერობით, ვერ იღებენ "მზა პასუხებს" იმაზე, თუ კონკრეტულად რა თამაშის წესებით უნდა ითამაშონ დღეს და როგორ?

შესაძლოა იმოტომ, რომ "მზა პასუხები" ყველა კითხვაზე დღეს არავის არ აქვს და, რეალურად, ვერც ექნება. ყოველ შემთხვევაში, ვერ ექნება დროებით ხელისუფლებას, რომელიც "დროებითია" და თან - წინასაარჩევნო, რაც არანაკლებ გავლენას ახდენს მის მოქმედებაზე.

წინასაარჩევნო პერიოდი გარკვეულ დაღს ამჩნევს პრეზიდენტობის რეალური კანდიდატის ქმედებებსაც, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ხელისუფალი.

თუმცა, რეალურად, სწორედ მიხეილ სააკაშვილია ის პოლიტიკური ფიგურა, რომლის გადაწყვეტილება და სტრატეგიაც მომავალი საქართველოს ბედს, მათ შორის - ქართული ბიზნესისა და ქართული პოლიტიკის ურთიერთობის ბედს განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ, გასული კვირის ბოლოს ბიზნესმენთა ჯგუფმა უშუალოდ მისგან მოისურვა პასუხების გაცემა კითხვებზე, რომელიც აწუხებს:

**"ქართული ბიზნესი არ უნდა იყოს დამოკიდებული ქართულ პოლიტიკაზე და არც პოლიტიკა უნდა იყოს დამოკიდებული ბიზნესზე,"** - ასეთია სააკაშვილის პასუხი.

ეს პასუხი თავის თავში დღემდე არსებული სიტუაციის კარდინალურ ცვლილებას გვამცნობს.

მეორე მხრივ, **"ქართულ ბიზნესსა და ქართულ სახელმწიფოს შორის უნდა გაფორმდეს ურთიერთვალდებულებების შესახებ მემორანდუმი"**, ანუ **"სახელმწიფო შეგიქმნის მუშაობისთვის თანასწორუფლებიან გარემოს, შენ გადაიხდი კუთვნილ გადასახადს,"** - ასეთია მომავალი პრეზიდენტის დღევანდელი განაცხადი.

ეს განაცხადი ქართულ ტრადიციულ ბიზნეს-ურთიერთობებში რევოლუციურ ცვლილებებს გულისხმობს, თუმცა რა გზით მოხდება მათი განხორციელება, დღეს არცთუ ბოლომდე ნათელია.

წინასაარჩევნოდ, ზემოთაც აღვნიშნეთ, არჩევანი სადემონსტრაციო მეთოდებზე გაკეთდა - თუ ლევან მამალაძის წინააღმდეგ საქმის აღძვრა გაცილებით მოსალოდნელი გახლდათ, მერაბ ჟორდანიას დაპატიმრება გამოწვევაა ქართული "ელიტისაც", ქართული საზოგადოების. მომავალი ხელისუფლება ამით ეუბნება ყველას, რომ მისთვის "ავტორიტეტები" აღარ არსებობენ, არ არსებობს ხელშეუხებელი "ბიზნეს-ელიტა". ხელისუფლება ამით ამბობს, რომ დღეიდან საქართველოში ყველა შეიძლება დაიჭირო, მათ შორის - გადასახადების გადაუხდელობისათვის. თუმცა, თუ ეს გეზი არჩევნების შემდეგაც უცვლელი დარჩა, ობიექტურობის შესანარჩუნებლად დღევანდელ ხელისუფლებას აუცილებლად მოუხდება ამ მეთოდების გავრცობა საკუთარ მხარდამჭერებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ აქტივობის ეფექტი ნულის ტოლი იქნება.

ეს დღეს ყველას კარგად ესმის და ამიტომაც დაიწყო საუბარი გარკვეულ შიშზე - მოგეხსენებათ, კომპრომატები ყველას წინააღმდეგ არსებობს...

მეორე მხრივ კი, არსებობს მოლოდინი თანასწორუფლებიანი, ნორმალური ბიზნეს-გარემოს შექმნისა, განსაკუთრებით - საშუალო ბიზნესისთვის, რომელიც უნდა იქცეს კიდეც ქვეყნის სიძლიერის საფუძვლად.

დღეს ასეთია რეალობა, რომელიც, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამისთვის მზად ზოგადად საზოგადოება და, კონკრეტულად - ბიზნესი, სერიოზულ ცვლილებებზე გვამცნობს. ახლა მთავარი ისაა, ეს ცვლილებები სწორი გზით განვითარდეს.


პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს-სესხები
16%-დან
წლიური
ტელ.: 20-16-16

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
0118 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
(995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

დიდუბის განყოფილება
0119 თბილისი
ტელ: (995 32) 20-17-20
ფაქსი: (995 32) 20-17-21
didube@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
ტელ: (995 215) 5-11-25
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ტელ: (995 270) 2-16-09
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
marneuli@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ხოფის (ბათუმის) განყოფილება
6000 ბათუმი
ტელ/ფაქსი: (995 222) 77-052
khofa@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

# სადამ ჰუსეინი დაპატიმრებულია

ლევან ღირსიაშვილი

**“ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ ის შევიპყარით,”** - განუცხადა ჟურნალისტებს ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის შეფმა პოლ ბრემერმა. მან გუშინ ბაღდადში სპეციალურად მოიწვია საგანგებო პრესკონფერენცია, რათა მასმედიისათვის აღნიშნული ფაქტი ეხარებინა. **“სადამ ჰუსეინის დაპატიმრება ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია,”** - განაცხადა პოლ ბრემერმა.

მაშ ასე, ერაყის ყოფილი დიქტატორი, 66 წლის სადამ ჰუსეინი უკვე კოალიციის ხელშია. ის თავისი მშობლიური ქალაქ თიქრითის მახლობლად მდებარე საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა. როგორც ცნობილი გახდა, ჰუსეინი ამერიკელმა სამხედროებმა ჯერ კიდევ შაბათს დააპატიმრეს და მეორე დღეს ეს ინფორმაცია გაავრცელეს.

## სპეცოპერაციის დეტალები

გუშინ სადამის შეპყრობის დეტალები ჟურნალისტებს აშშ-ს არმიის გენერალმა რიკარდო სანჩესმა მოუთხრო. ყოფილი დიქტატორი თიქრითიდან 16 კილომეტრში მდებარე პატარა დასახლება ადვარში დააპატიმრეს. შაბათს, დაახლოებით დილის ათ საათზე, კოალიციის სარდლობამ მიიღო სადაზვერვო ინფორმაცია სადამის შესაძლო ადგილსამყოფელის შესახებ. ინფორმაციაში მითითებული იყო ორი სავარაუდო ადგილი, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო ჰუსეინი. სასწრაფოდ შემუშავდა სპეოცოპერაციის ოპერატიული გეგმა. ოპერაციას ეწოდა კოდური სახელწოდება – “წითელი განთიადი.” ორივე სავარაუდო ადგილსამყოფელი თიქრითთან, დასახლება ადვარში მდებარეობდა. სპეცოპერაციის ჩატარება ექვსას ელიტარულ სამხედრო მოსამსახურეს დაეკისრა.

საღამოს 6 საათზე ისინი ოპერაციის შესასრულებლად გავიდნენ. რაზმი ორ ნაწილად გაყვეს, რამდენადაც ინფორმაციაში ორი სავარაუდო ადგილსამყოფელი იყო მითითებული. რაზმის შემადგენლობაში ამოქმედებული იყო არტილერია, საინჟინრო დანაყოფი, ავიაცია და სპეციალური ოპერატიული სპეცჯგუფი.

რაზმი დავალების ადგილზე უკვე იმ დროს იმყოფებოდა, როდესაც დასახლება ადვარი სრული სიბნელით იყო მოცული. ამან რაზმის ფარულად მოქმედებას საგრძნობლად შეუწყო ხელი. დაახლოებით, საღამოს რვა საათისათვის რაზმმა ორივე ობიექტს ალყა შემოარტყა, თუმცა იქ სადამის კვალიც ვერ აღმოაჩინეს. ადგილზევე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეს ორი ობიექტი საგულდაგულოდ მოეჩხრიკათ. სადაზვერვო ინფორმაცია საკმაოდ სარწმუნო წყაროსგან იყო მიღებული. ძებნა ორივე ობიექტზე ერთდროულად დაიწყო. ერთ-ერთ მათგანში, ინტენსიური ძებნის შედეგად, სპეცრაზმმა ობობასებური ღრმა ორმო აღმოაჩინა. ორმოს ჩასასვლელი ზემოდან ნაგავით და აგურებით იყო დაგმანული. სპეცრაზმმა 60 ფუტის სიღრმის ორმოში დაიწყო ჩასვლა, რის შემდეგაც ისინი მიწისქვეშა ოთახს მიადგნენ. ოთახში წვერიან მოხუცს ეძინა, რომელიც სადამ ჰუსეინი აღმოჩნდა. **“ის ცოცხალი შევიპყარით, მას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ოპერაციის შედეგად არავინ დაჭრილა,”** - განაცხადა გენერალმა რიკარდო სანჩესმა და დასძინა, რომ სადამთან ერთად ოთახში კიდევ ორი უცნობი ერაყელი მამაკაცი იმყოფებოდა. რასაკვირველია, სპეცრაზმმა ისინიც დააპატიმრა.



ერაყი ჰუსეინის დაპატიმრებას ზეიმობს.

მიწისქვეშა ბუნკერში სადამის განკარგულებაში იყო რუსული წარმოების “აკ-47” სისტემის ორი ავტომატური იარაღი, პისტოლეტი და 750 ათასი ამერიკული დოლარი. დაპატიმრებული სადამ ჰუსეინი, სავარაუდოდ, ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტში გადაიყვანეს, თუმცა მისი ადგილსამყოფელი მკაცრად გასაიდუმლოებულია. მას გაძლიერებული დაცვა მიუჩინეს.

შეკითხვაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა დაკავების მომენტში სადამ ჰუსეინი, გენერალმა სანჩესმა განაცხადა: **“ის ტოვებდა დაღლილი კაცის შთაბეჭდილებას, რომელიც ბედთან სრულიად შეგუებულია.”**

ბაღდადის აეროპორტში მიყვანისთანავე, მას დნმ-ს ანალიზი ჩაუტარეს, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ დაკავებული ნამდვილად სადამ ჰუსეინია. რაც შეეხება დევნილობაში მოშვებულ წვერს, სადამი გაპარსეს და მხოლოდ ულვაშები დაუტოვეს.

ამის შემდეგ, კოალიციის სარდლობამ ჟურნალისტებს იმ ადგილის მონახულების ნება დართო, სადაც სადამი იმალებოდა.

ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს ცნობით, სადამ ჰუსეინი თავისი საყვარელი სიგარის სუნმა გაყიდა. კერძოდ, როდესაც შენობაში შესულ სპეცრაზმს სადამი ადგილზე არ დახვდა, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ძვირფასი სიგარის სუნი იგრძნო, რომლის მოწევის საშუალება რიგით ღარიბ ერაყელს არ ექნებოდა. იტყობინებიან, რომ სწორედ ამის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება შენობის ყველა წერტილი კარგად მოეჩხრიკათ.

## გამოხმაურება

საერთაშორისო არენიდან ამ ფაქტს, პირველი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი გამოეხმაურა. **“სადამის დაპატიმრებამ გააქრო ერაყის თავზე ხანგრძლივი კოშმარი ხელისუფლებაში მისი შესაძლო დაბრუნების შესახებ. ახლა უკვე შესაძლებელია, რომ ის ერაყის სასამართლოში გასამართლდეს,”** - განაცხადა ტონი ბლერმა.

სადამის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა ოფიციალური მოსკოვიც. **“მიგვაჩნია, რომ ჰუსეინის დაპატიმრება ხელს შეუწყობს ერაყის უსაფრთხოების გამყარებას და პოლიტიკური დარეგულირების პროცესის აქტივიზაციას გაერო-ს აქტიური მონაწილეობით,”** - განაცხადა ლათინური ამერიკაში ვიზიტით მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა. ამასთანავე ის თვლის, რომ ჰუსეინის ბედი მხოლოდ და მხოლოდ ერაყელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

**“ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელმაც ქვეყანაში დემოკრატია და სტაბილურობა უნდა მოიტანოს. ასევე საშუალება უნდა მისცეს ერაყელებს, რათა მათ თავად განსაზღვრონ ქვეყნის ბედი,”** - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და თავის ამერიკელ კოლეგას ჯორჯ ბუშს ეს გამარჯვება მიულოცა.

**“ჰუსეინის დაპატიმრებით დაიხურა ერაყის ისტორიის დიქტატორული პერიოდი,”** - არ ჩამორჩა თავის პრეზიდენტს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისიტრი დომინიკ დე ვილეპენი.

აშშ-ს პრეზიდენტს სადამის შეპყრობა გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმაც მიულოცა. თეთრი სახლის მეთაური გუშინ მილოცვებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ღებულობდა.

## ერაყელები ზეიმობენ

უკვე კვირას დილით, ერაყის დროებითმა მმართველმა საბჭომ ტელევიზიით ერაყის მოსახლეობას ყოფილი დიქტატორის დაპატიმრების შესახებ აუწყა.

საერთაშორისო სააგენტოები ბაღდადის ქუჩებში გამართული სახალხო ზეიმის შესახებ იუწყებოდნენ. მთელ ქალაქში გუშინ სროლების ხმა ისმოდა, რითაც ბაღდადელები ტირანის დაკავებას აღნიშნავდნენ. ქალაქის ქუჩებში ათასობით ბაღდადელი იყო გამოსული და ერთმანეთს ამ გამარჯვებას ულოცავდნენ.

## სადამის ოჯახი

გუშინ, ვიდრე სადამის დაკავების შესახებ ინფორმაცია გავრცელდებოდა, ბრიტანულმა “სანდი ტაიმსმა” გამოაქვეყნა ინტერვიუ სადამის ერთ-ერთ ცოლთან სამირ შახბანდართან. მის გარდა, დიქტატორს კიდევ სამი ცოლი ჰყავს. სამირას ცოლების იერარქიაში მეორე ადგილი უკავია. მან “სანდი ტაიმსის” კორესპონდენტს განუცხადა, რომ თავის მეუღლესთან და ყოფილ დიქტატორთან ყოველკვირეულად ჰქონდა სატელეფონო კავშირი ან ღებულობდა მისგან წერილს. სამირა და მისი შვილი, 21 წლის ალი, რომელიც სადამის შვილებიდან ერთადერთია, ვინც ცოცხალი დარჩა, ლიბანში გამოგონილი სახელით და გვარით ცხოვრობენ.

სამირას თქმით, რეჟიმის დაცემამდე, სადამმა მას 5 მილიონი ამერიკული დოლარი და ათ კილოგრამამდე ოქრო გადასცა და სირიაში გააგზავნა, საიდანაც ისინი ლიბანში გადავიდნენ. ამ დროისათვის სამირა შახბანდარი, თავის შვილთან ერთად, საფრანგეთში აპირებს გამგზავრებას. პარიზმა მათ ხელშეუხებლობის და უსაფრთხო ცხოვრების გარანტია მისცა.

უკანასკნელად, სამირას სადამი 9 აპრილს, ბაღდადის დაცემის დღეს უნახავს. **“ის ჩემთან მოვიდა ძალიან ნაღვლიანი და გატეხილი. ცალკე ოთახში გავედით და იქ სადამმა იტირა. მან იცოდა, რომ ის გაყიდეს,”** - მოუთხრო სამირამ “სანდი ტაიმსს.”

**“მან მე მითხრა, რომ არ შემშინებოდა, შემდეგ აკოცა ალის და მასაც იგივე უთხრა,”** - დასძინა სამირამ. ამის შემდეგ სამირას თავისი მეუღლე ერთხელაც არ უნახავს.

სადამის ორი შვილი – უდაი და ქუსაი კი, როგორც ცნობილია, 22 ივლისს მოსულში, სპეცოპერაციის დროს მოკლეს. მათი დედა საჯიდა – ჰუსეინის პირველი ცოლი, სირიაში იმალება.

ასე დასრულდა სადამის თავისუფალი დღეები, თუმცა 9 აპრილის შემდეგ, ძნელია, ამას თავისუფალი ცხოვრება ეწოდოს. დიდი დიქტატორი ამჯერად ხანგრძლივი სასამართლოსათვის მოემზადება.

# აზერბაიჯანი პრეზიდენტს ეთხოვება

პირველი გვერდიდან

იმავდროულად, ალიევისეული სტაბილურობა აზერბაიჯანში სულ უფრო იძენდა ავტორიტარიზმის ნიშნებს. მისი ძალაუფლების დასაყრდენს ქმნიდა პირადი ლოიალობის საფუძველზე აგებული კლანური სისტემა, სადაც მმართველი ჯგუფი ერთპიროვნულად აკონტროლებდა ქვეყნის მდიდარ ენერგორესურსებს. ასეთი ტიპის მმართველობას უკავშირდება კორუფციისა და პატრიმონიალური კავშირების სიმძლავრე. მმართველობის ამგვარი ფორმის ნათელი დადასტურებაა ქვეყანაში აზიური სტილის “საპრეზიდენტო მემკვიდრეობითობის” დაკანონება. ექსპერტებში შეშფოთებას იწვევს აზერბაიჯანის ეკონომიკის ცალმხრივი, მხოლოდ ენერგეტიკული კუთხით განვითარებაც. და ბოლოს, ალიევმა ვერ შეძლო ქვეყნის წინაშე უმთავრესი პრობლემის – ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მკვდარი წერტილიდან დაძვრა. სომხების სამხედრო კონტროლქვეშ რჩება ყარაბაღისა და მიმდებარე ექვსი რაიონის ტერიტორიები, აზერბაიჯანის საერთო ტერიტორიის დაახლოებით 20 პროცენტამდე. 1 მლნ-ზე მეტი აზერბაიჯანელი - ლტოლვილია.

აზერბაიჯანისა და საქართველოს პოსტსაბჭოურ განვითარებაში ხშირად ავლებენ პარალელებს და ამის მაგალითად ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებსა და მოსკოვის ზეწოლას, ქარიზმატულ ლიდერებსა და დასავლეთთან დაახლოებას ასახელებენ. ორივე შემთხვევაში ხშირად ისმოდა კითხვა: რა იქნება ალიევისა და შევარდნაძის შემდეგ? მართლაც, ორივე ქვეყანაში ერთდროულად დასრულდა “დამფუძნებელი მამების” ეპოქა. აზერბაიჯანი ცრემლებით აცილებს თავის ლიდერს, რაც არ მოხდა შევარდნაძის შემთხვევაში. ალიევმა შვილი დატოვა მემკვიდრედ, რაც ვერ შეძლო შევარდნაძემ. მიუხედავად ამისა, შევარდნაძე უფრო კმაყოფილი უნდა იყოს შედეგით: აზერბაიჯანს მომავალში მოუწევს იმის გავლა, რაც საქართველოში ნელ-ნელა ისტორიის საკუთრება ხდება.

# ევროკავშირი იმედიანადაა

დავით აფრასიძე

1991 წლის მაასტრიხტის სამიტს ერთიანი ევროპის ისტორიაში გარდამტეხი ეწოდა, რადგან ამ სამიტზე ოფიციალურად გამოცხადდა ევროკავშირის შექმნა და ინტეგრაციამ ახალი სფეროები, განსაკუთრებით - უსაფრთხოება და ერთიანი საგარეო პოლიტიკა მოიცვა. 2003 წლის 12-13 დეკემბრის ბრიუსელის სამიტი კი ევროკავშირის ისტორიაში მარცხის სიმბოლო უფრო იქნება. იგი ნათლად აჩვენებს, რომ ზენაციონალური ინტეგრაციის ხანაშიც კი სახელმწიფოებს საკუთარ სუვერენულ უფლებებთან გამოთხოვება უჭირთ.

ბრიუსელის სამიტს ევროკავშირის კონსტიტუცია უნდა მიეღო. კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ევროკავშირის ინსტიტუტების სტრუქტურა და ფუნქციები, განაწილებულია უფლება-მოვალეობები თანამეგობრობასა და წევრ ქვეყნებს შორის. ერთი სიტყვით, კონსტიტუცია უნდა იქცეს ევროკავშირის უმთავრეს დოკუმენტად, რომელიც, თანამეგობრობის გაფართოების პირობებში, მას ქმედუნარიანობას შეუნარჩუნებს. ევროკავშირში უკვე მომავალ წელს 10 ქვეყანა შევა და წევრთა რაოდენობა 25-ს მიაღწევს.

ბრიუსელის სამიტში ევროკავშირის დღევანდელი და მომავალი წევრი სახელმწიფოების, სახელმწიფოსა და მთავრობის ლიდერები მონაწილეობდნენ. მათ დაახლოებით 100 საკითხზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ. უმთავრესი კი ევროკავშირის ორგანოებში, კერძოდ, მინისტრთა საბჭოში ხმების განაწილების პრინციპი იყო. ევროპის კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებულ მოდელს არ ემხრობოდნენ საშუალო და პატარა ქვეყნები, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს მოდელი ევროკავშირის წამყვანი ოთხეულის – გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის დიქტატს დაამყარებდა. ყველაზე მწვავე იყო ესპანეთისა და პოლონეთის პოზიციები, რომლებიც 2000 წელს ნიცაში შეთანხმებულ ვარიანტს ემხრობოდნენ, სადაც კვალიფიცირებული გადაწყვეტილებები უფრო მეტი ქვეყნის თანხმობის პირობებშია შესაძლებელი.

ბრიუსელის სამიტი მარცხით დასრულდა. მხარეებმა თქვეს, რომ კონსულტაციები გაგრძელდება, თუმცა ახალი სამიტის სავარაუდო თარიღიც კი არაა დასახელებული. იმავდროულად, ევროპის ლიდერები ოპტიმიზმს არ კარგავენ. მაშინ, როცა გერმანელმა შრიოდერმა სამიტის დამარცხებაში ის ქვეყნები დაადანაშაულა, რომელთაც ერთიანი ევროპის იდეისათვის ეროვნულ ინტერესებზე ამაღლება ვერ მოახერხეს, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მილერმა ბრიუსელის მარცხს დროებითი მოვლენა უწოდა. ოპტიმისტურადაა განწყობილი იტალიელი ბერლუსკონიც. მისი თქმით, 100 სადავო საკითხიდან 82-ზე შეთანხმება მოხერხდა. ახლა აუცილებელია, რომ, მომავალი კონსულტაციების დროს, უკვე შეთანხმებული პუნქტების გადახედვა აღარ მოხდეს. საფრანგეთი და გერმანია კი აცხადებენ, რომ კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ჩავარდნის შემთხვევაში აქტიურად განიხილავენ “განსხვავებული სიჩქარეების” ევროპის იდეას, რასაც ხშირად “კლუბების ევროპასაც” უწოდებენ. ამ იდეის მიხედვით, ევროკავშირის ის ქვეყნები, რომლებიც უფრო ღრმა ინტეგრაციისათვის არიან მზად, სხვებს არ დაელოდებიან და თავად გადადგამენ ამ ნაბიჯს. იდეის მოწინააღმდეგეებს კი მიაჩნიათ, რომ “მრავალსაფეხურიანი ევროპა” ძირშივე ეწინააღმდეგება ერთიანი ევროპის იდეას და ახალი წყალგამყოფების შექმნას უწყობს ხელს.

მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, მომავალი წლის იანვრიდანვე განახლდება. “ბრიუსელმა აჩვენა, რომ მხარეებს შორის ჯერ კიდევ ფუნდამენტური სახის განსხვავებები არსებობს,” – თქვა ბერლუსკონიმ. “უმჯობესია, მხარეებს დრო მივცეთ და ხელახლა შესაბამისი მომზადების შემდეგ შევიკრიბოთ,” – მიიჩნევს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. ევროპის ლიდერებს ესმით, რომ ბრიუსელმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ევროკავშირის საერთაშორისო იმიჯს და დაადასტურა ევროსკეპტიკოსთა მოსაზრება, რომ ეროვნული სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე ზენაციონალური ინტეგრაცია სასურველი უფროა, ვიდრე შესაძლებელი. ამდენად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები კომპრომისის მონახვას აუცილებლად ეცდებიან, მით უფრო, რომ ამ კომპრომისზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული გაფართოებული ევროპის ეფექტურობა. იტალია წელს ევროკავშირში პრეზიდენტი-ქვეყნის მოვალეობებს ასრულებს. მომავალი წლიდან, ექვის თვის ვადით, ევროპის გადარჩენაზე ზრუნვა ირლანდიელებს მოუწევთ.

# ბუში პუტინის შესახებ შეხედულებას იცვლის

პრეზიდენტი ბუში, რომელიც ათი კვირის წინ საჯაროდ აქებდა პუტინს რუსეთში თავისუფლებისა და დემოკრატიის დამყარებისათვის, რუსეთის ლიდერით უკმაყოფილებას უკვე აღარ მალავს, – აცხადებენ აშშ ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები. ბუში და მისი საგარეო პოლიტიკური გუნდი უკვე შეშფოთებით უყურებს პუტინის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, – იქნება ეს მილიარდერი ხოდორკოვსკის დაპატიმრება, თუ დუმის არჩევნების გაყალბება.

"ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ ვაშინგტონის ანალიტიკურ წრეებში, შემდეგ კი ადმინისტრაციის შიგნით სერიოზული დებატები დაიწყო, – ამბობს რუსეთის ცნობილი ექსპერტი მაიკლ მაკფოლი, – ამჟამად პუტინის შესახებ ადრე არსებული შეხედულებების გადახედვა ხდება".

შეხედულებათა შეცვლას, ჯერჯერობით, მინიმალური პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. პუტინის მიერ დამოუკიდებელი მასმედიის შეზღუდვას, გავლენიანი ბიზნესმენების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიასა და ჩეჩნეთში წარმოებულ არაადამიანურ ომს ბუში მხოლოდ "უკმაყოფილების გამოხატვით" პასუხობს.

ბუშის ამჟამინდელ დამოკიდებულებას პუტინისადმი განსაზღვრავს, ერთი მხრივ, იმედი, რომ რუსეთის პრეზიდენტის გაუთავებელი საუბარი დემოკრატიასა და "კანონის დიქტატურაზე" შეიძლება რეალობად იქცეს, მეორე მხრივ, გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, თუ საით მიჰყავს პუტინს რუსეთი. ამავე დროს, ბუში ითვალისწინებს იმასაც, რომ აშშ-ს რუსეთთან თანამშრომლობა სურს ისეთ საკითხებში, როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ერაყის საგარეო ვალი და ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამები.

როგორც აშშ ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, პუტინთან ბოლო სატელეფონო საუბრის დროს, ბუშმა უკმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ პუტინმა ვერ შეასრულა პლურალიზმთან და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით გაცემული პირობები.

რუსეთთან ურთიერთობების შესახებ დებატები ვაშინგტონში არ გამართულა მას შემდეგ, რაც თავის ცნობილ სიტყვაში ბუშმა განაცხადა, რომ "პუტინის თვალებში ჩაიხედა და მისი სული დაინახა". ურთიერთობების მომავალი გარანტირებული ჩანდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთი უყოყმანოდ შეუერთდა ანტიტერორისტულ კოალიციას.

თუმცა, პუტინის მიერ გადადგმული ნაბიჯების მთელმა სერიამ ეს ნდობა შეარყია. ადმინისტრაცია შოკში ჩააგდო ანტისაომარ კოალიციასთან რუსეთის მიერთებამ. ამას მოჰყვა ივნისში უკანასკნელი დამოუკიდებელი ტელეარხის დახურვა, ოქტომბერში – ჩეჩნეთში გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, რამდენიმე კვირის შემდეგ – ხოდორკოვსკის დაპატიმრება, ბოლოს კი – არჩევნები, რომლის შედეგებიც დიდწილად განსაზღვრა პუტინის შეხედულებებმა. ეუთო-მ არჩევნები "დემოკრატიზაციის გზაზე უკანგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა". თეთრმა სახლმა საჯაროდ გაიზიარა ეს შეფასება.



ჯორჯ ბუში და ვლადიმირ პუტინი.

"ჩვენ სულ უფრო და უფრო შემაშფოთებელი ამბები გვესმის იმაზე, თუ საით მიჰყავს პუტინს რუსული სამოქალაქო საზოგადოება. გარდა ამისა, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ხშირია წინ და უკან სიარული," – აცხადებს მოსკოვში მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატი. ახლა მთავარია, როგორ გამოიყენებს პუტინი თავის აბსოლუტურ კონფლიქტს დუმაზე და როგორი ურთიერთობა ექნება მას პარლამენტში გასულ ორ ნაციონალისტურ პარტიასთან.

სენატორი მაკეინი პოლიტიკოსთა იმ მცირე ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ღიად მოუწოდებენ ბუშს, უფრო მტკიცე პოზიცია დაიკავოს პუტინთან ურთიერთობაში. მაკეინი ხშირად საუბრობს "დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგ რუსეთში მიმდინარე მცოცავ გადატრიალებაზე".

“ახალი ავტორიტარიზმი რუსეთში არის, ერთი მხრივ, გამოცდა ამერიკისათვის იმაში, თუ რამდენად შეუძლია მას საყოველთაო ღირებულებების დაცვა; მეორე მხრივ, კი წარმოადგენს საფრთხეს, რომელიც ევრაზიაში ამერიკის ინტერესებს ემუქრება,” – ამბობს მაკეინი.

ამერიკის ურთიერთობები რუსეთთან სულ უფრო მეტად წააგავს ვაშინგტონის ურთიერთობებს ჩინეთთან. ვაშინგტონი-პეკინის ურთიერთობებში მთავარია სამუშაო ატმოსფეროს შენარჩუნება. ამას ხშირად მსხვერპლად ეწირება ისეთი საკითხები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია და ა.შ.

"ვფიქრობ, ადმინისტრაცია ისევე მოექცევა რუსეთს, როგორც ექცევა ჩინეთს. ამ უკანასკნელთან ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ ტაივანზე, ჩრდილოეთ კორეაზე და ვაჭრობის საკითხებზე. ჩვენ ერთმანეთის შესახებ მხოლოდ კარგ რამეებს ვამბობთ და ერთმანეთის დაქცევას არ ვცდილობთ. მგრძნობიარე საკითხებზე იშვიათად ვსაუბრობთ,"- ამბობს სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი კოიტ ბლეკერი.

რუსეთი საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკასთან უმნიშვნელოვანეს საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, როგორიცაა ირანი და ჩრდილოეთ კორეა. და მაინც, მოსკოვი აშკარად გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას ვაშინგტონის მიერ მოლდოვაში, საქართველოსა და შუა აზიაში ჩარევის გამო.

იგორ ივანოვმა ბრალი დასდო აშშ-ს, რომ იგი საიდუმლოდ მხარს უჭერდა პრეზიდენტ შევარდნაძის დამხობას, და რომ ამ საქმეში მთავარი როლი აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა შეასრულა.

რიჩარდ პერლი, რომელიც პენტაგონში დიდი გავლენით სარგებლობს, რუსეთის დიდი რვიანიდან გარიცხვას მოითხოვს. ვაშინგტონ პოსტისათვის ოქტომბერში მიცემულ ინტერვიუში მან რუსეთთან ურთიერთობაში მკაცრ პოლიტიკას დაუჭირა მხარი და მოითხოვა, რუსეთი იმ ქვეყნების სიიდან ამოეღოთ, რომლებსაც ერაყში კონტრაქტების მიღების უფლება აქვთ. ეს გადაწყვეტილება ბუშმა 5 დეკემბერს მიიღო.

აშშ ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, მათ პუტინზე ზემოქმედების არც ისე ბევრი საშუალება აქვთ, თუ არ ჩავთვლით ინვესტიციებს, რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ამერიკასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას.

*ვაშინგტონ პოსტი*

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს,

სახელმწიფო მინისტრს
ბატონ ზურაბ ჟვანიას,

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძეს,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ლადო ჭანტურიას,

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ გია ბარამიძეს,

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლში
ბატონ ზურაბ მელიქიშვილს

## შპს "კვარციტის" ავსტრალიელი და ქართველი პარტნიორების ერთობლივი განცხადება

შპს "კვარციტის" ავსტრალიელი და ქართველი პარტნიორები შეშფოთებას გამოვთქვამთ დღეისათვის კომპანიის ირგვლივ შექმნილი არაჯანსაღი ვითარების გამო, რაც გამოიხატება საქართველოს სამართლადამცავი და სასამართლო ორგანოების ცალკეული ყოვლად გაუმართლებელი და არამართლზომიერი მოქმედებებით, ჩვენი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლასა და მასმედიის საშუალებებით შპს კვარციტის რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებაში.

კერძოდ, 2003 წლის 8, 9 და 11 დეკემბერს ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა შუამდგომლობით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, რათა ვინმე ლ. მოდებაძის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს გაეცა ბრძანება სს "თი-ბი-სი" ბანკიდან შპს კვარციტის საქმიანობის შესახებ კომერციული საიდუმლოების შემცველი კონფიდენციალური ინფორმაციის, ხოლო სს "ინვესტბანკის" საცავიდან შპს "კვარციტის" კუთვნილი 600 (ექვსასი) კგ ოქროს დორე შენადნობის ამოღების თაობაზე, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა.

ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ არის ლ. მოდებაძე და რა კავშირი აქვს მას და მისთვის ინკრიმინირებულ დანაშაულს შპს კვარციტთან.

ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა მოხდეს შპს კვარციტის საქმიანობაში ესოდენ უხეში ჩარევა სხვის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გამო, რომელზედაც შპს კვარციტის არც ერთი წარმომადგენელი თუ თანამშრომელი მოწმის სახითაც არ არის დაკითხული.

მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მხრიდან უხეშად ირღვევა საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ჩარევის პროპორციულობის პრინციპი დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებასთან მიმართებაში და, შესაბამისად, ილახება ჩვენი უფლებები.

ვფიქრობთ, აღნიშნულ ორგანოებს სრულად არა აქვთ გააზრებული, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ ამგვარ ქმედებებს. ზემოხსენებული ოქროს დორე შენადნობის ექსპორტის განუხორციელებლობის გამო:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ვერ შევა რამდენიმე მილიონი ლარი;
- შპს კვარციტის ათასობით თანამშრომელი ვერ მიიღებს კუთვნილ ხელფასებს;
- დიდი ბრიტანეთის კონტრაქტორი კომპანიის "ჯონსონ მეთიუს" მხრიდან შპს კვარციტის წინაშე დადგება საკითხი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე, და სხვა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ხელისუფლება, სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები, საღად შეაფასებენ შექმნილ ვითარებას და შემდგომი სწორი გადაწყვეტილებებით და მოქმედებებით შესაძლებლობას მისცემენ შპს კვარციტს, განაგრძოს კეთილსინდისიერი და წარმატებული საქმიანობა კომპანიის და ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.



## სესბ-ის მიმართვა

### საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის

# მყიდველებს

**პატივცემულო ბატონებო,**

როგორც თქვენთვის ცნობილია ახლოვდება ახალი წლისა და შობის დღესასწაულები. ამიტომ, სესბი განსაკუთრებულად არის დაინტერესებული, ერთის მხრივ, დროულად მოახდინოს თანხების გადარიცხვა გენერაციის ობიექტებისა და სხვა მომსახურე ორგანიზაციის თანამშრომლების ხელფასების გადასახდელად და მეორეს მხრივ, არ მოხდეს თქვენი ორგანიზაციების მაღალი ძაბვის ქსელიდან გამორთვა.

აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, რომ თქვენს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური დროულად გადმორიცხოთ სესბ-ის სატრანსფერო ანგარიშზე, რათა გენერაციისა და მომსახურე ობიექტებისთვის აღნიშნული თანხების განაწილება დეკემბრის თვის ბოლომდე მოესწროს.

წინასწარ გიხდით მადლობას თქვენი ძალისხმევისათვის.


# "თქვენ გაქვთ საფუძველი, ამაყად ატაროთ ჯარისკაცის მუნდირი!"

### საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის გამოსვლა გამოსაშვებ სამხედრო აღლუმზე



ნინო ბურჯანაძე სამხედრო აღლუმზე.

ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო და რიგითებო, პატივცემულო საზოგადოებავ!

დღეს ჩვენ ყველანი ერთად საზეიმოდ აღვნიშნავთ კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის გზაზე.

არმია დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტია და მისი სრულყოფა რთულ და სერიოზულ პროცესს წარმოადგენს.

ჩვენ, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ ეროვნული არმიის შექმნა და დღეს თანამედროვე მოთხოვნათა და ახალი პრინციპების შესაბამისად უნდა განვახორციელოთ მისი რეფორმირება, მძიმე ეკონომიკური რეფორმების ფონზე.

საქართველომ აირჩია დემოკრატიული განვითარების გზა და ყოველმხრივ უჭერს მხარს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემის შექმნაში, რამაც განაპირობა კიდეც მათი ჩვენდამი აქტიური და მრავალმხრივი დახმარება.

ეს დახმარება განსაკუთრებით დასაფასებელია, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობები არ გვაძლევს რეფორმების განხორციელების და დაფინანსების შესაძლებლობებს.

საქართველოს ოფიციალური განცხადება, ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ, გვავალდებულებს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად შეიარაღებული ძალების დასავლური სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას.

მისასალმებელია, რომ ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სახელისუფლებო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც კარგი წინაპირობაა მიზნის მისაღწევად.

არმიის რეფორმა სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადებას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას მოითხოვს, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი მეგობრები.

ამ მხრივ აშშ-ს ძალისხმევა, მართლაც, გამორჩეულია!

წლების მანძილზე გამოვლენილი თანადგომა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობა, თვისობრივად, ახალ ეტაპზე გადავიდა. წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დაწყებიდან წელიწადნახევარი გავიდა.

მისი შინაარსიდან გამომდინარე, ის დამსახურებულად მოექცა საზოგადოების ინტერესის ცენტრში.

პროგრამა გეგმის მიხედვით ხორციელდება და გვაქვს კიდეც შესაბამისი შედეგები.

საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მისი წარმატებით დასრულებისათვის, ვინაიდან პროგრამა გვაძლევს რეალურ და მყარ საფუძველს პროფესიონალური არმიის შესაქმნელად.

დღეს აღინიშნება პროგრამის მესამე ფაზის მეოთხე ეტაპის დასრულება.

ჩვენს წინაშეა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე პროფესიონალური ქვედანაყოფი, ასმეთერთმეტე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, რომელმაც, ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, ინტენსიური მომზადება გაიარა და მიაღწია საბრძოლო მომზადების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დონეს.

დარწმუნებული ვარ, პროგრამის ბოლო ეტაპზეც არანაკლები შედეგები იქნება მიღწეული.

ბატალიონის პირად შემადგენლობას საზეიმოდ გილოცავთ წვრთნის დამთავრებას!

თქვენ გაქვთ საფუძველი, ამაყად ატაროთ ჯარისკაცის მუნდირი, საქართველო კი ყოველთვის ამაყობდა ქვეყნის მთლიანობისა და სტაბილურობის ღირსეული დამცველებით.

თქვენ გააკეთეთ უაღრესად საპატიო და დასაფასებელი არჩევანი სამშობლოსათვის განსაკუთრებული სამსახურის გასაწევად. დარწმუნებული ვარ, შეძენილი ცოდნა შეგაძლებინებთ მომავალში თქვენს წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

დღეიდან კი თქვენი ამოცანაა, ყოველდღიური შრომით შეინარჩუნოთ საბრძოლო მომზადების მიღწეული დონე.

მჯერა, რომ თითოეულ თქვენგანს გაცნობიერებული აქვს სახელმწიფოს ერთიანობის და უსაფრთხოების დაცვის დიდი პასუხისმგებლობა.

გისურვებთ მშვიდობას, წარმატებებს, ღირსეულ სამხედრო სამსახურს!

ვსარგებლობ შემთხვევით - მადლობას ვუხდი ყველას, ვინც იღწვის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ვინც იდგა ამ პროგრამის სათავეებში!

მადლობას ვუხდი აშშ-ს ხელისუფლებას, აშშ-ს პრეზიდენტს! ვფიქრობ, დასაფასებელია ის წვლილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის დროზე გასწია ამ პროგრამის განხორციელებისათვის.

მინდა, მადლობა გადავუხადო ამერიკელ ინსტრუქტორებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ საქართველოს შეიარაღებული ძალების ფეხზე დასაყენებლად!

მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს!

მინდა, გითხრათ, რომ ქართველ დედებს თქვენი იმედი აქვთ.

მინდა, გითხრათ, რომ, თქვენი შემყურე, თითოეულ ქართველ დედას გული სიამაყის, სიმშვიდის და ხვალინდელი საქართველოს იმედის გრძნობით ევსება.

დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებას, ბედნიერ, წარმატებულ, ღირსეულ საქართველოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას!

# დაზარალებულები სახელმწიფოს კუთვნილ შენობებში გამოიზამთრებენ

ნანა ქადაგიშვილი

*ქალაქის მერია მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს სახელმწიფოს კუთვნილ შენობებში გამოზამთრებას სთავაზობს. შენობების მოძიება უკვე დაიწყო. ფინანსთა სამინისტრო კი დაზარალებულთათვის კუთვნილი ორი მილიონის გადმორიცხვას თვის ბოლოსთვის გვპირდება. დაზარლებულები იმედოვნებენ, რომ დაპირებას ახალი ფინანსთა მინისტრი მაინც შეასრულებს და ბოლოს და ბოლოს ელირსებიან ნახევარი წლის წინათ მისაღებ თანხას.*

**"დაზარალებულთათვის თავისუფალი შენობების გამოძებნა რაიონების გამგეობებს, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა გამგეობას და თვით დაზარალებულებს დავავალეთ. სანამ უკეთესად დახმარებას შევძლებთ, ისინი სახელმწიფოს კუთვნილ შენობებში იცხოვრებენ. ღია ცის ქვეშ მაინც არ მოუწევთ ზამთრის გატარება,"** – აცხადებს ქალაქის მერი ვანო ზოდელავა.

მერია იმედოვნებს, რომ ამასობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეპირებული ორი მილიონიც შეეშველება. ამ თანხით დაზარალებულთა ნაწილს კომპენსაციას მისცემენ, ნაწილს კი თავშესაფრებს უყიდიან. მერიის საბინაო მეურნეობის სარეაბილიტაციო ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის შედეგად 22 ათასამდე შენობაა დაზიანებული. აქედან 299 აღდგენას არ ექვემდებარება. ავარიულია 341 მაღლივი კორპუსი, რომელთაგან 177 პირველ კატეგორიას მიეკუთვნება, 157 - მეორე კატეგორიას, ხოლო 7 შენობა – მესამე კატეგორიას. გასულ წელს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა ყოფილმა ფონდმა მხოლოდ 256 თავშესაფრის ყიდვა მოახერხა. დანარჩენ ათასობით დაზარალებულს ორი მილიონი ნამდვილად არ ეყოფა, მაგრამ ისინი თავს იმშვიდებენ, რომ სულ არაფერს მცირედი მაინც სჯობს.



მიწისძვრის შედეგი.

წინა ხელისუფლებამ დაზარალებულები ამ ორ მილიონზეც დიდხანს აწუწუნა. ჯერ ოთხ მილიონს შეჰპირდა; ბიუჯეტის სეკვესტრამდე ცოტა ხნით ადრე კი ფინანსთა სამინისტრო დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ სეკვესტრი დაზარალებულთა ოთხ მილიონს არ შეეხებოდა. ხუთი თვის წინათ სამინისტრო ძველი ფონდის ნაცვლად შექმნილ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა გამგეობას ბოლომდე ატყუებდა, - ბიუჯეტში თქვენთვის გადმოსარიცხი ოთხი მილიონი ხელუხლებლად დევს და გამგეობის იურიდიულად დამტკიცებას ელისო. **"ფინანსთა სამინისტროში ოფიციალურად განგვიცხადეს, რომ დაზარალებულთა კუთვნილი ოთხი მილიონი ბიუჯეტში ზის და გამგეობის დამტკიცებას ელოდება. სამინისტროსგან მოვითხოვთ, თანხა მერიის ბიუჯეტში ჩაირიცხოს. მერია შეგვპირდა, რომ ამ ოთხ მილიონს შეინახავს და, როცა გამგეობა დამტკიცდება, გადმოგვირიცხავს,"** – აცხადებდა გამგეობის თავმჯდომარე, რომელმაც ერთი თვის წინათ ჟურნალისტებისგან შეიტყო, რომ შეპირებული ოთხი მილიონი, კარგა ხანია, განახევრებულია.

დაზარალებულებსა და გამგეობის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება მათთვისაც მოიცლის და წინამორბედის მაგალითს არ გაიმეორებს.

## ორი სიტყვით

### ჯვარში ჩატანებული სიწმინდეები

წმიდა სამების მშენებარე ტაძარს რამდენიმე დღის წინათ ჯვარი დაადგეს. ჯვრის ზედა ნაწილში მოთავსებულია სიწმიდეები: ჯვრის ის ნაწილი, რომელზეც მაცხოვარი ეწამა; წმიდა დავით და წმიდა დოდო გარეჯელების ნაწილები, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი – „მვედრებელი", ლითონის ხატები: საქართველოს მფარველთა წმიდა ნინოსი, წმიდა გიორგის და წმიდა ნიკოლოზისა. ჯვარში, ასევე, მოთავსებულია თორმეტი წმიდა კელაპტარი და საკმეველი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ დროისათვის დედაქალაქის რაიონებს ბუნებრივი აირი შეზღუდული რაოდენობით მიეწოდებათ. როგორც „თბილგაზში" აცხადებენ, ამის მიზეზია, ტემპერატურის დაცემის გამო, ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდა, რამაც გაზგაყვანილობის მილებში ბუნებრივი აირის წნევის დაცემა გამოიწვია.

„თბილგაზის" ხელმძღვანელობა მდგომარეობის გამოსწორებას მომავალი კვირის ოთხშაბათისათვის ვარაუდობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, დილით 10.45 საათზე რუსთაველის გამზირის №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბუნკერს ხანძარი გაუჩნდა. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ცნობით, შემთხვევის ადგილას გავიდა ოთხი სახანძრო მანქანა, დაიწვა 15 კვადრატული მეტრი ფართი. ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიწის მართვის დეპარტამენტში სიტუაცია განიმუხტა. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ განაცხადა, 16-მა დევნილმა ქალმა, რომლებსაც დეპარტამენტის რამდენიმე ოთახი ჰქონდათ დაკავებული, შენობა გუშინ დატოვა - ისინი თავიანთ დროებით საცხოვრებლებს დაუბრუნდნენ.

ლონდერ ცაავას თქმით, მას ჰქონდა ამ თემაზე საუბარი სახელმწიფო მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან, რომელიც დევნილების საცხოვრებელი პრობლემის მოგვარებას უახლოეს დღეებში დაჰპირდა. ამ შენობაში განთავსებული რამდენიმე უწყება სამუშაო პროცესს ორშაბათიდან განაახლებს. წინასწარი ინფორმაციით, დევნილებს შენობისთვის და იქ განთავსებული ორგანიზაციებისთვის რაიმე სერიოზული ზარალი არ მიუყენებიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის სამენოვან მე-12 საშუალო სკოლას, მისი დაარსებიდან 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, ალექსანდრე პუშკინის სახელი მიენიჭა და იგი ამიერიდან პუშკინის სახელობის საერთაშორისო ასოციაციის წევრია. სკოლამ დამეგობრების ხელშეკრულება უკვე გააფორმა მოსკოვის ალ. პუშკინის სახელობის 353-ე საშუალო სკოლასთან, რომელსაც მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ შემდგარი ათკაციანი დელეგაცია უახლოეს დღეებში ეწვევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რამდენიმე წელია, რაც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ „ალილოს" ტრადიცია აღადგინა. საპატრიარქოს პრესცენტრი აპირებს, თავის ყოველკვირეულ გამოცემაში - „საპატრიარქოს უწყებანი," გამოაქვეყნოს შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სტატიათა სერია „ალილოს" ტრადიციის შესახებ. საპატრიარქოში ამბობენ, რომ „ალილოს" ტრადიციის ანალოგი, შეიძლება, ბევრ ქრისტიანულ ქვეყანაში დაიძებნოს, მაგრამ იგი ღრმად ეროვნული და ქართულია. „ალილოს" საფუძველი მაცხოვრის შობით გამოწვეული სიხარულის გაზიარება და მომხდარის ხარებაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის „ქრისტიანი ტელეევანგელისტების" ჯგუფი, აგრეთვე, ქალაქ მესაში მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანება „ოჯახების საერთაშორისო ორგანიზაცია" საგანგებო კამპანიას ეწევიან ქვეყნის კონსტიტუციაში შესწორების შესატანად - ჰომოსექსუალთა ქორწინების აკრძალვის მიზნით. კონსერვატიულად განწყობილმა ამერიკის მოსახლეობამ, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ომი წამოიწყო ჰომოსექსუალთა ქორწინების წინააღმდეგ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში დიფტერიის ერთი საეჭვო შემთხვევა გამოვლინდა. ამ დაავადების ნიშნები ჰქონდა 5 წლის ასაკის ბავშვს, რომლის გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს და იგი რამდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა. ბავშვი მცხეთის რაიონში ცხოვრობდა; აღრიცხვაზე იყო თბილისის გლდანის მასივის ბავშვთა პოლიკლინიკაში. როგორც გაირკვა, ბავშვი აუცრელი აღმოჩნდა, რამაც მისი მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მომავალ კვირას საქართველოში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ჩამოვა, რომელიც ქვეყანაში პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შედეგებს შეისწავლის. ექსპერტები იმუშავებენ თბილისშიც და რეგიონებშიც; ისინი შეადგენენ დასკვნას იმუნიზაციის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. **მედია-ნიუსი**

# „თუ ერთ თვეში ოპერაციას არ გავიკეთებ...„

თინათინ ასათიანი

*თინათინ სიხარულიძე 22 წლისაა. იგი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია და მომავალში, თუკი იცოცხლა, კარდიოლოგი გახდება... მას გულის თანდაყოლილი მანკი აქვს. აქამდე ავადმყოფობას არასდროს შეუწუხებია. შარშან თებერვალში კი ბაქტერიული ენდოკარდიტი დაემართა და, სავარაუდოდ, სწორედ ამან წარმოქმნა გულის ჰიპერტროფია (გულის კუნთოვანი მასის გადიდება). თუ დილატაცია მოხდა - ანუ, თუ გული, წნევის ხარჯზე, ზომაში გაიზარდა, თინათინს ოპერაციის გაკეთებაზეც უარს ეტყვიან.*

**"მე გულის თანდაყოლილი მანკი მაქვს. ადრე სულ სხვა დიაგნოზი მქონდა - პარკუჭთაშორისი ძგიდის დეფექტი. ახლა ვითარება გართულდა - აორტის მკაცრი სტენოზი დამიდგინეს,"** - ამბობს თინათინი. გამოკვლევა მან ჯო ენის კლინიკაში ჩაიტარა.



თინათინ სიხარულიძე

იქ მას ოპერაციის სასწრაფოდ გაკეთება ურჩიეს. ქირურგიული ჩარევის ბოლო ვადა სექტემბერი იყო.

ოპერაციისთვის საჭირო 5 500 დოლარი 22 წლის სტუდენტს არ აღმოაჩნდა. იგი ჩუღურეთში ოროთახიან, ძველ ბინაში ცხოვრობს დედასთან და დასთან ერთად. ოჯახში მხოლოდ თინათინის და მუშაობს. დედა, რომელიც პროფესიით ბიბლიოთეკარია, უხელფასობის გამო, სამსახურიდან წამოვიდა. ხან ბავშვს, ხან მოხუცს უვლიდა, მაგრამ ახლა აღარც ეს საშუალება აქვს და, უკვე ორი თვეა, სამსახურს ეძებს.

თინათინის საოპერაციო თანხის, თითქმის, ნახევარი შრომის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გადარიცხა. ეს ზაფხულში იყო. სიხარულიძეების ოჯახი დარწმუნებული გახლდათ, რომ სექტემბრამდე დარჩენილ სამი ათას დოლარსაც მოაგროვებდნენ, მაგრამ ამ თანხას ერთი თეთრიც ვერ დაამატეს.

**"ზაფხულის შემდეგ დავდივარ და ვეძებ ფულს. ძალიან ბევრ სტრუქტურას მივმართე, მაგრამ წლის ბოლოა და ასეთი შემთხვევებისათვის გამოყოფილი თანხები უკვე დახარჯულია,"** - ამბობს პაციენტი.

დაახლოებით, ერთი კვირის წინათ თინათინმა მერიის ჯანდაცვის სამმართველოს მიმართა, სადაც მას 1000 ლარს შეჰპირდნენ, თუმცა გარანტირებული არც ესაა.

**"ჩვენი ბინა ისეთია, რომ გავყიდო და ბავშვს ოპერაცია გავუკეთო, მერე გარეთ უნდა დავრჩეთ. არადა, ოპერაციის შემდეგ მისთვის მშვიდი გარემოა აუცილებელი,"** - წუხს ავადმყოფის დედა.

თინათინი სახლიდან იშვიათად გამოდის, რადგან მეორე-მესამე ხარისხის გულის უკმარისობა აქვს. კიბეზე ასვლის დროს ძალიან იღლება, იღლება ჭამის დროსაც.

**"მე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვარ და მესმის ჩემი მდგომარეობა. საავადმყოფოში მისვლის უკვე მეშინია - შეიძლება მითხრან, რომ ოპერაცია დაგვიანებულია,"** - ამბობს თინათინი.

# საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა დეკემბრის თვის ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების საპროგნოზო ლიმიტები დაამტკიცა

სესბ GWEM

დეკემბრის თვის 20 დღის ენერგობალანსი გამანაწილებელი ენეგოკომპანიებისა და სესბ-ის პირდაპირი მომხმარებლების მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და მათი გადახდის მაჩვენებლების გათვალისწინებითაა შედგენილი.

საქართველოს ენერგოსექტორი საშუალოდ დღეღამის განმავლობაში ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით 21 მლნ. 048 ათასს კვტსთ ელექტროენერგიას საჭიროებს, სექტორის საკუთარი რესურსი კი 19 მლნ 224 ათასს კვტსთ ელ.ენერგიას შეადგენს. აღნიშნული პერიოდის ენერგობალანსში გათვალისწინებულია თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია და იმპორტი. კერძოდ, "მტკვრის" მე-9-ე ენერგობლოკი დღეღამეში საშუალოდ 5 მლნ 520 ათასს კვტსთ ენერგიას გამოიმუშავებს, რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემიდან კი დღეღამურად საშუალოდ 4 მლნ 620 ათასი კვტსთ ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება, საიდანაც 2 მლნ 370 ათასი კვტსთ ენერგია "თელასის" კუთვნილებაა, ხოლო 2 მლნ 250 ათასი კვტსთ აზერბაიჯანში ტრანზიტად გაედინება.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში წყლის დონე კვლავ დაგეგმილზე დაბალია. ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში წყლის დონისა და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყების გათვალისწინებით დეკემბრის დარჩენილი პერიოდისთვის (20-31) ენერგობალანსი დამატებით დამუშავდება.

საქართველოს ენერგოსექტორში ელექტროენერგიის არსებული რესურსის საფუძველზე მომხმარებლებისთვის ელ.ენერგიის მიწოდების გრაფიკიც დაიგეგმა.

კერძოდ, "თელასი" ელექტრონერგიას მოთხოვნის შესაბამისად იღებს, დედაქალაქის დღეღამური მოხმარება საშუალოდ 9 მლნ 500 ათასი კვტსთ ელ.ენერგიაა, რაც მაქსიმუმზე 510 მვტ-ს შეადგენს.

დანარჩენი მსხვილი გამანაწილებელი ენერგოკომპანიები ელექტროენერგიას გადახდების შესაბამისად იღებენ.

აჭარა – მაქსიმუმზე მოთხოვნილი 80 მვტ-ს ნაცვლად 45 მვტ ელ.ენერგიას იღებს.

კახეთი-მაქსიმუმზე მოთხოვნილი 35 მვტ-ს ნაცვლად აღნიშნულ ენერგოკომპანიას 25 მვტ ელ.ენერგია მიეწოდება.

გაერთიანებული ენერგოკომპანია-მაქსიმუმზე მოთხოვნილი 245 მვტ-ს ნაცვლად მას 135 მვტ ელექტროენერგიის მიწოდება დაუდგინდა.

სესბ-ის პირდაპირ მომხმარებლებს, როგორც ელექტროენერგიის საფასურის სრულად გადამხდელებს, ელექტროენერგიის მიწოდება მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად დაუდგინდათ.

სესბ-ი ელექტროენერგიის შემსყიდველებს დაწესებული ლიმიტის უმკაცრესად დაცვისკენ მოუწოდებს, ვინაიდან ელექტროენერგიის გადაჭარბებულ მოხმარებას მარეგულირებელ ჰიდროელექტროსადგურებში წყლის დონის შემცირებამდე და იმპორტირებული ელ.ენერგიის გაზრდის აუცილებლობამდე მივყავართ, რაც გარკვეულ ფინანსურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაშინ, როდესაც გამანაწილებელი ენერგოკომპანიების გადახდის მაჩვენებელი 30-38%-ს არ აღემატება, გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღება ენერგოსექტორს ურთულეს ვითარებაში აყენებს.

შეთანხმებულია
სახელმწიფო „ელექტროსისტემის"
გენ. დირექტორი ბ. ქრონლი

ვამტკიცებ
საქართველოს ელექტროენერგიის
საბითუმო ბაზრის გენ. დირექტორი
ა. სოლისი

2003 წლის დეკემბრის ელენერგიის დღეღამური და სიმძლავრის საათობრივი მიწოდების გრაფიკი
1-20 დეკემბერი

| | თვე | დღეღამური | საათები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი | ათასი | 0–1 | 1–2 | 2–3 | 3–4 | 4–5 | 5–6 | 6–7 | 7–8 | 8–9 | 9–10 | 10–11 | 11–12 | 12–13 | 13–14 | 14–15 | 15–16 | 16–17 | 17–18 | 18–19 | 19–20 | 20–21 | 21–22 | 22–23 | 23–24 |
| ენგურჰესი | 115100 | 5755 | 125 | 85 | 40 | 40 | 40 | 40 | 130 | 345 | 305 | 265 | 255 | 255 | 280 | 275 | 275 | 255 | 290 | 285 | 350 | 375 | 400 | 400 | 345 | 300 |
| ვარდნილჰესი | 20600 | 1030 | 60 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 60 | 60 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 40 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 |
| ხრამჰესი 1 | 10800 | 540 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 30 | 30 | 30 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 30 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 |
| ხრამჰესი 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შაორჰესი | 10260 | 513 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 27 | 27 | 27 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 27 | 27 | 27 | 27 | 27 | 27 |
| ძევრულჰესი | 6960 | 348 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
| ჟინვალჰესი | 16400 | 820 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| სულ მარეგულირებელი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ჰესსადგურები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ ჰიდროსადგურები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ თბოსადგურები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სრული გენერაცია | 384480 | 19224 | 663 | 593 | 548 | 548 | 548 | 548 | 638 | 853 | 900 | 860 | 820 | 791 | 816 | 811 | 811 | 791 | 836 | 871 | 975 | 1032 | 1057 | 1057 | 1002 | 957 |
| სადგურის დანაკარგები და ს/მ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სუფთა გენერაცია (სალტეზე გაშვება) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ იმპორტი | 92400 | 4620 | 180 | 150 | 150 | 150 | 150 | 160 | 170 | 180 | 220 | 220 | 200 | 200 | 180 | 180 | 180 | 200 | 200 | 200 | 230 | 230 | 230 | 230 | 230 | 200 |
| იმპორტი რუსეთიდან | 92400 | 4620 | 180 | 150 | 150 | 150 | 150 | 160 | 170 | 180 | 220 | 220 | 200 | 200 | 180 | 180 | 180 | 200 | 200 | 200 | 230 | 230 | 230 | 230 | 230 | 200 |
| იმპორტი სომხეთიდან | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ რესურსი | 466386 | 23319 | 823 | 724 | 679 | 679 | 679 | 689 | 788 | 1011 | 1097 | 1057 | 998 | 969 | 974 | 969 | 969 | 969 | 1014 | 1048 | 1181 | 1237 | 1262 | 1262 | 1208 | 1133 |
| ტრანს. ხარჯი და ს.მ. %% | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 | 9.6 |
| ტრანს. ხარჯი და ს. მ | 42281 | 2114 | 73 | 65 | 61 | 61 | 61 | 61 | 70 | 91 | 99 | 96 | 90 | 87 | 88 | 87 | 87 | 87 | 91 | 95 | 107 | 113 | 115 | 115 | 110 | 103 |
| სულ ექსპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ექსპორტი აზერბაიჯანში | 45000 | 2250 | 100 | 70 | 70 | 70 | 70 | 80 | 90 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| გასაცემი ელექტროენერგია | 379105 | 19058 | 650 | 588 | 548 | 548 | 548 | 548 | 628 | 820 | 898 | 862 | 808 | 782 | 786 | 782 | 782 | 782 | 822 | 854 | 974 | 1025 | 1047 | 1047 | 998 | 931 |
| ლიმიტირებული ელექტროენერგია | 378692 | 19040 | 650 | 589 | 549 | 549 | 548 | 547 | 628 | 818 | 901 | 860 | 806 | 783 | 788 | 780 | 782 | 780 | 819 | 851 | 970 | 1024 | 1047 | 1047 | 995 | 930 |
| მოხმარება დანაკარგებით | 420973 | 21048 | 723 | 654 | 610 | 610 | 609 | 609 | 698 | 909 | 1000 | 956 | 896 | 870 | 875 | 867 | 869 | 868 | 910 | 946 | 1078 | 1137 | 1162 | 1162 | 1105 | 1033 |
| | თვე | დღეღამური | საათები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ათასი | ათასი | 0–1 | 1–2 | 2–3 | 3–4 | 4–5 | 5–6 | 6–7 | 7–8 | 8–9 | 9–10 | 10–11 | 11–12 | 12–13 | 13–14 | 14–15 | 15–16 | 16–17 | 17–18 | 18–19 | 19–20 | 20–21 | 21–22 | 22–23 | 23–24 |
| ქ. თბილისი | 177400 | 8870 | 280 | 230 | 190 | 190 | 190 | 190 | 250 | 355 | 425 | 430 | 420 | 400 | 400 | 400 | 400 | 400 | 430 | 450 | 470 | 490 | 510 | 510 | 460 | 400 |
| შ.პ. ბაზრის მომხმარებლები | 17926 | 896.3 | 31.5 | 31.5 | 31.5 | 31.5 | 31.5 | 31.6 | 42.1 | 42.4 | 42.4 | 34.2 | 34.1 | 35.0 | 35.4 | 35.9 | 34.9 | 35.6 | 33.3 | 36.8 | 43.6 | 45.6 | 44.8 | 45.1 | 43.8 | 42.6 |
| აფხაზეთი | 58100 | 2905 | 120 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 120 | 130 | 140 | 140 | 115 | 115 | 115 | 115 | 115 | 115 | 120 | 125 | 130 | 140 | 140 | 140 | 140 | 130 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| აჭარა | 15000 | 750 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 35 | 35 | 35 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 40 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კახეთი სულ | 6906.0 | 345.3 | 6.85 | 6.90 | 6.90 | 6.90 | 6.90 | 6.90 | 6.90 | 16.90 | 16.90 | 16.90 | 10.98 | 10.96 | 12.58 | 10.98 | 10.98 | 10.98 | 11.06 | 17.58 | 17.16 | 25.98 | 27.58 | 25.96 | 25.98 | 27.58 |
| კახეთის სინათლე | 6100.0 | 305.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 15.0 | 15.0 | 15.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 15.0 | 15.0 | 25.0 | 25.0 | 25.0 | 25.0 | 25.0 |
| ბაზრის მომხმ. კახეთის ზონაში | 806.00 | 40.30 | 1.85 | 1.90 | 1.90 | 1.90 | 1.90 | 1.90 | 1.90 | 1.90 | 1.90 | 1.90 | 0.98 | 0.96 | 2.58 | 0.98 | 0.98 | 0.98 | 1.06 | 2.58 | 2.16 | 0.98 | 2.58 | 0.96 | 0.98 | 2.58 |
| გაერთიანებული სად. კომპანია | 30050 | 1503 | 35.0 | 35.0 | 35.0 | 35.0 | 35.0 | 35.0 | 35.0 | 90.0 | 90.0 | 40.0 | 35.0 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 130.0 | 132.5 | 135.0 | 135.0 | 130.0 | 130.0 |
| სადისტრიბუციო ზონაში პირდაპირი მომხმ. | 27035.4 | 1351.77 | 50.61 | 59.52 | 59.22 | 59.27 | 58.28 | 58.28 | 58.33 | 52.65 | 54.83 | 59.03 | 56.18 | 58.32 | 61.25 | 55.98 | 57.03 | 58.29 | 56.25 | 59.21 | 44.93 | 52.66 | 52.36 | 54.35 | 56.92 | 60.39 |
| მსხვილი პირდაპირი მომხმარებლები | 64200 | 3210.0 | 137.0 | 137.0 | 137.0 | 137.0 | 137.0 | 137.0 | 138.0 | 138.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 139.0 | 138.0 | 138.0 | 137.0 | 137.0 | 137.0 | 137.0 |
| [illegible] | 32520 | 1626.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 |
| ს.ს. აზოტი | 17280 | 864.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 | 36.0 |
| ს.ს. [illegible] და კერამიკა | 240.0 | 12.0 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 |
| რუსთ. ცემენტ ქ-ნა | 1920.0 | 96.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 |
| რუსთ. მეტალ. ქ-ნა | 2160.0 | 108.0 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 | 4.5 |
| ს.ს. მადნეული | 3360.0 | 168.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 7.0 | 7.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 7.0 | 7.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| არაგვისხეობის წყალგანაწ. | 6720 | 336.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ ტრანზიტი | 17292.0 | 865.0 | 35.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 36.30 | 37.20 | 37.20 | 30.50 | 29.80 | 33.40 | 24.40 | 23.50 | 26.00 | 28.60 | 34.00 | 28.50 | 38.20 | 38.70 | 36.30 | 37.90 | 43.10 |

შენიშვნა: სს ფეროს ლიმიტი დადგენილია მაქსიმალური დატვირთვისათვის 72 მვტ.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის
ანგარიშსწორების დირექტორი მ. ძნელაძე

სახელმწიფო ელექტროსისტემის
მთავარი დისპეჩერი ჯ. ურანეიშვილი

## პროკურატურა მირცხულავას წინააღმდეგ

დადგება თუ არა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, სომხეთიდან ჩამოტანილი მასალების საფუძველზე, ქვეყნის ენერგოსექტორში მოღვაწე პირთა, მათ შორის, სემეკ-ის თავმჯდომარის დავით მირცხულავას პასუხისმგებლობის საკითხი, უახლოეს მომავალში გაირკვევა.

გენერალური პროკურორის მოადგილის, გიორგი თვალავაძის განცხადებით, ჯერჯერობით საქმე მხოლოდ ფაქტზეა აღძრული, თუმცა, მასალების მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომელიმე პირის, მათ შორის - მირცხულავას პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

მირცხულავას, როგორც ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) თავმჯდომარეს, თანამდებობრივი იმუნიტეტი იცავს და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი.

"გაერთიანებული დემოკრატების" წევრის, ზურაბ ცქიტიშვილის თქმით, კანონში ეს პირობა იმისათვის ჩაიდო, რომ კომისიის თავმჯდომარეების მიმართ ადმინისტრაციული და პოლიტიკური ზეწოლა გამორიცხულიყო. მისივე განმარტებით, თუ სასამართლომ კომისიის რომელიმე თავმჯდომარის ბრალეულობა დაამტკიცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პირობები ამოქმედდება. "თუ პროკურატურა სასამართლოს მირცხულავას ბრალეულობას წარუდგენს, გამოძიებას შეუძლია, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შუამდგომლობა დააყენოს. თუ გამოძიების დასრულების შემდეგ სასამართლო მირცხულავას უდანაშაულობას დაამტკიცებს, ყოფილ მინისტრს შეუძლია, პროკურატურას სასამართლოში უჩივლოს და რეაბილიტაციასთან ერთად, მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს," – აცხადებს ცქიტიშვილი

შეგახსენებთ, რომ 2000 წლის 30 აგვისტოს საქართველოსა და სომხეთის ენერგეტიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას "საქენერგოსა" და "არმენენერგოს" შორის 1998 წლის აგვისტოდან და 1999 წლის იანვარ-მარტში სომხეთიდან შემოტანილი ელექტროენერგიის ღირებულების დავალიანების დაფარვის მექანიზმების დარეგულირების თაობაზე". შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ 2000 წლის 30 აგვისტოსთვის საქართველოში 4 მლნ 394 ათასი დოლარის ღირებულების 173 მლნ კილოვატ/საათი ელექტროენერგია იყო შემოტანილი. მოგვიანებით, მირცხულავა წერილით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს და აღნიშნავს, რომ 1998 წლის მეორე ნახევარში და 1999 წლის იანვარ-მარტში სომხეთიდან 243 მლნ კილოვატ/საათი ელექტროენერგია, ე.ი. 50 კილოვატ/საათით მეტია შემოტანილი.

პროკურატურაში არსებულ საქმეს ერთვის მირცხულავას მიერ 2001 წლის 31 იანვარს დამტკიცებული აქტი, რომლითაც ქართულ მხარეს სომხეთის მიმართ 2 მლნ 343 ათასი დოლარის ჯარიმა დაეკისრა.

*ინტერ-პრესი*

## "სადახლოს" დირექტორს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

ხათუნა ჯანბირაშვილი

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში ხმაური იყო. ხმაურის მიზეზი წინასწარი დაკავების საკანში მყოფი, სამი დღის წინ დაკავებული, "სადახლოს" ბაზრობის დირექტორის თამაზ სუპატაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა.

იმ დროს, როდესაც დაკავებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში, მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხის განსახილველად უნდა წაეყვანათ, სუპატაშვილს გულის მწვავე შეტევა დაემართა. მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მედ-პერსონალის მცდელობა, წინასწარი დაკავების საკანში მყოფისთვის დახმარება აღმოეჩინათ, უშედეგოდ დასრულდა, დაკავებულის მდგომარეობა მისი ოჯახის წევრებს შეატყობინეს. თუმცა, სუპატაშვილის ახლობლების მიერ გამოძახებულ სასწრაფო დახმარების ექიმებს ავადმყოფთან წინასწარი დაკავების საკანში შეღწევის საშუალება კარგა ხნის განმავლობაში არ მიეცათ.

გამოძახებული ექიმები საკანში მხოლოდ მას შემდეგ შეუშვეს, რაც იზოლატორის ექიმებისგან ცნობილი გახდა, რომ სუპატაშვილს პულსაცია შეუჩერდა. ბოლოს და ბოლოს, საკანში შესულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა მძიმე მდგომარეობაში მყოფი დაკავებულის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვეს.

იმ დროს, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკნიდან გამოყვანილ ავადმყოფს საავადმყოფოებში დაატარებდნენ (რამდენიმე საავადმყოფომ მის მიღებაზე უარი განაცხადა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ელექტროენერგიის უქონლობა ავადმყოფისთვის დახმარების გაწევას ხელს შეუშლიდა), მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს განიხილავდა.

თამაზ სუპატაშვილი დიღომში, ჯანდაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში მოათავსეს, სადაც მას სასწრაფო სამედიცინო ღონისძიებები ჩაუტარდა. ექიმებმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესად შეაფასეს.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, სუპატაშვილს უახლოეს დღეებში გულის ოპერაციის გაკეთება ჰქონდა დაგეგმილი. **"მისი დაკავების წუთიდან, ჩვენ არაერთხელ გავაფრთხილეთ სამართალდამცველები იმის შესახებ, რომ დაკავებულს გულის სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა და ამგვარი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო",** - აცხადებენ "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, "სადახლოს" დირექტორის ოჯახის წევრები და ირწმუნებიან, რომ სუპატაშვილის წინააღმდეგ სამართალდამცველები პოლიტიკურ დაკვეთას ახორციელებენ. "მისი დაკავება პოლიტიკური ანგარიშსწორებაა", - ასეთი გახლავთ სუპატაშვილის ახლობლების პოზიცია. მსგავსი შინაარსის განცხადებებს აკეთებს დაკავებულის ადვოკატი ალეკო ალადაშვილიც, რომელსაც სუპატაშვილის დაკავების დღეს, რამდენიმე საათის განმავლობაში, დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ნეიტრალურ ზონაში არსებული სავაჭრო ცენტრის "სადახლოს" დირექტორი თამაზ სუპატაშვილი თბილისში დააკავეს. იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარება - ეს ის ბრალდებაა, რომელიც სუპატაშვილს წაუყენეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, "სადახლოს" დირექტორს, რომელიც წლების განმავლობაში ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის ერთ-ერთ მთავარ "კასირად" ითვლებოდა, "აკს"-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მანქანის საბარგულში აღმოუჩინეს. დაკავებულის ოჯახის წევრები და მისი ადვოკატი კი კვლავ ირწმუნებიან, რომ მას იარაღი არ ჰქონია და მისთვის წაყენებულ ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ.

სუპატაშვილის დაკავებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი დაუპირისპირდა ძველი ანგარიშსწორების მიზნით. **"თამაზ სუპატაშვილის დაკავება არანაირი პირადი ანგარიშსწორების მიზნით არ განხორციელებულა. მის დაკავებას ჩემს პირად ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს,"** - აცხადებს გია ბარამიძე და "სადახლოს" დირექტორის ოჯახის წევრებისა და ახლობლების მხრიდან მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გუშინ, გვიან ღამით, კანონით გათვალისწინებული 72-საათიანი ვადის ამოწურვამდე, დაკავებულის გარეშე გადაწყვიტა მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი. სუპატაშვილს მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა წინასწარი სამთვიანი პატიმრობა არგუნა. "სადახლოს" ბაზრობის დირექტორი გამოჯანმრთელებამდე საავადმყოფოში იქნება, შემდეგ კი ორთაჭალის იზოლატორში გადაიყვანენ.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ამ გადაწყვეტილებას აბსურდულს უწოდებს პატიმრის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი. **"არანაირი მტკიცებულება სუპატაშვილისთვის წაყენებულ ბრალდებას არ გააჩნია. 48-საათიან ვადაში ჩვენ ამ გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოში გავასაჩივრებთ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ალეკო ალადაშვილმა.

# ესენიც ბავშვები არიან

*დებილი, ინბეცილი, იდიოტი, დაუნი ... ჩვენთვის უბრალოდ სალანძღავი სიტყვებია. ბოლო დროს ამ ტიპის ლექსიკა ისე გამდიდრდა, აღნიშნულ სიტყვებზე წყენა უხერხულიც კია. ერთი ძალიან პოპულარული რადიოსადგურის ძალიან პოპულარულ წამყვანს მთელი ციკლი აქვს დაუნ ბავშვებზე. ამ მართლა დაუნმა წამყვანმა და მისმა არანაკლებ დეფექტურმა უფროსმა, როგორც ჩანს, არ იციან, რომ ასეთი ბავშვები მართლა არსებობენ და სხვა ქვეყანაში მათ უკბილო ხუმრობისთვის აუცილებლად დასჯიდნენ.*

სოფიო თოდუა

## გუშინ, დღეს, ხვალ

ასეთი ბავშვები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და ზოგი მათგანი სრულიად უპატრონოა ან იმდენად ღარიბი მშობლები ჰყავს, გლდანის მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატში ცხოვრობს. "დამხმარე სკოლა" კეთილშობილურად ჟღერს, თუმცა სინამდვილეში აქაური კონტინგენტი ოლიგოფრენიის ყველაზე მსუბუქი ფორმით, დებილობით დაავადებული, მზრუნველობას მოკლებული ბავშვებია. სიტყვების მცირე მარაგისა და სუსტი მეხსიერების მიუხედავად, მათ განსაზღვრული ცოდნის შეძენა და პროფესიული ჩვევების ათვისება შეუძლიათ. სასკოლო ტიპის დაწესებულებები ამ ბავშვებისთვის იმ მიზნით შეიქმნა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ატესტატში პროფესიის შესაბამის გრაფაში ასეთი წარწერა გაჩენილიყო – "არაკვალიფიციური მუშახელი".

გლდანის ინტერნატი უკვე 60 წელია, არსებობს და ბოლო 18 წელია, მისი დირექტორი მარინა უჯმაჯურიძე გახლავთ. საბჭოთა საქართველოში ფინანსური პრობლემები თავისთავად გვარდებოდა. დირექტორი ბიუჯეტით მაშინღა დაინტერესდა, როცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში ბედის ანაბარა დარჩნენ. აქაურობა პირველად 8 წლის წინათ მოვინახულე. მაშინ სრულიად ზედმეტი იყო იმ კითხვების დასმა, რაც ჩვეულებრივ ჟურნალისტებს უჩნდებათ ხოლმე. განგაშის ატეხვაც არ ღირდა, მაინც არავინ გათხოვებდა ყურს. დღეს უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი სიკეთე, რაც აქ შეიმჩნევა, არანაირად არ უკავშირდება სახელმწიფოს კეთილ ნებას. სახელმწიფოს ეს ბავშვები იმდენად არ აინტერესებს, წლეულს, არჩევნების წინ, მე-4 კვარტლის ბიუჯეტი თითქმის მთლიანად სეკვესტრში მოაყოლა. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი ამ ზამთარს ვერც თბილ ტანსაცმელს შეიძენენ, ვერც გათბებიან და წკვარამშიც დარჩებიან. ვინ გადაიხდის ნისიად მოხმარებული ელექტროენერგიისა თუ გაზის საფასურს, ჯერჯერობით, ესეც გაურკვეველია, თუ, რასაკვირველია, ამ ხარჯებს დირექციას არ მიაწერენ.

## ყველაზე "დამოუკიდებელი" სკოლა

საბჭოთა კავშირში ასეთი ლოზუნგიც იყო: Советский больной – самый здоровый больной в мире! როგორც ჩანს, ეს ლოზუნგი ზოგჯერ ამართლებდა, ყოველ შემთხვევაში, დეფექტოლოგიის საბჭოთა სკოლა საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. შესაბამისად, შეუზღუდავ დაფინანსებასთან ერთად ამ ტიპის დაწესებულებებს შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროგრამებით ამარაგებდნენ. დღეს დასავლეთში ბევრი თვლის, რომ გონებრივად შეზღუდული ბავშვების იზოლაცია გაუმართლებელია და რომ ისინი ჩვეულებრივ სკოლებში უნდა სწავლობდნენ. ეს შეიძლება ასეცაა, მაგრამ სანამ ამ რეალობასთან შეგუება მოგვიწევს, მანამდე ისინი რეფორმირებულ სკოლებამდე საღსალამათები უნდა მივიდნენ და ის ელემენტარული ცოდნა შეიძინონ, რისი დაძლევაც ამ კატეგორიის ბავშვებს შეუძლიათ (N 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატში შემოსასვლელი კარი ღია რომაა და მასწავლებლები დიდი ჯოხებით აღარ დადიან, იმაზე მეტყველებს, რომ ამ ბავშვების იზოლაციას არც აქ მიესალმებიან). ამდენად, კორექტივების შეტანა ოლიგოფრენიით დაავადებული მოზარდების პროგრამებშიც აუცილებელია. სახელმძღვანელოები ახლაც იწერება - მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა თუ გეოგრაფიაში, ოღონდ მათ, რასაკვირველია, განათლების სისტემასთან საკმაოდ დაცილებული ორგანიზაციები შეფობენ - ვთქვათ, სტატისტიკის დეპარტამენტი. განათლების სამინისტროში კი, სადაც უკვე პერმანენტული რეფორმა მიმდინარეობს, დამხმარე სკოლები სრული "დამოუკიდებლობით" სარგებლობენ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (მისი ავტორი ამავე სკოლის პედაგოგი გახლავთ) გაცნობისას. იგი ერთადერთი სახელმძღვანელოა, სადაც უახლესი წარსული შეულამაზებლადაა გადმოცემული. როგორც ჩანს, სამინისტროში მყარად სჯერათ, რომ თავისუფლები ამ ქვეყანაში მხოლოდ გიჟები არიან.

დებილობა სამ სტადიად იყოფა: სუსტი, საშუალო და ღრმა. თუ ერთ კლასში სამივე კატეგორიის ბავშვი მოიყრის თავს, დაფა, სულ მცირე, ორად იყოფა. ვიღაცას შეიძლება ოთხნიშნა რიცხვების გაყოფა შეუძლია, მაგრამ იქვე ისეთი ბავშვიცაა, ხუთის ფარგლებში თითების დახმარებით რომ ანგარიშობს. ბუნებრივია, მათ მასწავლებელმა ინდივიდუალური პროგრამა უნდა შეურჩიოს. პედაგოგს, რომელიც ასეთ რთულ მოწაფეებთან დღეში 5 გაკვეთილს ატარებს, ხელფასი დაახლოებით 120 ლარი გამოსდის. უწინ დამხმარე სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს ხელფასის ოცპროცენტიანი დანამატი ეძლეოდათ. დღეს ეს 20 პროცენტი დაახლოებით 3 ლარია. უკეთეს დღეში არც აღმზრდელები და ძიძები არიან. აღმზრდელს, რომელსაც ასევე მოეთხოვება უმაღლესი განათლება, სახელმწიფო მხოლოდ 50 ლარს უხდის და ალაგ-ალაგ მშვიდობაში გზის ფულად 10 ლარსაც უმატებს. სახსრების უქონლობის გამო მათ ბოლო ატესტაცია ვერ გაიარეს, ამდენად, მათი კვალიფიკაციის დადგენა თითქმის შეუძლებელია. ამის შემდეგ ალბათ აღარ ღირს ძიძებისა და ექთნების ანაზღაურებაზე ლაპარაკი და, მიუხედავად ამისა, ისინი ყოველდღე მოდიან და ბავშვებს უვლიან. ამაში დარწმუნება საკმაოდ იოლია. ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო ჩემს პრაქტიკაში (თუ შეიძლება აქ გატარებული დრო ვინმესთვის ბედნიერი იყოს), როცა ბავშვს დირექციის მაამებელ ტექსტებს ვერ დააზეპირებინებ. ისინი, სამწუხაროდ, იოლად ვერ იწვრთნებიან, თუმცა წარწერა მერხზე "ავთო + თამუნა = შეყვარებულებს" შეგვახსენებს, რომ ესენიც ბავშვები არიან და მათაც უყვარდებათ ერთმანეთი. ვინაიდან დებილობის ღრმა ფორმა ინბეცილობას ემიჯნება, აქ უკვე 6 წელია, ინბეცილებსაც იღებენ. და ძალიანაც კარგი, რომ იღებენ, თორემ მათ პირდაპირ კასპში უკრავდენ თავს. კასპში კი იმდენად მძიმე მდგომარეობაა, აქაურობა სამოთხედ მოგეჩვენებათ. ინბეცილებთან მუშაობა გაცილებით მძიმეა და ყველაზე კარგ შედეგებზე მაშინ ლაპარაკობენ, თუ ასეთი ბავშვი რამდენიმე წლის თავზე საკუთარი სახელის დაწერას მხედველობითი მეხსიერების ხარჯზე შეძლებს.

## სრულყოფილი რაციონი ორი ლარის ფარგლებში

რა ერგება მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 60 მილიონიდან სკოლა-ინტერნატს? არც ერთი თეთრი. მართალია, მსოფლიო ბანკი ამ ეტაპზე სწორედ სასკოლო რეფორმას აფინანსებს, მაგრამ ეს პროგრამა დამხმარე სკოლა-ინტერნატების ხელშეწყობას არ ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მათაც მიაჩნიათ, რომ ამ კატეგორიის ბავშვებმა ჩვეულებრივ სკოლებში უნდა ისწავლონ და შესაბამისად, ჩვეულებრივი სახელმძღვანელოებით ისარგებლონ. საერთოდაც, მსოფლიო ბანკს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მადლობა მოვახსენოთ დახმარებისათვის, პრეტენზიები კი საკუთარი ხელისუფლების მისამართით გამოვთქვათ, მაგრამ მომკალით და, არ მჯერა, სამინისტროს მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში მსოფლიო ბანკს ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებისთვის მცირედი მაინც არ გაემეტებინა.

საპრეტენზიო კი, იცოცხლე, ბევრია. რაც ყველაზე საინტერესოა, სახელმწიფო, უპირველესად კი განათლების სამინისტრო, დარწმუნებულია, რომ ვინმე კერძო პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია სკოლას თუ დაეხმარება, ეს მას ჩაეთვლება აქტივში. ბიუჯეტით განსაზღვრულ თანხას მთლიანად თუ არ მოაყოლებენ სეკვესტრში, ესეც დიდი წყალობა ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, ჩინოვნიკებსაც ხომ უსწავლიათ თავის დროზე: "კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია, ლაფში ჩაფლული ურემი, შინ მიტანილი ჰგონია".

დავიწყოთ იმით, რომ 2002 წლის აპრილიდან შეწყდა გაეროს მიერ დაფინასებული სასურსათო პროგრამა, რის შესახებ რამდენიმე ხნით ადრე ეცნობა კიდეც განათლების სამინისტროს. რატომ გამოუტანეს ამ ბავშვებს ასეთი ვერდიქტი, გაუგებარია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ვინმე სანიკიძე (სკოლამდელი აღზრდის, სასკოლო განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე) ამ შეტყობინებას რატომღაც არ გამოეხმაურა და სკოლის დირექტორიც და ირინა ფიფიაც (სკოლამდელი აღზრდის, ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსი) ფაქტის წინაშე დააყენა. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ 2001 წლის დეკემბრიდან ფინანსები სკოლა-ინტერნატამდე გაბნეულად მოდის. შესაბამისად, სკოლა ცალ-ცალკე აფორმებს ხელშეკრულებებს იმ ორგანიზაციებთან, ვისაც მათი კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით, საკანცელარიო ნივთებით და ა.შ. მომარაგება ავალია. ეს ყველაფერი შესაბამისი პროცენტის (5%) დაქვითვით ხდება. როცა ბიუჯეტი მილიონი გაქვს, ხუთ პროცენტს კიდევ შეელეოდა კაცი, მაგრამ მწირი დაფინანსების შემთხვევაში ეს 5 პროცენტი ძნელი დასათმობია. გამოდის, რომ იმ 2 ლარიდან და 16 თეთრიდან, რაც თითო ბავშვის ყოველდღიურ კვებაზეა გამოყოფილი, რეალურად ლარი და 80 თეთრი რჩება. ერთი შეხედვით დაფინანსების ასეთი მეთოდი კარგია. პერსონალს ფულთან შეხება არ უწევს და რომც მოინდომონ, ვერ მოიპარავენ. მაგრამ კონტროლის პალატის გარდა იმავე განათლების სამინისტროში არსებობს სარევიზიო სამსახური, ამ სისტემაში ლამის ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც გამართულად მუშაობს. იქნებ სჯობდეს, რომ დარღვევების შემთხვევაში ცუდი ჩინოვნიკები ისჯებოდნენ და 5 პროცენტის დაკლებით სკოლა არ ზარალდებოდეს. კვების რაციონი, რომელსაც პედიატრიისა და ჰიგიენის ინსტიტუტები ადგენენ, ნამდვილად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. მაგრამ გჯერათ, რომ აქაური ბავშვები დღეში ოთხჯერ იმდენ კალორიას იღებენ, რაც მათ სჭირდებათ? აფსუს, ჩვენი ყოფილი ექს პირველი ლედი საქართველოში რომ იყოს, ამ პრობლემის გადაჭრაში ხომ დაგვეხმარებოდა. არც 117 ლარია საკმარისი სულ მცირე ორი ხელი ტანსაცმლის შესაძენად - ინბეცილების კლასში ერთი ბიჭი იმიტომ ებუტება მასწავლებელს, რომ მას "ტუფლები არ შეხვდა".

შენობა, სადაც სასკოლო ოთახები და ადმინისტრაციაა განთავსებული, არაფრით განსხვავდება გლდანის ჩვეულებრივი სკოლებისაგან, შეიძლება უკეთესიც კია. აქ საკლასო ოთახები ისე თბება, ჩაცმულ-დახურული გაკვეთილზე გაძლებ მაინც. სასადილოსაც არა უჭირს. გაცილებით მძიმე მდგომარეობაა საცხოვრებელ კორპუსში, სადაც ბავშვები დროის დიდ ნაწილს ატარებენ - ჯერ აღმზრდელებთან ერთად სხვადასხვა ოთახებში, მერე კი საძინებლებში. ეს სამსართულიანი შენობა, თუ სახურავის გადახურვას არ მივიღებთ მხედველობაში, რისთვისაც აქაურები იაპონელებს ემადლიერებიან, ბოლო 20 წელია, ნამდვილად არ შეკეთებულა. მიწისძვრის შემდეგ კიდევ უფრო დაზიანდა. განათლების სამინისტროდან მოვიდნენ, ნახეს და ... აღარ გამოჩენილან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ შიდა კომუნიკაციები მოშლილია და ჰიგიენური თვალსაზრისით არც მთლად კარგადაა საქმე. ბავშვების დაბანვა მხოლოდ 10 დღეში ერთხელაა შესაძლებელი. და ეს ეხება ბავშვებს, რომლებსაც რეფლექსები აქვთ დაქვეითებული. აქ შეიძლება ისეთივე მდგომარეობაა, როგორც სხვა სკოლა-ინტერნატებში, ოღონდ ესაა, იქ ნორმალური ბავშვები სწავლობენ. უპატრონო, მაგრამ საღად მოაზროვნე ბავშვი კი გაცილებით დაცულია, ვიდრე გონებაშეზღუდული.

## გარეთ, ქუჩაში

რა ელით ამ ბავშვებს სკოლის დამთავრების შემდეგ? ამ კითხვაზე პასუხი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლაში ყოველთვის უფრო მეტი ბავშვი სწავლობს, ვიდრე ეს ნორმითაა გათვალისწინებული, გასაგები გახდება, რომ სამინისტროს კაბინეტებში ამ საკითხის ხელახლა წამოჭრა წყლის ნაყვაა. როგორც ჩანს, "ზედმეტი" უპატრონო ან უკიდურესად გაჭირვებული გონებაშეზღუდული ბავშვი უკან უნდა გააბრუნონ, მაგრამ სად უკან, ამაზე არავინ ფიქრობს. არადა, მათი დიდი ნაწილი მთელი წლის განმავლობაში იმყოფება ინტერნატში, თუმცა ხარჯები მხოლოდ 220 დღეზეა გათვლილი. ისეც ხდება, რომ უკიდურესად გაჭირვებული სოციალური ფონის გამო მშობლებს აქ ჯანსაღი ბავშვები მოჰყავთ და ყველანაირად ცდილობენ, საკუთარი შვილები დებილებად გაასაღონ.

ჩვეულებრივი მოზარდები ხომ ადვილად შოულობენ სამსახურს და ახლა წარმოიდგინეთ, ამ ინტერნატის კურსდამთავრებულები რა ადვილად მოეწყობიან სადმე. თუ დირექტორი იმარჯვებს და უპატრონო კურსდამთავრებულებს რომელიმე პროფსასწავლებელში მოაწყობს, ხომ კარგი, თუ არადა, ისინი ან ინტერნატში უნდა დარჩნენ, ან ქუჩას შეაფარონ თავი. იყო შემთხვევა, რომ ორი მათგანი "კოკა-კოლას" ერთ-ერთ ფილიალში წაიყვანეს სამუშაოდ, მაგრამ იქ, როგორც ჩანს, არაკვალიფიციური მუშახელი და პირუტყვი იდენტური სიტყვები ეგონათ. ერთ მათგანს პერიტონიტი განუვითარდა და ძლივს გადაარჩინეს. 5 კურსდამთავრებული დღესაც აქ ცხოვრობს, რაც პედაგოგიური თვალსაზრისით, ცხადია, გაუმართლებელია. წარმოგიდგენიათ, ერთ ოთახში 8 წლის ბიჭი და 30 წლის მოწიფული მამაკაცი ყველა იმ მოთხოვნილებით, რაც მოზრდილებისთვისაა დამახასიათებელი? რამდენიმე გოგონა გაათხოვეს კიდეც, თანაც კარგად, მაგრამ ეს რომ გამოსავალი არ არის და საკმაოდ დიდ რისკთანაა დაკავშირებული, ფაქტია. არის შემთხვევები, როცა ყოფილ მოსწავლეებს თავიანთი შვილები მოჰყავთ და აქ ტოვებენ.

## ერთი ტომარა ფქვილი

მარინა უჯმაჯურიძეს ეგონა, რომ ბოლოს და ბოლოს გამოსავალს მიაგნო. ეახლა დუშეთის მაშინდელ გამგებელს კობა ბუჩუკურს და მიწის ნაკვეთის გამოყოფა სთხოვა. ის და მისი კურსდამთავრებულები ამ ნაკვეთის დამუშავებას, მასზე მოსავლის მოწევას, ნაწილის დატოვებას და ნაწილის სწორედ დამხმარე სკოლა-ინტერნატებისთვის შეღავათიან ფასებში მიყიდვას ფიქრობდნენ. მაგრამ გამგებელმა მიწა მხოლოდ მთის კორტოხზე გაიმეტა და რეალობა უტოპიად იქცა. ამიტომაც აღარ უკვირთ აქ სრული იგნორირება სახელმწიფოს მხრიდან, ამიტომაც არ ავიწყდებათ არავინ, ვინც ოდესმე რაიმე გაიღო მათთვის. დახმარებით კი, როგორც წესი, უცხოური ორგანიზაციები და რიგითი მოქალაქეები ეხმარებიან, ისინი, ვისაც დასავლური სტანდარტებით საშუალო ფენას გაჭირვებით თუ მივაკუთვნებთ. ზამთრის სუსხიან დღეებში გაზის გამათბობლები რომ დგას, ბავშვებს მატყლის საბნები ახურავთ და ტიტვლები არ დატანტალებენ, სწორედ მათი დამსახურებაა. განა რამდენად უნდა გაეყიდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტ გოგონას თავისი ნამუშევრები, რომ ხორცი და სოსისი აქ ამოეტანა? ან ფეშენებელურ სასტუმროს ადმინისტრაციას რა რჯიდა, ამ ბავშვებს როცა მასპინძლობდა? ალბათ იგივე, რაც ერთ მომღერალ ქალს, კონცერტზე რომ დაპატიჟა ისინი. ახალგაზრდა კაცი ყოველ შაბათს აკითხავთ და რაფით ზოოპორკში მიჰყავს. არა მგონია, ერთი ევანგელისტური ორგანიზაცია მათ პროზელიტიზმისთვის იყენებდეს და ამ მიზნით უგროვებდეს ტანსაცმელს. სხვათა შორის, არც გლდანის ჩვეულებრივი სკოლების დირექტორები არიან ვალდებულნი, ამ ბავშვების გასახალისებლად ერთობლივი გაკვეთილები ჩაატარონ გინდა აქ და გინდაც საკუთარ სკოლებში. ერთი ქართველი ბიზნესმენი რამდენიმე წლის წინათ საჯაროდ ამაყობდა, საქმე ერთი ტომარა ფქვილით დავიწყეო. იქნებ ჩვენც ასე დაგვეწყო, მათთვის ესეც შეღავათია.

რასაკვირველია, განათლების სამინისტროში გაიხსენებენ პარლამენტში გამართულ საახალწლო წვეულებებს, სადაც ამ ბავშვებსაც ეპატიჟებიან. არც ის 20 მოსწავლე დაავიწყდებათ, ზაფხულში ციხისძირში რომ დაასვენეს. ალბათ იმ პროექტშიც ჩაგვახედებენ, რომელიც დამხმარე სკოლა-ინტერნატებისთვის მე-10 კლასში მხოლოდ შრომითი კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს და რომელსაც უსახსრობის გამო, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენ ხანს არ უწერია განხორციელება... მაგრამ მე თვალწინ ახლახან გარემონტებული და გაპრიალებული სამინისტროს შენობა მიდგას. დარწმუნებული ვარ, რემონტის ხარჯებს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია გაიღებდა. ამისდა მიუხედავად მაინც ვკითხულობ: რამდენად სწორია ფასადის გალამაზება, როცა საძირკველი ირყევა?

## პირდაპირი ჩართვა

ჩვენს სამშობლოს რა ჰქვია? ამ კითხვით იწყება ისტორიის გაკვეთილი N2 დამხმარე სკოლა-ინტერნატში. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ უჭირთ. ამ ქვეყანას საქართველო ჰქვია და იგი ამ ბავშვების სამშობლოცაა. არ ვიცი, ვინ გახდება ჩვენი მომავალი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ განათლების მინისტრი, მაგრამ ვინმე ხომ აუცილებლად გახდება. ეს წერილი მათთვის დაიწერა. ბატონებო და ქალბატონებო! ისინი ვერასოდეს გახდებიან თქვენი პოტენციური ელექტორატი, ვერც ხოტბას შეგასხამენ ოდესმე, მათი მხარდაჭერის იმედიც ნუ გექნებათ. სწორედ ამიტომ - მიხედეთ ამ ბავშვებს. მიხედეთ იმადაც, რომ სახელმწიფოს სიძლიერეს დაპურებული და ბედნიერი ბავშვები განსაზღვრავენ. თუ არადა, "ვარდების რევოლუცია" ტყუილად მოგვიხდენია და როგორც ყველა ჩამორჩენილი ფეოდალური ქვეყანა, ადრე თუ გვიან ჩვენც ჩავებმებით "წითელი და თეთრი ვარდების ომში".









OSCE Mission to Georgia
ეუთოს მისია საქართველოში
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა გზამკვლევი "როგორ გავეცნოთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს".
გზამკვლევში ახსნილია ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და ნორმები.
მოცემულია შესაბამისი განმარტებითი ინსტრუქციები.
უფასო
გზამკვლევი უფასოა და იგი შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე:
3. ორბელიანის 35.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 922839, 923122
www.economists.ge office@economists.ge

www.24hours.ge 24 B

ნოდარ ლადარია

საქართველოში ღირებულებათა გადაფასება ხდება...

ეს, თავისთავად, უნდაახარებდეს ყველას, ვისაც სულში ჯერ კიდევ უნთია ახალგაზრდობის ნაპერწკალი, თუმცა გადაფასების პროცესი ზოგჯერ შეცდომებითაც მიმდინარეობს. მაგალითად, გადაჭრით ვერ უარყოფ, რომ შეიძლება არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ **ნინო ბურჯანაძეს** საქართველოს დედოფლობა დაშვენდებოდა. და მაინც, ეს ადამიანებიც კი დათანხმდებიან იმას, რომ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი არაა მეფე. მიუხედავად ამისა, 12 დეკემბრის ნომერში, სადაც დაიბეჭდა ნინო ბურჯანაძისადმი აშშ სენატორის, **ჯონ მაკეინის** წერილი, ვკითხულობთ: **"თქვენს უდიდებულესობას, საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს..."**. არა მგონია, ჯონ მაკეინს რამე ეშლებოდეს, უბრალოდ, "უდიდებულესობა" "აღმატებულებად" უნდა გვეთარგმნა და ამ სასაცილო შეცდომასაც ავირიდებდით.

ახლა კი ნამდვილ გვირგვინოსნებსაც შევეხოთ — ყოველ შემთხვევაში, ის, რაც თავზე დაადგეს მის-საქართველოს, **ირინა ონაშვილს**, თუმც სამეფო არა, ნამდვილად გვირგვინია. აქ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე და იმავე 12 დეკემბრის ნომერში, სადაც მის-საქართველოს პრესკონფერენციის შესახებ ანგარიშია დაბეჭდილი, მე ვერ ვიპოვე პასუხი კითხვაზე: რატომ ჩააცვეს ჩვენს დედოფალს ის უგვანო კაბა, რომლითაც მას ჩინეთში გამოსვლა მოუწია? რამდენადაც ვიცი, მსგავს კონკურსებში მონაწილეობას იღებენ ქალები, რომელთაც არასოდეს უმშობიარიათ. შეიძლება ითქვას, ეს პირობა ქალწულობის ერთგვარ "შემცვლელს" წარმოადგენს: პირდაპირი მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ადამიანის პირად ცხოვრებაში სრულიად დაუშვებელი ჩარევა იქნებოდა. ასე რომ, სილამაზის კონკურსი ყმაწვილური უმანკოებისა და უშუალობის საზეიმო გამოვლენად უნდა იქნეს აღქმული და აქ არაფერი ესაქმება ჩექმებსა და წინდებს — იაფფასიანი, ლამის პორნოგრაფიული ეროტიზმის სიმბოლოს. ნუთუ გემოვნების პრობლემა ამ დონეზე გვიდგას ქართველებს? სხვათა შორის, მიმაჩნია, რომ ირინა ონაშვილი ჩინეთში ყველაზე ლამაზი იყო.

ერთი სიტყვით, ღირებულებათა გადაფასება სულაც არ ნიშნავს ცალსახად არც ამაღლებას და არც დადაბლებას — ერთიცა და მეორეც ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი კი ისაა, რომ *წარსული არასოდეს უნდა დავსახოთ მომავლის გარანტიად...*

სულ ცოტა ხნის წინათ კი ჩვენში წარსული სწორედ მომავლის გარანტიად განიხილებოდა. ამ მხრივ, თუნდაც თბილისის უნივერსიტეტის ან საქართველოს მწერალთა კავშირის "საკრალიზაცია" რად ღირს: თითქოს გალაკტიონ ტაბიძისა და ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი რაღაც იმუნიტეტს ანიჭებდეს თამაზ წივწივაძესა და როინ მეტრეველს. სინამდვილეში კი მოთხოვნები გაცილებით უფრო მკაცრია: საკუთარი წარსულიც არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ადამიანმა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ყოველწამიერ ზედამხედველობას დააღწიოს თავი.

ბოლოს და ბოლოს, ამასაც ეშველება და უკვე გვაქვს პირველი ნიშნებიც.

9 დეკემბერს "24 საათში" ერთი სტატია გამოქვეყნდა, სამწუხაროდ, ხელმოუწერელი.

აქ გადმობეჭდილია ერთი მასალა ბერძნული გაზეთიდან "ტოვიმა", სადაც მოცემულია თესალონიკის კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარის, სახელმოხვეჭილი ქართველი რეჟისორის, **ოთარ იოსელიანის** შემდეგი სიტყვები: **"უსისხლო, "ხავერდოვანი", როგორც მას უწოდებენ, რევოლუცია საქართველოში იყო ძალიან კარგად ორგანიზებული ქმედება. რეგიონებიდან ავტობუსებით თბილისში ჩამოვიდნენ დაქირავებული "რევოლუციონერები". მათ გადაუხადეს 25-25 დოლარი, რომ დემონსტრაციაზე გამოსულიყვნენ. ეს ჰგავს ბოლშევიკურ ტაქტიკას. შეუძლებელია, ხელისუფლებაში ამგვარი მეთოდებით მოსვლა მე არ მაღელვებდეს"**. "24 საათის" სტატია ერთი სიტყვითაა დასათაურებული — *იმედგაცრუება*. აქ არ დავიწყებთ ოთარ იოსელიანის ამ განცხადების ინტერპრეტაციას — იმის თქმაც საკმარისია, რომ ამ სიტყვებსაც ჩვენი ქართველი პატრიოტ-დემაგოგების საერთო თვისების კვალი ატყვია: არაცხადად იგულისხმება, რომ ქართველ ხალხს ყველაფრის უკრიტიკოდ მიმღები ტიკინები შეადგენენ. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თვით ამ კრიტიკული სტატიის გამოქვეყნების ფაქტი, სადაც ოთარ იოსელიანის განცხადებას შემდეგი კვალიფიკაცია ეძლევა: **"იგი ან ცრუობს (შეგნებულად ავრცელებს დაუზუსტებელ ცნობებს), ან მას ასეთი ინფორმაცია ისეთი სტრუქტურებიდან მიაწოდეს, ვისთვისაც დამახასიათებელია ამ სტილით მუშაობა... სხვა მიზეზის მოძებნა ალბათ რთულია — ასეთი ავტორიტეტული ადამიანები პრესის წინაშე ვარაუდების დონეზე და, მით უმეტეს, მეტად მნიშვნელოვან თემებზე არ საუბრობენ ხოლმე"**. მკაცრად ნუ შევაფასებთ ამ წინადადების სიმძიმეს — მიზეზი გაუბედაობაა. თუ გავიხსენებთ, რა მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში სიტყვებს "ღვაწლი", "ამაგი", "სიქადული", ეს წინადადებაც უკვე დიდი მიღწევაა. სტატიაში კიდევ ერთ ასეთ მიღწევას ვპოულობთ: **"იმის მიუხედავად, რომ იოსელიანის უკანასკნელი ნამუშევრები აღარაა ისეთი ეფექტური და შთამბეჭდავი, როგორც ეს ახლო წარსულში იყო..."**. ნუთუ ბერძნული გაზეთისათვის მიცემული ყბადაღებული ინტერვიუ იყო საჭირო რეჟისორის შემოქმედებით მდგომარეობის ობიექტური შეფასებისთვის? თუმცა მაინც კეთილი ნიშანია, როცა ქვეყანაში, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ "დათა თუთაშხიას" გადამღები მთელს ერს ჯოხს უქნევდა და ჭკუას ასწავლიდა, ახლა "გიორგობის თვისა" და "პასტორალის" ავტორს არ ეპუებიან და შეცდომაზე მიუთითებენ. შეცდომა კი თვალსაზრისი კი არაა, ან პოლიტიკური არჩევანი — ამას ისტორია განსჯის — არამედ სიცრუე.

სახელი მკვდართა ხვედრია, სანამ ცოცხალი ხარ, მის დასამკვიდრებლად უნდა იბრძოდე. რაც შეეხება ქმნილებებს, მათი ცხოვრება უკვე ავტორისგან დამოუკიდებლად წარიმართება. თავის დროზე იტალიელი პროზაიკოსი, იტალო კალვინო აფრთხილებდა ჟურნალისტებს, რომ მის პიროვნებაზე კითხვები არ დაესვათ, რადგან პიროვნებას არაფერი ესაქმება მის ნაწერებთან. მაგრამ არის ერთი სფერო, სადაც პიროვნება და პროდუქცია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვერ აღიქმება. ეს სფერო პოლიტიკაა, სადაც პროდუქცია მოქმედებაა, ესე იგი, პიროვნების უშუალო და მისგან მოუცილებელი კვალი...

გასული კვირის ინფორმაცია აღსავსეა რევოლუციის შემდგომ და მის შედეგად "ლუსტრირებული" პოლიტიკური პიროვნებების პორტრეტებით. აქ ჩვენმა ჟურნალისტებმა ლიტერატურულ ერუდიციას მიმართეს და ხან **ირინა სარიშვილი** შეადარეს მეფე ლირს, ხანაც **აკაკი ასათიანი** — ფიგაროს. 11 დეკემბრის ნომერში, სადაც გამოქვეყნდა **გიორგი გიორგაძის** სტატია "ლირი პირიქით", ერთი საგულისხმო წინადადება ამოვიკითხე: **"მკითხაობას უკვე აღარ აქვს აზრი"**. და თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სარიშვილის შესაძლო მოკავშირეთა გამოცნობაზეა საუბარი, ამ წინადადებაში თვით გუშინდელი პოლიტიკოსის სამოქმედო პრინციპსა და მის აღსასრულზე მინიშნებაც იკითხება.

სამოქმედო პრინციპებისა და მათი შედეგების საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და იმსახურებს ცოტაოდენ ყურადღებას. მაგალითად თუნდაც ქართველ სოციალისტთა ყოფილი ლიდერი და პოლიტიკიდან მისი წასვლა ავიღოთ — 13 დეკემბერი, **გიორგი ასანიშვილი**, *ვახტანგ რჩეულიშვილი ისტორიის "სავანეში"*. ერთადერთი, რასაც აშკარად ვხედავთ რჩეულიშვილის ნაბიჯიდან, ისაა, რომ მას რეალობის შეგრძნება დაუბრუნდა: **"ხალხმა რევოლუციური არჩევანი გააკეთა და ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლა წყლის ნაყვა იქნება"**. კაცმა რომ თქვას, რეალობის შეგრძნება ცუდი არაა, მაგრამ პოლიტიკოსისთვის ძალზე ცოტაა. მთავარი სხვა რამეა: როგორ შეიძლება იყოს სოციალისტი ის, ვინც აღიარებს, რომ "ბუნებით რევოლუციონერი" არაა, და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ რევოლუციის, როგორც ასეთის, დისკრედიტაციას არ ეცადოს? რატომ არ უნდა დავსვათ კიდევ ერთი კითხვაც: ვინც რჩება პარტიაში, როგორ დაასაბუთებს თავის სოციალისტობას? რაო, **ირაკლი მინდელი** უკეთესი მემარცხენეა? აი, ნიშანდობლივი ფაქტიც, ანუ ციტატა სტატიიდან: **"სოციალისტური პარტიის ახალი ლიდერი სამომავლო გეგმებზე დაწვრილებით საუბრისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. ირაკლი მინდელი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ პარტიის სახელწოდება არ შეიცვლება"**. ესეც ასე! — კიდევ ერთი ცხადი მინიშნება იმ ისედაც უეჭველ გარემოებაზე, რომ საქართველოში პარტია და მისი ლიდერი ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივეა (როგორც ეტყობა, ვლადიმერ მაიაკოვსკის პოემით შთაგონებული ლოზუნგი "партия и Ленин едины" სწორედ ჩვენ გავიგეთ პირდაპირი მნიშვნელობით). კეთილი, პარტიათა სახელწოდებები ერთგვარი ნიღბებია, მაგრამ სინამდვილეში კი რასთან გვაქვს საქმე? ამას თვითონ ვახტანგ რჩეულიშვილი მიგვანიშნებს: **"მე ისევე უკანონოდ ვარ ვიცე-სპიკერი, როგორც ამჟამინდელი პარლამენტის სხვა ხელმძღვანელი პირები. ამიტომ, რადგან ისინი არ ტოვებენ თანამდებობებს, ამას არც მე გავაკეთებ. მით უმეტეს, ჩემი სტატუსი საზღვარგარეთ მოგზაურობებს გამიადვილებს"**. ხომ გასაგებია? თანაც ანგარება აქ ყველაზე მძიმე უბედურება არაა. საქმე კიდევ უფრო ცუდადაა: ფეოდალურ ევროპაში საკმაოდ გავრცელებული იყო ერთი მოვლენა — სხვის ხარჯზე გამგზავრება იერუსალიმში და იქ წმიდა ადგილებზე ლოცვა. რჩეულიშვილიც ზუსტად ამისთვის იყენებს თავის საპარლამენტო პრივილეგიებს. ხომ ხედავთ, რომ ადრეშუასაუკუნეობრივი სენი საქართველოში მარტო **ასლან აბაშიძეს** არ სჭირს.

აქ კი სოციალისტი პილიგრიმის ერთ სიტყვას გამოვეკიდებით — უკანონოდ ვარო ვიცე-სპიკერი. აქ, რა თქმა უნდა, იმას გულისხმობს, რომ საქართველოს კანონიერი პარლამენტი ის შემადგენლობაა, რომელიც 23 ნოემბერს შეიკრიბა. ერთი ეს საკითხიც განვიხილოთ, მით უმეტეს, ჩვენც არაერთხელ გვითქვამს და ახლა კომპეტენტური იურისტიც დაგვიდასტურებს. ეს იურისტი კი თსუ-ს პროფესორი, ბიძინა სავანელია, რომლის ინტერვიუც გამოქვეყნდა 13 დეკემბრის ნომერში. აქ ღირს ორი ვრცელი ციტატის მოყვანა. პირველი: **"მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, არჩევნების შესახებ საქართველოს კონსტიტუციით და სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის თანახმად, ყოფილ პრეზიდენტს უფლება არ ჰქონდა, დაენიშნა პარლამენტის სხდომა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში და ვალდებული იყო, დალოდებოდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. პარლამენტის სხდომათა დარბაზში დეპუტატებისათვის განკუთვნილი ადგილები სწორედ რომ თვითნებურად და კანონსაწინააღმდეგოდ დაიკავეს იურიდიულად არაუფლებამოსილმა პირებმა. ერთადერთი იურიდიული პირი, ვინც იმ დროს დარბაზში კანონიერად იმყოფებოდა, იყო საქართველოს პრეზიდენტი, დანარჩენები იყვნენ ფიზიკური პირები"**.

ეს ციტატა, რა თქმა უნდა, ვახტანგ რჩეულიშვილის დასამშვიდებლად არ მომიყვანია. უბრალოდ, უნდა გაირკვეს, რატომ მიაჩნია **შალვა ნათელაშვილს**, რომ აუცილებელია **"ძალადური გზით შეწყვეტილი ახალი პარლამენტის პირველი სხდომის გაგრძელება"**. ამას ვიგებთ **გიორგი ასანიშვილის** 11 დეკემბერს გამოქვეყნებული სტატიიდან *შალვა ნათელაშვილი — აბსურდის თეატრის "მთავარი რეჟისორი"*. გიორგი ასანიშვილის ვერსიით ქართველ "ლეიბორისტთა" ლიდერი **"ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე უკვე არაადეკვატურად რეაგირებს"**. ეს მართალია, მაგრამ რაზე რეაგირებს ნათელაშვილი ადეკვატურად? იქნებ რაღაც არის ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით, იქნებ არსებობს რაღაც პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად ასე სჭირდება მთავარ ლეიბორისტს ქართველი ხალხის მიერ უარყოფილი პარლამენტის რეანიმაცია? ის, რომ ლეიბორისტებმა პარლამენტში მანდატები მიიღეს და ნათელაშვილს მხოლოდ ეს ადარდებდეს, არ მჯერა: ამ პარტიას საკმაო რეიტინგი ჰქონდა და ჭკვიანური მოქმედების შედეგად ხელახალი სამართლიანი არჩევნების შედეგადაც ექნებოდათ ლეიბორისტებს საკმაო ადგილი საკანონმდებლო ორგანოში. შეიძლება, საკუთარ ძალებში ნამდვილად დარწმუნებულ პოლიტიკოსს ეს შეეშალოს. სხვაგვარად უნდა იყოს აქ საქმე და ჩემს წარმოდგენაში ახლა უცნობი კრედიტორის მქრქალი სილუეტი იკვეთება. ამ უცნობმა კრედიტორმა რაღაცის სანაცვლოდ ალბათ რაღაც დაახარჯა ლეიბორისტების კამპანიას და ახლა თავისას ითხოვს. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს მხოლოდ ჩემი წარმოდგენაა და, როგორც პოლიტიკურ დეტექტივებს წაუმძღვარებენ ხოლმე ჩვეულ შენიშვნას, სინამდვილესთან ყოველგვარი დამთხვევა შემთხვევითია. რა ვქნა, ჩემი მიამიტობის გამო, ადამიანის უნამუსობას უფრო დავიჯერებ, ვიდრე სიბრიყვეს.

ამის შემდეგ ნათელაშვილი კიდევ ერთ საოცრებას ამბობს: **"შეიძლება, 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების უპირობო ჩატარებამ ქართული სამართლებრივი სივრციდან აჭარის გასვლა გამოიწვიოს"**. ამბობენ, ახალმა მემარჯვენეებმა თითი დაუქნიეს დროებით მთავრობას: ასლან აბაშიძისგან მტრის ხატს ნუ ქმნითო. მტრის ხატი იქით იყოს და შევარდნაძიდან ნათელაშვილამდე ვის არ უცდია, აჭარა საფრთხობელად ექცია: არიქა, არაფერი ეწყინოს აბაშიძეს, თორემ აჭარასაც დავკარგავთო. თუმცა ეს სინდრომი კიდევ უფრო ძველია — ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის დროს გამოდიოდა სატირული ჟურნალი "ეშმაკის მათრახი", სადაც ერთი სახუმარო ლექსი იყო დაბეჭდილი: "აჭარას ვებღაუჭებით, ლამის დავკარგოთ გურია". მაგრამ აქ ისევ ძველ შეცდომასთან გვაქვს საქმე. მარტო პოლიტიკურ პარტიებს კი არ უიგივებენ საქართველოში მათ ლიდერებს, — მთელი რეგიონების გაიგივება მიმდინარეობს მათ მეთაურებთან. ნათელაშვილისა და სხვათა მეტყველებაში ერთი ცვლილებაა საჭირო: აჭარის მაგიერ კვლავ **ია ანთაძის** ტერმინი უნდა გამოვიყენოთ — ასლანდია (ინგლისურად Assland). აჭარა კი სხვა რამეა და ასლან აბაშიძითა და მისი სანათესაოთი არ შემოიფარგლება. მშრომელთა ლიდერს ეს არ უნდა ეშლებოდეს. სხვათა შორის, თუ საქართველოს "სამართლებრივი სივრციდან" (როგორ უნდა ამ კაცს მაინცდამაინც ჭკვიანური სიტყვებით ლაპარაკი) ასლანდია გამოვა, აჭარასა და აჭარლებს ნამდვილად ეშველება.

აქ კი ბიძინა სავანელის ინტერვიუდან მეორე ვრცელი ციტატის დრო დადგა: **"საქართველოში მოხდა სახალხო ანუ დემოსის ანუ დემოკრატიული რევოლუცია. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი ადგენს: "საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, თავისი წარმომადგენლების და დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით". ხალხმა თავისი ძალაუფლება განახორციელა კონსტიტუციით გათვალისწინებული დემოკრატიის ისეთი ფორმების მეშვეობით, როგორიც არის სიტყვის და აზრის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრება და მანიფესტაცია, რაც დაეფუძნა საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე, მეშვიდე და ოცდამეცხრამეტე მუხლებს"**.

ნეტა აჭარის დემოსზე რატომ არ ფიქრობს არავინ? ძალაუფლება ხომ სწორედ ამ დემოსს ეკუთვნის. აი, პრეზიდენტობის კანდიდატი თემურ შაშიაშვილიც რა უცნაურად მეტყველებს (იხ. 13 დეკემბრის ნომერი): **"მზად ვარ, აჭარას ბოდიშიც მოვუხადო, თუ ისე ვერ ვთქვი რამე მისი მისამართით"**. როგორ, ისე? სწორედ ახლა ამბობთ, ბატონო ყოფილო გუბერნატორო, აჭარის მისამართით "ისე": ეს მრავალჭირნახული მხარე ნამდვილად არ უნდა გავიმეტოთ ასლან აბაშიძესთან გასაიგივებლად. თავსაც ვერ დაიცავს შაშიაშვილი, რომელიც ცოტა მოგვიანებით შემდეგ განცხადებას აკეთებს: **"თუ ასლან აბაშიძე მეტყვის, რომ მისთვის მიუღებელი ვარ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, მე მზად ვარ, ამ შემთხვევაშიც მოვხსნა ჩემი კანდიდატურა"**. განვუმარტავ ბატონ ყოფილ გუბერნატორს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულ ნებისმიერ არჩევნებში (ეს კი კანდიდატის მისაღებობა-მიუღებლობის გასარკვევი ერთადერთი ნიშნადი ხერხია) ასლან აბაშიძესაც კი ეკუთვნის მხოლოდ 1 (ერთი) ხმა. დიახ, ერთადერთი ხმა და მეტი არა. ასე რომ, თუ მხედველობაში მხოლოდ კანონს მივიღებთ და არა სხვადასხვა მეტაიურიდიულ ცნებებს (ღვაწლი, ამაგი, გავლენა, ავტორიტეტი), ასლან აბაშიძის ბოლოდროინდელი ქმედებები ძალიან მოგვაგონებს ერთი ხვლიკის ჩვეულებას. ხვლიკს ყურებიანი მრგვალთავა ჰქვია: როგორც კი რამის ძალიან შეეშინდება, იმწამსვე უკანა ფეხებზე დგება და ლოყებს გარშემო მოთავსებულ უშველებელ კანის ნაკეცებს შლის მტრის შეშინების იმედით. თვითონ კი სრულიად უვნებელია.

იმედია, მკითხველო, ამ ხვლიკის მაგალითს შენ თვითონ განაზოგადებ და მე გამათავისუფლებ იმ მოვალეობისაგან, რომ მოლაშვილსა და ჟორდანიაზეც გესაუბრო. "24 საათმაც" საკმარისად გააშუქა მათთან დაკავშირებული მოვლენები და შენც არ მყავხარ ყრუ და ბრმა.

მთავარი კი ისაა, რომ ნელ-ნელა, ჯერ კიდევ ძნელად და გაჭირვებით, კანონი თავის ფარგლებს იკავებს და მოქმედებას იწყებს. თუ ასე გაგრძელდა ხვალ მის მოქმედებას ვერანაირი "ღვაწლი", "ამაგი" და "სიქადული" ვერ დააბრკოლებს.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



# "მინდა, იგრძნოთ, რომ თქვენს მოედანზე ვართ"

### სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა კულტურის მოღვაწეებთან

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ზურაბ ჟვანია სასტუმრო "კოპალას" განსაკუთრებულად სადად, ქართული მყუდრო კელიის ტრადიციებზე მოწყობილ დარბაზში კულტურის მოღვაწეებს შეხვდა. შეხვედრის ადგილი, როგორც მოგვიანებით ზურაბ ჟვანიამ განმარტა, საგანგებოდ შეირჩა: "მინდა, იგრძნოთ, რომ თქვენს მოედანზე ვართ და არა სახელისუფლებო შეთეთრებულ მოედანზე". ინტელიგენციისა თუ, კონკრეტულად, კულტურის მოღვაწეთა შეხვედრა ზურაბ ჟვანიასთან არც ერთი მხარისთვის უცხო და უჩვეულო არ ყოფილა. უბრალოდ, გუშინ ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრის რანგში, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ პირველად გაესაუბრა მათ. გასაუბრება საკმაოდ საქმიანი და, რაც მთავარია, მომავალი თანამშრომლობის საწინდარი იყო.*

ალბათ, ბევრი ელოდა, რომ როდესაც ხელისუფლების სათავეში მოსული ზურაბ ჟვანია კულტურის მოღვაწეებს (რომელთაც ყოველთვის სწყალობდა ეს პოლიტიკოსი და არც მალავდა) მოინახულებდა, ამ უკანასკნელთა წრე შემოიფარგლებოდა იმ პერსონებით, ვინც "რევოლუციის" ბარიკადებზე იდგა "რევოლუციონერების" გვერდით. გუშინდელ შეხვედრაზე ეს ეჭვები, იმედია, ვილაც-ვილაცებისთვის საბოლოოდ გაქარწყლდა. რასაკვირველია, "კოპალაში" შეხვედრაზე იყვნენ ისინი, ვინც იმის გარდა, რომ საზოგადოებისთვის საკუთარი შემოქმედებითა თუ კულტურის სფეროში საქმიანობით არიან ცნობილნი, არ მორიდებიან ნოემბერში საჯაროდ გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება იმ ყველაფრის მიმართ, რაც უკანასკნელ პერიოდში ხდებოდა ქვეყანაში. მაგრამ, რაც მთავარია, გუშინდელი შეკრების მონაწილეთა წრე ცნობილ ხელოვანთა და კულტურის მოღვაწეთა რევოლუციური აქტივობების მიხედვით არავის შეუდგენია. სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრის დასაწყისში ამ წრის გაფართოებაც არ გამორიცხა და ესეც ბუნებრივია: პრობლემა, როგორც ყველა სხვა სფეროში, ქართულ კულტურაშიც უამრავია და თანამშრომლობის გზით უნდა გადაწყდეს.

უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გუშინ "კოპალაში" მისული, ფართო საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები კულტურის სფეროდან. მათთვის ნამდვილად უცხო იყო მსჯელობა ხელისუფლების ერთ-ერთ გავლენიან და პასუხისმგებელ პირთან მათთვის საჭირბოროტო თემებსა და საკითხებზე. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თითქმის, ყველა მათგანი დარწმუნებული იყო, რომ შეხვედრა სახელმწიფო მინისტრისგან ერთგვარი ვალის მოხდის საშუალება კი არა, რეალური თანამშრომლობის დასაწყისი იყო. თუმცა, დასკვნების წინასწარ გამოტანა არაა აუცილებელი. ყველაფერი ძალიან მალე უნდა გაგრძელდეს. თითქმის, სამსაათიანი შეხვედრის დასასრულს ზურაბ ჟვანიამ თქვა, რომ თანამშრომლობის შემდეგი ეტაპი - კონკრეტული წინადადებების განხილვა აუცილებლად ახალ წლამდე უნდა მოხდეს: "4 იანვრიდან, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღიდან ვიწყებთ მოქმედებას უკლებლივ ყველა მიმართულებით. უნდა გვახსოვდეს, რეფორმებისთვის და იმისათვის, რომ შეუქცევადი გახდეს პროცესი, ცოტა დრო აქვს ნებისმიერ საზოგადოებას. ჩვენ რამდენიმე თვეში ხელთ უნდა გვქონდეს შედეგი, რომელიც ურყევი იქნება. ჩვენ დროში ძალიან შეზღუდულები ვართ, ეს ყველას უნდა გვესმოდეს".

ალბათ, ზედმეტია, ჩამოვთვალოთ გუშინდელი შეხვედრის მონაწილეები. მთავარია, რომ იქ მყოფთაგან ყველა საზოგადოებისთვის საკმაოდ პატივცემული ხელოვანი თუ კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანი იყო. რაც მთავარია, არ იყო



*შეხვედრა "კოპალაში"*

შეზღუდული მათი არც რაოდენობა და არც მოღვაწეობის სფეროები. ვფიქრობ, განსაკუთრებულად აღსანიშნია ის, რომ, ალბათ, პირველად თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ისტორიაში, არსებულმა ხელისუფლებამ (და ამ შემთხვევაში, ზურაბ ჟვანიას სახით) თვალი გაუსწორა რეალობას, რომ ქართულ კულტურას არამარტო აკადემიურ თეატრებსა და დიდ საკონცერტო დარბაზებში ქმნიან, არამედ ცალკეული ხელოვანები, თუნდაც ანდერგრაუნდიდან. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, შეხვედრას "კოპალაში" ესწრებოდნენ პოპულარული თანამედროვე ახალგაზრდა ხელოვანები, მათ შორის: "სოფთ ეჯექტის", "ზუმბასა" და "მწვანე ოთახის" წარმომადგენლები. ეს კი, ჩემი აზრით, უკვე წინგადადგმული ნაბიჯია და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან მათ რიცხვს, ვინც გამუდმებით სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებით მუშაობდა, დასახელებული მუსიკოსებიც შეემატებიან. სხვათა შორის, გუშინდელი შეკრების შემდეგ, თუკი ვინმეს ჰქონდა იმედი, რომ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება და ახლა, უბრალოდ, კაპიკებსა თუ ათასებს ახალი მთავრობისგან მიიღებენ, ზურაბ ჟვანიას სიტყვის დასასრულს წარმოთქმული ფრაზით ასეთი იმედები უნდა გაქარწყლებოდათ: "ჩვენ აღარ დავაფინანსებთ 30 თეატრსა და 42 ჟურნალს", - ცხადია, ამ შემთხვევაში სახელწმიფო მინისტრი გულისხმობდა აქამდე მიღებული – ახლობლურ-მეგობრული, ჩაწყობებით შერჩეულ პრიორიტეტებს და მათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

შეხვედრა საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა, რაც არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ პრობლემების რაოდენობასა და მასშტაბურობას, რაც დღეს კულტურის სფეროშია. განსაკუთრებული მსჯელობის თემა გუშინ კულტურის სამინისტროს როლისა და ფუნქციის განსაზღვრა იყო. მართალია, საუბრები ცოტა ქაოტურადაც წარიმართა (საუბრები, ძირითადად, ზოგად საკითხებზე მიდიოდა), თუმცა იყო გამონაკლისებიც. რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა საკუთარი მოსაზრებები, ფურცელზე გადატანილი პოსტულატების სახით, მოკლედ ჩამოაყალიბა და შემდეგ ზურაბ ჟვანიას გადასცა. მოგვიანებით, სახელმწიფო მინისტრმა ყველა მონაწილეს სთხოვა, მათთვის საჭირბოროტო ყველა წინადადება მიეწოდებინათ მისთვის (დათო მაღრაძის მეშვეობით), რათა მორიგი შეხვედრა უფრო კონკრეტულ თემებზე მსჯელობას დაეთმოს.

და ბოლოს: როგორც ჩანს, საქართველოში "ვარდების რევოლუციის" ძირითადი მიზანი ბევრისთვის (მათ შორის, კულტურის სფეროში მოღვაწე პატივცემული პიროვნებებისთვისაც) ისევ ძნელად გასაგებია. სამწუხაროდ, გუშინდელ შეკრებაზეც (თუმცა, საბედნიეროდ, ასეთი, ალბათ თითო-ოროლა იყო) აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც "კოპალას" საკუთარი ინტერესებისთვის მიაკითხა - რაც მთავარია, ასეთი მერკანტილური მიზნები მათ, ნებით თუ უნებურად, არც დაუმალავთ.

# ისევ ფიროსმანზე...

თეონა ჯაფარიძე

გალერეა "კოპალაში" დამთვალიერებელს (ძირითადად, ფიროსმანის მკვლევარებს, ხელოვნებათმცოდნეებს, კოლექციონერებსა თუ მისი შედევრების მოყვარულებს) სულ რამდენიმე საათით ჰქონდა საშუალება, რომ მხატვრის მხოლოდ ხუთი ტილო ეხილა: სააღდგომო ნატურმორტი, "კალო", ნიკოლოზ მეორის პორტრეტი, "თხა" და "მელა", კერძო კოლექციონერების კუთვნილებაა. გამოფენას, ცხადია, შედევრების მფლობელებიც ესწრებოდნენ და, სიფრთხილის გამო (ეს გასაგებიცაა), მათ შესახებ ძუნწ განმარტებებს იძლეოდნენ. გამოფენას დღეს საზოგადოებაში ფიროსმანის ცნობილი და დაუზარელი მკვლევარი, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი მასპინძლობდა. "ჩუფჩიკას", როგორც მას მხატვართა წრეში იცნობენ, კვლევის საკუთარი და უტყუარი მეთოდები გააჩნია და ფიროსმანის კვლევა ცხოვრების წესად ქცევია. წლების განმავლობაში მან იმ ადამიანთა შთამომავლებს მიაკვლია, ვის წრეშიც (მედუქნეები, ვაჭრები, ხელოსნები...) ტრიალებდა იდუმლებით მოცული მხატვარი. შესაბამისად, მან ფიროსმანის აქამდე უცნობი ტილოებიც გამოავლინა, მისთვის ცნობილია მხატვრის ცხოვრების ჩვეულებრივი, ყოფითი დეტალები თუ უმნიშვნელოვანესი ამბები და, რაც მთავარია, მშვენივრად იცნობს ფიროსმანის ტილოების ახალ თუ ძველ მეპატრონეებს. მისთვის სულ ერთი არ არის, თუ ვის ხელშია მოხვედრილი ფიროსმანის რომელიმე შედევრი, ან როგორ პირობებში და ინახავს მას მეპატრონე. მაგალითად, გამოფენაზე წარმოდგენილი ერთ-ერთი ტილოს – ნიკოლოზ მეორის პორტრეტის შესახებ ახლანდელი მეპატრონე მიამბობს, რომ სურათი თბილისში მეფის გენერლის შთამომავლებისაგან შეუძენია. თავის დროზე გენერალი, რომელიც კოლექციონერიც ყოფილა, ოცდაჩვიდმეტ წელს დაუხვრეტიათ, ქონების კონსფიკაციასთან ერთად ფიროსმანის სურათიც დაულუქავთ და "სუკის" არქივშიც აღურიცხავთ. მოგვიანებით გენერლის შთამომავლებს მოუხერხებიათ სურათის უკან დაბრუნება. ახლანდელ მფლობელს მათგან ნახატი 1992 წელს შეუძენია. ბატონ თენგიზს კი, უფრო მეტი დამაჯერებლობისა და სიყალბის თავიდან ასაცილებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან გამოუთხოვია იქ დღემდე დაცული დოკუმენტები ნახატის შესახებ. ნიკოლოზ მეორის პორტრეტს მეფის სეხნია მხატვრის ხელითვე დასმული აქვს თარიღი - 1913 წელი, რომელიც ნახატის კომპოზიციაში თვალშისაცემი დეტალის ადგილს იკავებს. სურათის ახლანდელი მეპატრონის ვარაუდით, ფიროსმანაშვილს მეფის ეს პორტრეტი ძველი ჟურნალიდან, "ნივიდან," უნდა ჰქონდეს გადმოხატული, სადაც, რომანოვების დინასტიის 300 წლისთავის აღსანიშნავად, ნიკოლოზ მეორის მთელი ოჯახის ფოტო ყოფილა გამოქვეყნებული.

გალერეა "კოპალაში" გამოფენილი ფიროსმანის ხუთი ნახატიდან მხოლოდ ერთია (სააღდგომო ნატურმორტი) მუშამბაზე შესრულებული, დანარჩენი კი - მუყაოზე. ნახატებს რესტავრაცია ქალბატონმა თათია ბაკურაძემ ჩაუტარა: "მათი მეპატრონეები ჩემთან ბატონმა თენგიზმა დააკავშირა. საერთოდ, ფიროსმანის ცნობა ადვილია, იმიტომ, რომ ის ყოველთვის კარგი ხარისხის მასალას იყენებს. მისი ფერები არასოდეს არ ფუჭდება. როგორც ცნობილია, ის არასოდეს გრუნტავდა ტილოს, ამიტომ საღებავი ღრმად არის ჩაჟონილი საფუძველში. საერთოდ, რესტავრატორების ზედმეტად ჩარევას ერიდებიან. მე უფრო მაქსიმალური კონსერვაცია გავაკეთე. ფერთან შეხება საერთოდ არ მქონია. ძირითადად, ნამუშევრების მუყაოს საფუძველი იყო დაზიანებული – იმტვრეოდა; ამიტომ, მათი ტილოზე დუბლირება მოვახდინე," – მეუბნება რესტავრატორი.

გალერეა "კოპალაში" ფიროსმანის ხუთი შედევრით წარმოდგენილ ექსპოზიციას ამშვენებდა ედუარდ კლარკის მიერ 1916 წელს გადაღებული მხატვრის ცნობილი ფოტო - ჯერჯერობით ჩვენთვის ერთადერთი.


*"მელა"*



*"სააღდგომო ნატურმორტი"*



*"ნიკოლოზ მეორე"*

*თვალსაზრისი*

# ნუ მოვერიდებით ავტორიტეტებს

### ოთარ იოსელიანის რამდენიმე ციტატის შესახებ

ნინია კაკაბაძე

*ერთ-ერთი უპირველესი სენი, რომელიც უნდა დავძლიოთ, ბრმა პატივისცემა და თავშეკავებაა აღიარებული ავტორიტეტების მიმართ, როდესაც ისინი მიუღებელ ქმედებას ჩადიან. არ ღირს წარსულში გმირების და აწმყოში ავტორიტეტების "ხელშეუხებლობა".*

რამდენიმე დღის წინ გაზეთ "24 საათში" დაიბეჭდა პატარა წერილი სათაურით "იმედგაცრუება", რომელიც სალონიკის კინოფესტივალზე მყოფი ქართველი კინორეჟისორის ოთარ იოსელიანის ინტერვიუს შეეხებოდა. ავტორის იმედგაცრუება გამოიწვია ოსელიანის დამოკიდებულებამ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განხორციელებული ვარდების რევოლუციის მიმართ.



**პირველი:** იოსელიანი ამბობს: "ვარდების" თუ "ხავერდოვანი" რევოლუცია მის ქვეყანაში იყო კარგად ორგანიზებული ქმედება, სადაც რაიონებიდან 25 დოლარის საფასურად ჩამოჰყავდათ ადამიანები დემონსტრაციაზე გამოსასვლელად. **მეორე:** შეუძლებელია, ყოველივე ეს მას -ქართველ რეჟისორს არ აღელვებდეს და **მესამე:** ის ედუარდ შევარდნაძეს ძალიან დიდ პატივს სცემს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში არც ერთ მხარეს არ იდგა.

**პირველი:** იქნებ იოსელიანს აბაშიძის მიერ ორგანიზებულ მიტინგში შეეშალა მეორე მხარის მიერ ჩატარებული მშვიდობიანი დემონსტრაცია; მინდა, მჯეროდეს, რომ მას შორეულ საფრანგეთში არასწორედ მიაწოდეს ინფორმაცია, მაგრამ გინდაც ასე იყოს, მაშინ, როდესაც საქართველოში მშვიდობიანი ფორმით ხალხის გამარჯვებაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს (გარდა რუსეთისა), ამ დროს ჟიურის თავმჯდომარის სავარძელში ჯდომა და საკუთარ ხალხზე ჭორაობა, ვფიქრობ, ამორალური საქციელია. მას, და არა მხოლოდ მას, სრული უფლება აქვს, საკუთარი პრეტენზიები თუ ბრალდებები ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერის მისამართით გამოთქვას, მაგრამ, ჩემი აზრით, ასი ათასი ადამიანისათვის ჩირქის მოცხება დიდი ბოროტმოქმედებაა, რის უფლებაც არც საუკეთესო ქართველ რეჟისორს - თუმცა, ესეც სადავო საკითხია - და არც არავის აქვს; ბუნებრივია, თუკი მას ამის დამადასტურებელი ფაქტები არ გააჩნია. **მეორე:** შეუძლებელია, ბოლშევიკური რევოლუცია იოსელიანს არ აღელვებდეს. ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რა ფორმით აპირებს ამ საკითხზე ოთარ იოსელიანი ღელვას. თუკი ეს მის შემოქმედებაზე აისახება, მომავალში ეს მხოლოდ დადებითად იმოქმედებს - იქნებ ამ რევოლუციამ კიდევ ერთი პოზიტიური ეფექტი შექმნას და იოსელიანის სამომავლო ნამუშევრებს თემატიკა შეუცვალოს. **მესამე:** ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, იოსელიანი შევარდნაძეს დიდ პატივისცემას უდასტურებს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში არც ერთ მხარეს არ დგას. რაში მდგომარეობს რომელიმე მხარეს დგომა? ფიზიკურად იდგე იქ, სადაც ხალხი დგას, ან იჯდე იქ, სადაც პრეზიდენტი ზის. სამწუხაროდ, ფიზიკურად იოსელიანს არც ერთ მხარეს დგომა თუ ჯდომა არ შეეძლო, ვინაიდან ის ამ დროს, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოში არ იმყოფებოდა. რაც შეეხება ვერბალურ თანადგომას, ეს მხოლოდ პოსტ-რევოლუციურ პერიოდში შევიტყეთ, და ეს მის ნეიტრალურ პოზიციას ვერ გამოხატავს. რას ნიშნავს პრეზიდენტის "ძალიან დიდი პატივისცემა"? ან ფულით ორგანიზებული რევოლუცია? მაპატიეთ, მაგრამ, მგონი, ეს საკუთარი ხალხის შეურაცხყოფაა!

**და ბოლოს ჩვენი შთაბეჭდილება:** ვიდრე შევარდნაძე და მისი ხელისუფლება საქართველოში "ბატონობდა", გარკვეულწილად, ყველა ვფიქრობდით, რომ პრობლემა მხოლოდ შევარდნაძეშია, თუმცა არც იმის ილუზია ჰქონია ვინმეს, რომ შევარდნაძის წასვლის შემდეგ ჩვენს წინაშე იდეალური ქვეყანა იქნებოდა; დღევანდელი მდგომარეობა პროგნოზირებადი იყო: დამარცხებული პოლიტიკოსები დაგროვილ აგრესიას გადმოაფრქვევდნენ, შევარდნაძის წასვლასთან ერთად არ დასრულდებოდა ის სისტემა, რომელსაც ის წლების მანძილზე აშენებდა; არ გაქრებოდნენ უმტკინვეულოდ როინ მეტრეველი თუ რამაზ ხუროძე; ვერ გაჩერდებოდნენ მისი კარის პოეტები ჩარკვიანი თუ ამაშუკელი, მაგრამ პირადად ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ იოსელიანი მათ რიცხვს მიეკუთვნება. შევარდნაძემ არა მხოლოდ სისტემა შექმნა, მან ცნობიერება შექმნა, რომლის მსხვერპლი ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანიც აღმოჩნდა. არსებობს მოსაზრება, რომ ხელოვანთა დიდ ნაწილს ჯერ საბჭოთა ეპოქაში და შემდეგ პოსტ-საბჭოთა სივრცეში სწორედ ედუარდ შევარდნაძე მფარველობდა - ის მათი ეკონომიკური სტაბილურობის და, გარკვეულწილად, შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიც იყო. ალბათ, ამიტომ არის, რომ მათთვის ცნებები სამშობლო და თავისუფლება ერთ კონკრეტულ ადამიანთან, ედუარდ შევარდნაძესთან არის გაიგივებული. მაგრამ, ისეთებიც არიან, რომელნიც დროსთან ერთად ვითარდებიან და ფასეულობებს იცვლიან, იცვლიან იდეალებს თუ ფსევდო-იდეალებს, იცვლება მათი ყოფა და ა.შ... ედუარდ შევარდნაძემ უზრუნველყო ამ თაობის წარმომადგენელთა მატერიალურ-შემოქმედებითი კეთილდღეობა. შევარდნაძემ ხელი შეუწყო იოსელიანის მატერიალური მდგომარეობის განვითარებას, ხელი შეუწყო მისი შემოქმედების თავისუფლებას, მაგრამ, როგორც ეტყობა, ვერ იზრუნა მისი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.

იოსელიანმა 80-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში საკუთარი ფილმებით ბურჟუაზიული საზოგადოების და ტექნიკური პროგრესის კრიტიკა დაიწყო. ჩემი ახლობელი ადამიანი, რომელიც მისი შემოქმედების მოყვარულია, ყოველთვის მახსენებს, რომ ეს მარადიული პრობლემებია და აქტუალურობას არასდროს დაკარგავს. მას მეტ-ნაკლებად ვეთანხმები, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ახალ ეპოქას ახალი, განსხვავებული პრობლემები მოაქვს. დღეს, ბატონო ოთარ, ბურჟუაზიული ფენა საქართველოშიც გაჩნდა, ამ ფენამ მიზანს გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე მიაღწია; დღეს ადამიანს ისიც შეუძლია, რომ უანგაროდ გამოხატოს პროტესტი ტირანის წინააღმდეგ, რომელიც თქვენთვის ჯერ კიდევ მხსნელის და მთლიანად ქართული კეთილშობილების განსახიერებაა. ფრანგული ბურჟუაზიის კრიტიკოსი იოსელიანი, ცნობიერებით, თავად იქცა ქართველ ბურჟუად, რომელიც ხალხისა და ხელისუფლების დაპირისპირების დროს ყოველთვის ხელისუფალის მხარეს დგება.

**P.S.** ალბათ, ქართველი კინორეჟისორი ნოემბრის მოვლენების დროს პარიზში, კარგად გამთბარ სახლში საკუთარი ტელევიზორის მეშვეობით ადევნებდა თვალს იმ ადამიანებს, რომელნიც მის ქვეყანაში წვიმასა და ქარში ცვლილებებს ითხოვდნენ. ეტყობა, იოსელიანს თავისი თანამემამულეები მისი ფილმების პერსონაჟებში - ძვირფას ქურქებში, ძვირფასი ძაღლებით მოსეირნე ქალბატონებში აერია, რადგან, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს ქალბატონები მისი ცხოვრების თანამგზავრებად იქცნენ..

# იტალიური საჩუქარი ოპერის ქართველ მოყვარულებს

### ოპერის თეატრი გასტროლიორი სოლისტების "ტოსკას" მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

ქართულ-იტალიურ საოპერო კავშირებს საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს. არაერთ ქართველ მუსიკოსს მიუღწევია წარმატებისთვის ოპერის სამშობლოში და საქართველოშიც შესანიშნავად იცნობენ იტალიურ საოპერო სკოლასა და კორიფეებს. ეს ტრადიციები დღესაც გრძელდება – იტალიაში განათლებას იღებს და კარიერას იწყებს არაერთი ახალგაზრდა მუსიკოსი (სხვათა შორის, მათ ხშირად იტალიის მთავრობა და საქართველოში იტალიის საელჩო ეხმარება), "ოპერის მექა" – ლა სკალას თეატრი მრავალ გამოჩენილ ქართველ მომღერალს მასპინძლობს. სამწუხაროდ, საპასუხოდ იტალიელების მოწვევა საქართველოს იშვითად თუ ხელეწიფება. ამ დანაკლისის ამოვსებას საქართველოში კვალავ იტალიის საელჩო შეეცადა. სამი იტალიელი მომღერლის: ნუნცია სანტოდიროკოს, პაოლო ბარტოლუჩისა და სტეფანო ანსელმის გასტროლები ჯერ კიდევ გასულ თვეში უნდა გამართულიყო. მაგრამ რევოლუციის "ქარ-ცეცხლში" ჩაფლულ ქვეყანას ოპერისთვის ნაკლებად ეცალა. საბოლოოდ, დაპირებული საჩუქარი მაინც მივიღეთ – "ტოსკა" იტალიელი სოლისტების მონაწილეობით გუშინ ოპერის თეატრში გაიმართა.

**"ტოსკა" საუკეთესოდ ასახავს იტალიას, მის ისტორიას, კულტურას** – აღნიშნა იტალიის



ანსელმი - სკაფია სტეფანი და ტოსკა - ნუნცია სანტოდიროკო

ელჩმა საქართველოში – **ამიტომ გადავწყვიტეთ სწორედ ეს სპექტაკლი მიგვეძღვნა ქართველებისთვის."** ელჩისავე სიტყვებით, მოწვეული მუსიკოსები მართალია, ახლგაზრდები არიან, მაგრამ გამოცდილება არ აკლიათ. ნუნცია სანტოდიროკოს რეპერტუარში სოპრანოს თითქმის ყველა ცნობილი პარტია შედის: როზინა ("სევილიელი დალაქი"), ჯილდა ("რიგოლეტო"), ვიოლეტა ("ტრავიატა"), ლუჩია ("ლუჩია დი ლამერმური"), ლიუ ("ტურანდოტი") ადინა ("სიყვარულის ნექტარი"), მიმი ("ბოჰემა"), ჩიო-ჩიო-სანი ("მადამ ბატერფლაი"), ნორინა ("დონ პასკუალე") და ა.შ.

ფლორია ტოსკას პარტიას ბოლო დროს იგი საკმაოდ ხშირად მღერის. ამ პარტიის ყველა დროის საუკეთესო შემსრულებლად ნუნცია სანტოდორიკო მარია კალასს მიიჩნევს – **"კალასს ვერავინ შეედრება!"** – აღნიშნავს მომღერალი, თუმცა ცდილობს გავლენის ქვეშ არ მოექცეს. სანტოდორიკო ძალზედ მოქნილი, არტისტული მომღერალი გამოდგა. ტოსკას არია მან, ფაქტობრივად, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, სცენაზე გართხმულმა შეასრულა – რაც ვოკალური სირთულეებიდან გამომდინარე, თითქმის წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, გუშინდელი სპექტაკლის საუკეთესო ეპიზოდი – ალბათ. სწორედ ეს იყო.

კავაკაროსის პარტიას პაოლო ბარტოლუჩი ასრულებდა. იგი მარიო დელ მონაკოს სახელობის ძალზედ პრესტიჟული კონკურსის ფინალისტი და მარიო ლანცას კონკურსის მაყურებელთა სიმპათიის პრიზის მფლობელია. კავაკაროსის პარტიის საუკეთესო შესრულებისათვის კი იგი საერთაშორისო პრიზით არის დაჯილდოებული. თუმცა, ეს მიღწევები გუშინდელ სპექტაკლზე, განსაკუთრებით დასაწყისში, ბევრი ვერაფრით დაადასტურა. საკმაოდ უფერულად შესრულებული პირველი აქტის არიისა და დუეტის შემდეგ, ბევრად უკეთესად ჟღერდა მესამე აქტის არია, თუმცა მისი წინამორბედი თანამემამულეების ჩანაწერებზე გაზრდილი ქართველი მსმენელებისთვის ეს საკმარისი მაინც არ იყო. მიუხედავად მართლაც შესანიშნავი ხმისა, - ენერგიულ, ტემპერამენტიან ტოსკასთან შედარებით, მას დრამატული გამომსახველობაც აკლდა.

ბარიტონი სტეფანო ანსელმი ბატისტინის კონკურსის გამარჯვებულია, კალვიფიკაციას იგი კრაუსის და კორელის დახელოვნების კურსებზე იმაღლებდა. მდიდარი რეპერტუარისა და საგასტროლო გამოცდილების მქონე მომღერალი თბილისის სცენაზეც მშვენივრად გრძნობდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის დამდგმელთა მახვილგონივრულმა გადაწყვეტილებამ ბარიტონს მისი პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო, პირველი აქტის ფინალური ეპიზოდი, ფაქტობრივად, გაუფუჭა: სკარპის თანმხლები გუნდი, რატომღაც, ელექტრონული გახმოვანებით წარდგა. ბუნებრივია, ამ უკანასკნელმა სრულიად გადაფარა სოლისტიცა და ორკესტრიც. ამ ლაფსუსის მიუხედავად, ანსელმი ბოლომდე ინარჩუნებდა არტისტულობას. მისმა ქართველმა კოლეგებმა კი მომღერლის ვოკალურ კულტურას გაუსვეს ხაზი.

ქართული მხრიდან იტალიელებს პარტნიორობას იური ასლანიშვილი (სპოლეტა), გივი ფეიქრიშვილი (ჩეზარე ანჯელოტი), ვანო გალუაშვილი (მღვდელმსახური), მამუკა ტეფნაძე ("შარონე") უწევდნენ. სპექტაკლში მონაწილეობდა ბავშვთა გუნდიც. დადებითად აფასებდნენ ახალგაზრდა დირიჟორის – გიორგი ჟორდანიას გამოსვლას, რომელიც ბოლო დროს ძალზედ აქტიურ მოღვაწეობას ეწევა როგორც კამერული მუსიკის (ფაქტობრივად, მისი ხელმძღვანელობით გაიმართა წლევანდელი კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი "ხელოვნების ზეიმი"), ისე საოპერო ჟანრში.

მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, იტალიური საჩუქარი ქართველმა მსმენელმა მაინც დიდი სიამოვნებით მიიღო. ოპერა მთლიანად გაივსო მაყურებლით, უადგილო სტუდენტები კი ფეხზეც იდგნენ.

# ექსტრემიზმი-2003 ხელოვნებაში

წლის ბოლომდე ჯერ კიდევ ორ კვირაზე მეტი დარჩა, მაგრამ "ესოშიეიტიდ პრესი" უკვე ადგენს 2003-ის შედეგებს ხელოვნების სფეროში.

როგორც ირკვევა, ეს წელი ექსტრემალური მოგებების წელი იყო: ჰოლივუდურ კინოსალაროებში შესული ასტრონომიული თანხები, ღამის თევები "ჰარი პოტერის" ახალი წიგნის გრძელ რიგებში; მოდილიანისა და კლიმტის ნახატების რეკორდული მაჩვენებლებით დასრულებული აუქციონები.

თუმცა, იყო იმედის გაცრუებაც – "მატრიცამ" ის რევოლუცია ვერ მოახდინა, რომელსაც მესამე ფილმის სათაურიდანვე გვპირდებოდა, თავისი ახალი ჰიტი ვერც ბროდვეიმ შვა. ფინანსური კრიზისი დამუქრებია ოპერას და სიმფონიურ ორკესტრებსაც... ახლა კი, მოდით, უფრო თანმიმდევრულად გადავხედოთ ხელოვნების სფეროს და ვნახოთ, რა მოუტანა მსოფლიოს მნიშვნელოვან მუზეუმებს, სააუქციონო სახლებსა და ცეკვის კომპანიებს 2003 წელმა (თუმცა, ალბათ, წლის ბოლომდე ამ თემას განსხვავებული ვერსიებითა და ინტერპრეტაციებით კვლავაც მივუბრუნდებით).

ძვირადღირებული გამოფენები, მასშტაბური მოძრავი ექსპოზიციები – ეს ყველაფერი 2003 წელს არ კლებია. თუმცა, ხელოვნებაში წლის მოვლენა მაინც უფრო კრიმინალს უკავშირდება. იგულისხმება ერაყის ნაციონალური მუზეუმიდან ფასდაუდებელი ანტიკვარიატის დაკარგვის ისტორია.

როდესაც აშშ-ს სამხედრო ძალებმა ბაღდადი დატოვეს, დაცვის გარეშე დარჩა ნაციონალური მუზეუმიც, რის შედეგადაც შენობიდან 14 ათასამდე ფასდაუდებელი ნივთი გაიტანეს. მსოფლიო მასშტაბით გამოცხადებული განგაშის მიუხედავად, ჯერჯერობით, საგანძურიდან მხოლოდ 4 ათასი ექსპონატია აღმოჩენილი. ცხადია, ძიება კვლავაც გრძელდება.



რეკორდულად გაყიდული მოდილიანი

წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოფენად უნდა ჩავთვალოთ პარიზის ნაციონალურ გალერეაში მოწყობილი – "გოგენი ტაიტი", რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იგეგმებოდა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ლონდონში ვიქტორია და ალბერტის მუზეუმში არტ დეკოს უდიდეს გამოფენას. ასეთი გრანდიოზული პრეზენტაცია ხომ მანამდე არტ დეკოს ხელოვანებისთვის არავის მიუძღვნია.

წელს მადრიდის პრადოს მუზეუმი ტიციანის უდიდეს გამოფენას მასპინძლობდა მთელი 50 წლის განმვლობაში. ჰოლანდია კი ათასგვარი საინტერესო სანახაობით ვან გოგის დაბადების დღის 150 წლისთავს აღნიშნავდა.

ცხადია, თავის ევროპელ კოლეგებს არ ჩამორჩებოდა არც ნიუ იორკის ხელოვნების მეტროპოლიტან მუზეუმი და აურაცხელ სტუმარს ლეონარდოს, მანეს, ველასკესისა და ელ გრეკოს ნამუშევრების ექსპოზიციებით იზიდავდა.

მოდერნისტები და პოპ-არტის თაყვანისმცემლები კი წელს სულ სხვაგან, კერძოდ კი, ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმში იკრიბებოდნენ. იქ ჯერ მეთიუ ბარნის "კრემასტერს" უჩვენებდნენ, შემდეგ კი პოპ-არტის გენიად აღიარებულ ჯეიმს როზენკვისტის ნამუშევრებს სთავაზობდნენ სტუმრებს.

ხელოვნების მოყვარულთათვის მუზეუმებიდან წელს ბოლო გაჩერება, ალბათ, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი იყო. იქ 13 მაისის ჩათვლით "მატისი პიკასოს" გრანდიოზული რეტროსპექტივა მიმდინარეობდა. თურმე, ამ ღონისძიებას სულ 350 ათასი დამთვალიერებელი ჰყავდა.

სიცოცხლე დუღდა აუქციონებზეც. ნიუ იორკში "კრისტის" აუქციონზე 26.88 მილიონ დოლარად გაიყიდა მოდელიანის 1917 წლის ნამუშევარი "მწოლიარე შიშველი ქალი", კლიმტის, ასევე 1917 წლის The Villa at Attersee კი "სოტბიზე" – 29.1 მილიონ დოლარად გაჰყიდეს. საბოლოო ჯამში კი ორივე აუქციონმა წლის რეკორდები მოხსნა.

არც მოცეკვავეები უნდა დავივიწყოთ. წელს ხომ "ნიუ იორკის სიტი ბალეტმა" ბალანჩინის ასი წლის თავთან დაკავშირებით ორწლიანი საზეიმო პროგრამა გახსნა. მათ არც თანამედროვე ქორეოგრაფები ჩამორჩნენ. ცნობილმა ბალეტმაისტერმა მერს კენინგემმა დადგა წლის ყველაზე ორიგინალური სპექტაკლი და მისი გაფორმება ცნობილ როკ-ჯგუფს "რეიდიოჰედს" მიანდო. ამ წამოწყებას არაჩვეულებრივი რეცენზიები მოჰყვა. "რეიდიოჰედისა" და კანინგემის ბალეტის ტანდემი ფრიად წარმატებული გამოდგა.

აი, დაახლოებით, ასე გამოიყურებოდა წელს ხელოვნების სფერო. ცხადია, ამ მოკლე მიმოხილვაში ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას არ შევხებივართ. თუმცა, წლის ბოლომდე დრო კიდევ ბევრია. კულტურის სხვადასხვა სფეროებს თქვენთან ერთად კიდევ აუცილებლად დავუბრუნდებით.

# უცხო ქვეყნები, უცხო ადათები

მთელი მსოფლიო შობისთვის ემზადება. არაქრისტიანული ქვეყნებიც კი, მაგალითად, იაპონია, წინასადღესასწაულოდაა აღგზნებული. ქრისტეშობას ყველა ზეიმობს, ყველა – თავისებურად.

მაგალითად, **ბრაზილია** ავიღოთ. ცეცხლოვანი რითმების მხარეში მხოლოდ კარნავალი როდია თავბრუდამხვევი. ბრაზილიელები საშობაოდაც დიდ წვეულებებს მართავენ და თოვლის ბაბუასაც კი პატიჟებენ – მერე რა, რომ არ თოვს? საპატიო სტუმარი ყოველწლიურად ვერტმფრენით ეშვება ხოლმე რიოს სტადიონ მარაკანაზე, სადაც გრანდიოზული შოუ იმართება და ზეიმის ყოველ მონაწილეს უამრავი სასიამოვნო სიურპრიზი ელის.

ბრაზლიელები წამითაც არ ივიწყებენ მხიარულების მიზეზს: ყველა სკოლაში, ეკლესიაში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წარმოდგენები იმართება და მნახველები კვლავ და კვლავ უფლის მოვლინების მოწმენი ხდებიან. მართალია, ნაძვები რიოში არ ხარობს, სამაგიეროდ, პალმებია უხვად, და რა მნიშვნელობა აქვს, რა ხე იქნება – მთავარია, ზუსტად ისე მორთო, როგორც შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ეკადრება.

ისევე, როგორც ზამთარი,



რიოს ყველაზე ცნობილი ხედი - კორკოვადოს მთა

**შვედეთში** შობაც უსასრულოდ გრძელდება – შვედები ერთი თვის განმავლობაში ზეიმობენ, დეკემბრის შუა რიცვხებიდან იანვრის შუა რიცხვებამდე.

13 დეკემბერს ვიკინგების ჩამომავლები სიცილიელ წმინდანს, წმინდა ლუჩიას მიაგებენ პატივს: თქმულების თანახმად, მან მეოთხე საუკუნეში ქვეყანა შიმშილისგან იხსნა, და მადლიერი ხალხი ამას დღემდე არ უვიწყებს. სასწაულის აღსანიშნავად შვილებს მშობლებისთვის ლოგინში მიაქვთ საუზმე, და ამ დროს უფროსი ქალიშვილი თეთრ კაბაშია გამოწყობილი და თავზე ანთებული სანთლებით შემკული გვირგვინი ადგას.

13 იანვარს, წმინდა კნუტის დღეს კი წეს-ჩვეულებები ბევრად უფრო პროზაულად გამოიყურება – საშობაო ნაძვისხეს უბრალოდ ფანჯრიდან მოისვრიან ხოლმე.

ელფების, ფერიების და გრძელი ღამეების იდუმალებით მოცულ სამშობლოში, **ისლანდიაში**, საშობაოდ ყველა სახურავზე, ფანჯარასა და აივანზე უამრავი ნათურა ბრჭყვიალებს. 13 დღის განმავლობაში, ქრისტეშობამდე, სოფლებსა და ქალაქებში 13 ბოროტი ტროლი ეძებს თავშესაფარს. მართალია, საუკუნეების განმავლობაში მათ ზნე შეიცვალეს: დღეს უკვე ბავშვებისთვის საჩუქრებიც კი მოაქვთ, და მათი აღარავის ეშინია.

24 დეკემბერს, გარდაცვლილთა პატივსაცემად სასაფლაოებზე გასული ისლანდიელები მოუთმენლად ელიან, რომ საღამოს ექვს საათზე ეკლესიის ზარები მარხვის დამთავრებას აუწყებს. მაშინ იწყება საჩუქრების გადაცემა და საშობაო ნადიმი, სუნელებიანი ნამცხვრების ჭამა და ჯანჯაფილის არყის სმა...

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, **ფილიპინებზე**, მრავალი ქრისტიანი ცხოვრობს. შესაბამისად, კუნძულებზე შობას განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღნიშნავენ. იესო ქრისტეს დაბადებას იქ Happy Birthday-ს მელოდაზე უმღერიან – "მალიგაიან პასკო!" - "ბედნიერ შობას გისურვებთ!" ამერიკელმა კოლონიალისტებმა კუნძულებზე უამრავი ადათი დატოვეს, და დღევანდელი ფილიპინური შობა ესპანური, ამერიკული და ადგილობრივი ტრადიციების ნარევია.

დღესასწაული 16 დეკემბერს, საზეიმო წირვა-ლოცვით იწყება. საერთოდ, ფილიპინელთათვის შობა მართლა რელიგიური დღესასწაულია, და არა ვაჭრობისთვის ყველაზე ხელსაყრელი დრო. ქუჩებში მწყემსები დადიან – ძე ღვთისასთან მიეჩქარებათ, და ყველა კუთხეში მდგომი მომღერლები უფალს ადიდებენ.

ძველისძველ ტრადიციებს ანც **ინდოეთში** მცხოვრები ქრისტიანები ღალატობენ. წმინდა ღამეს ყველა ოჯახში სანთლები ინთება, ოჯახის უფროსი სახარებას კითხულობს, ხოლო ტაძრებში წირვა-ლოცვა შუაღამემდე გრძელდება. ინდოელ ქრისტიანებს სწამთ, რომ თუ ამ ღამეს ეკლებს დაწვავენ, მათ ოჯახს ბედნიერება არ მოაკლდება.

საშობაო ნაძვისხის ამბავი აქაც ფრიად სახალისოა – ინდოელები მანგოს ხეებს ან პალმებს რთავენ, და ხვავის და ბარაქის მოსატანად შობის დილას ოჯახში ლიმონი შეაქვთ ხოლმე.

ამბები

## ტრავოლტა ვარსკვლავებთან გაემგზავრება



სკანდალური ბრიტანული გაზეთი "სანი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ მსახიობ ჯონ ტრავოლტას ისეთი წინადადება შესთავაზეს, რაზეც უარს ვერ ამბობს. პუბლიკაციას ცნობილი მსახიობიც გამოეხმაურა. ტრავოლტას თქმით, ამერიკული კოსმოსური სააგენტო "ნასა" მას სთავაზობს კოსმოსში გაფრენას. "მე ნამდვილად დამპატიჟეს კოსმოსში. დამირეკეს "ნასადან" და შემომთავაზეს გაფრენაში მონაწილეობის მიღება. საშინლად მიყვარს კოსმოსი და ყველანაირი ფრენა, ამიტომაც სიხარულით დავთანხმდები", - ამბობს მსახიობი. ერთადერთი პრობლემა, რის გამოც, შესაძლოა, ჩაიშალოს ტრავოლტას გეგმები, ეს დროის დეფიციტია.

"თუკი ვიპოვი ჩემს გრაფიკში თავისუფალ 5 თვეს იმისათვის, რომ მოვემზადო, მაშინ აუცილებლად გავფრინდები. ფულსაც კი არ ავიღებ ამაში", - აღიარებს ტრავოლტა.

როგორც ცნობილია, ჯონ ტრავოლტა ფრენის მოყვარულია და მისი გატაცება სხვადასხვა ფორმით ვლინდება. თუნდაც ფილმებში, სადაც მთავარი გმირები ოცნებობენ მფრინაობაზე, რასაც 16 წლის ასაკში იწყებენ კიდეც. რაც შეეხება რეალურ ცხოვრებას, ტრავოლტამ თვითმფრინავის მართვის ლიცენზია 1981 წელს აიღო და მას შემდეგ დღემდე, ხუთი ათასზე მეტი საათი აქვს ნაფრენი. მსახიობმა საკუთარ ვაჟიშვილს ჯეტიც (რაც თარგმანით ნიშნავს რეაქტიულს) კი დაარქვა; ტრავოლტას მეორე სურვილს, გოგონასათვის დაერქმია კანტასი (ამავე სახელოწდების ავსტრალიური ავიაკომპანიის პატივსაცემად), მეუღლე კელი პრესტონი შეეწინააღმდეგა.

უკანასკნელ დროს, ტრავოლტა არამხოლოდ ფილმების, რეალური ცხოვრების მთავარი გმირიც გახდა. ამას წინათ მსახიობმა სტუდენტები გადაარჩინა. ტრავოლტა ნიუ იორკის ერთ-ერთ კოლეჯში, სამსახიობო ოსტატობაზე ლექციის წასაკითხად მიდიოდა, როდესაც აუდიტორიასთან ყვირილი მოესმა. როგორც აღმოჩნდა, ლიფტში 26 სტუდენტი იყო გაჭედილი. მსახიობს შეეძლო გამოეძახა დამხმარე, მაგრამ მან მარტომ მოინდომა პრობლემის გადაწყვეტა; თავად გახსნა ლიფტის კარები და უთხრა ლიფტში მყოფთ: "მშვიდად ბავშვებო, ჯონ ტრავოლტა ვარ. ყველაფერი წესრიგშია", - და ასე გაათავისუფლა სტუდენტები. ამ ზაფხულს კი საკუთარი ბოინგი 707-ით საჰაერო ტრანსპორტის პროპაგანდის მიზნით, მსოფლიოს შვიდ ქვეყანას შემოუფრინა.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა მუსიკოსებთან, მათაც მიიღონ მონაწილეობა დისკის ჩაწერაში. ამ მუსიკოსებს შორის არიან: სტინგი, ჯონ ლი ჰუკერი და ჩაკა ჰანი.

ეს ნაკრები ჰენდრიქსისადმი მიძღვნილი პირველი ალბომი არ არის. ათი წლის წინათ გამოიცა დისკი Stoned Free, რომლის ჩაწერაშიც მონაწილეობდნენ: ჯგუფები Soundgarden, The Cure, ერიკ კლეპტონი, ბადი გაი და სილი.

## ჯაზი იამაიკაზე

22-25 იანვარს იამაიკაზე, მონტეგო ბეიში ჯაზის მოყვარულთათვის არნახული სანახაობა იგეგმება – იამაიკის ჯაზის ფესტივალი. წინასწარი ცნობით, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს კენი როჯერსიც. ის მსმენელის წინაშე ჯონი კეშისადმი მიძღვნილ საღამოს წარდგება. ეს მუსიკოსი მონტეგო ბეიში ყველას განსაკუთრებულად უყვარდა, კეშს იქ სახლი ჰქონდა და იამაიკას ხშირად სტუმრობდა.

რაც შეეხება, ფესტივალის დანარჩენ მონაწილეებს, კეშისადმი მიძღვნილ საღამოზე ჯაზ-პიანისტი მონტი ალექსანდერი და რიტმ-ენ-ბლუზის ვარსკვლავი ბობი ვომაკიც გამოვლენ. დანარჩენ საღამოებს კი ინდი ერი, ნენსი ვილსონი, კასანდრა ვილსონი და სხვები გაახალისებენ.

## ბოვი გამოჯანმრთელდა



REUTERS

ერთკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ, შაბათს დევიდ ბოვი, როგორც იქნა, მსმენელის წინაშე წარსდგა. ჩრდილო ამერიკული კონცერტების სერიიდან პირველი შოუ მან მონრეალში გამართა, რისთვისაც 800 დამატებითი ბილეთი პარასკევს გაიყიდა. მომღერალსა და მის ახალ ალბომს Reality-ს მსმენელი დიდი ოვაციებით შეხვდა. ბოვის სულაც არ ეტყობოდა, რომ კონცერტზე პირდაპირ საწოლი ოთახიდან იყო მისული. ასე რომ, ტურნემ სტარტი წარმატებით აიღო და დღეს ის უკვე ნიუ იორკში გაგრძელდება. თუმცა, მანამდე იმედგაცრუებული დარჩნენ ბოვის ტორონტოელი თაყვანისმცემლები. კონცერტები გადაიდო ატლანტიკ სიტიში, ნიუ ჯერსისა და ვაშინგტონშიც. ბოვი ვერც ბოსტონსა და ფილადელფიაში ჩავიდა, რადგან წოლითი რეჟიმი ჰქონდა გამოწერილი. შეგახსენებთ, რომ ეს რვაწლიანი ინტერვალის შემდეგ, ბოუის პირველი ჩრდილო ამერიკული საკონცერტო სერიალია.

ფეხბურთი

# ვისთვის არის ეს სასარგებლო?

დიდი ხანია, ქართულ ფეხბურთში კრიზისმა დაისადგურა. 20 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დასრულდა ჩვენი ფეხბურთის წარმატებათა ყველაზე დიადი ხუთწლედი – 1976-1981 წლები. ქართული ფეხბურთის ჭაობიდან ამოყვანას საერთო ძალისხმევა სჭირდება, მათ შორის თანადგომა სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ... უკვე სათვალავი აგვერია, ბოლო ორ ათწლეულში რამდენი ხელისუფლება გამოვიცვალეთ და ქართული ფეხბურთისთვის მათგან გაკეთებულ სასიკეთო საქმეს ძნელად თუ ვინმე გაიხსენებს, ხელის შეშლის მაგალითების მოტანა კი უხვად შეიძლება.

ფეხბურთი განუყოფელია საზოგადოებისგან. ჩვენს ყოფაში არსებული მანკიერი მხარეები ქართული ფეხბურთის დღევანდელობაზე პირდაპირ აისახება. რამდენად დაამჩნია კვალი ასეთმა რეალობამ ქართული ფეხბურთის გახმაურებულ სკანდალს, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას დაპატიმრებით დამთავრდა (თუ დაიწყო)?

ქართული ფეხბურთის ორ უმთავრეს პრობლემად უფულობა და ფული მიგვაჩნია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: ერთი მხრივ, უსახსრობა, რომელიც აუცილებლისა და გადაუდებლის მოგვარების საშუალებას არ იძლევა და, მეორე მხრივ, ბინძური ფული, რომლის შოვნას ახერხებენ ჩვენი ფეხბურთის მღვრიე წყალში მოთევზავე სუბიექტები.

უფულობაზე ყველა ხმამაღლა ჩივის. სახსრები ფეხბურთს ყველა დონეზე სტკივა: უჭირს ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთს, კლუბების უმეტეს ნაწილს, შინაურ ჩემპიონატს. იშვიათია ხარისხიანი საფარის მოედნები, მწირია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ. თუმცა, სულ არაფერი გაკეთებულაო, რომ ვთქვათ, არ ვიქნებით მართალი. სასიკეთო ძვრები შეინიშნება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია და, რაც მთავარია, ეროვნული ნაკრების შედეგებზე სასიკეთოდ არ ასახულა. ბევრად მეტია საჭირო, მეტის გაკეთებას კი ბევრად მეტი ფული სჭირდება, რომელიც...

რომელიც ბუნებაში არის, მაგრამ ამ წყაროს სათავეებთან ისეთი მადის გველეშაპები სხედან, რომ მათზე საუბარს ყველა ერიდება, მათთან საქმის დაჭერა სიცოცხლისთვის საშიშია და ამის მრავალი მაგალითი გვინახავს. გავიხსენოთ ის კრიმინალური ამბები, რომელთა გამო ბევრმა საერთოდ ამოიკვეთა ფეხი საქართველოდან, ის ფეხი, რომელშიც ტყვიაც დაუმიზნებიათ...

სად იყვნენ ამ დროს სამართალდამცავები, იკითხავს უნუგეშო მკითხველი. სამწუხარო რეალობა ის გახლავთ, რომ საფეხბურთო კრიმინალში ისინი უფრო ხშირად სამართალდამრღვევებად ფიგურირებენ.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის 7 დეკემბერს გამართული კენჭისყრის შემდეგ ფრანკფურტიდან დაბრუნებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია 12 დეკემბერს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს და იმავე ღამეს, როცა შუაღამეს ნახევარი საათი გადაცდა, მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

ეს ხდება ზუსტად იმ დროს, როცა ქართული ფეხბურთის ახალი ათვლის წერტილი იწყება: საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროპული მასშტაბის უცხოელი მწვრთნელი უნდა ჩაუდგეს სათავეში, რომელთან მოლაპარაკებებიც უშუალოდ ფედერაციის პრეზიდენტის კომპეტენციაშია და პირადი კონტაქტების გამოყენებით ის წარმართავს. იმის ნაცვლად, რომ მოლაპარაკების მაგიდას მისჯდომოდა, მერაბ ჟორდანია დღეს შსს-ს მეხუთე იზოლატორშია.

ამბავი მთელ საფეხბურთო სამყაროში გახმაურდა და ჩვენი ფეხბურთის იმიჯს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ფიფა და უეფა შეწუხებული არიან საქართველოდან მისული ინფორმაციით და ქართული მხარისგან უფრო ვრცელ ახსნა-განმარტებას მოელიან. ღმერთმა ნუ ქნას და, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ფიფა-უეფას საერთაშორისო დახმარების პროგრამები.

ვისთვის არის ეს სასარგებლო, ვის აწყობს ეს ყველაფერი?

საქართველოში კანონები საყოველთაოა, მხოლოდ... გამონაკლისებია განსხვავებული.

კანონის წინაშე რომ ყველა თანასწორია, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. გამოძიებას, რომელიც თითქმის რვა წლის წინ (!) დაიწყო, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს დასაზუსტებელი. შემდეგ კი სასამართლომ უნდა გაარკვიოს მერაბ ჟორდანიას ბრალეულობა. მათ საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს, აზრის გამოთქმა კი ყველას შეუძლია და სწორედ ამ უფლებით გვინდა ვისარგებლოთ.

იმ ფაქტს, რომ 1996-1998 წლებში განხორციელებული ტრანსფერიდან ბიუჯეტს თბილისის "დინამოს" მხრიდან თანხა ერგება, მერაბ ჟორდანიაც ადასტურებს. "24 საათის" შაბათის ნომერში გამოქვეყნებულ ჟორდანიას სიტყვებს გავიმეორებ: "1998 წელს განხორციელებული ტრანსფერიდან, მართლაც, უნდა გადაგვეხადა 750 ათასი ლარი, მაგრამ ასე რომ გაგვეკეთებინა, "დინამო" ბანკროტად გამოცხადდებოდა და კლუბი არსებობას შეწყვეტდა. კლუბის ხელმძღვანელობამ არჩია, რომ ის თანხები "დინამოს" მოხმარებოდა, რითაც ამ გუნდის არსებობა შენარჩუნდა. რაც შეეხება გადასახადებს, კლუბის ხელმძღვანელობა მის გადახდას მოგვიანებით გეგმავდა, რისთვისაც საგადასახადო სამსახურთან ერთად გადახდების გრაფიკის შედგენას აპირებდა. ჩემს შემდეგ "დინამოს" პრეზიდენტის პოსტზე დანიშნულმა მერაბ რატიანმა დავალიანების გადახდა ვერ მოასწრო, მას პრაქტიკულად წაართვეს კლუბი და ეს რა გზითაც არ უნდა მომხდარიყო, ყველა ცივილიზებული ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) კანონმდებლობის შესაბამისადაც, კლუბის ახალი მფლობელი მისი სრულფასოვანი სამართალმემკვიდრე უნდა იყოს და ძველი ვალებიც მისი გასასტუმრებელია."

2000 წელი არცთუ ისე შორსაა ჩვენგან და, ალბათ, მკითხველს ემახსოვრება შინაგან საქმეთა სამინისტროს "რკინის კაცის" საგანგებო ოპერაცია, რომლის შემდეგ საფეხბურთო კლუბი "დინამო" მის მეპატრონეებს დაჭერითა და ციხიდან არგამოშვების მუქარით წაართვეს და ოფშორულ ზონაში მოქმედ, გაურკვეველი წარმოშობის უცხოურ ფირმას ჩაახუტეს, ვისგანაც იგი დღევანდელმა მეპატრონემ შეიძინა.

ქართულ ფეხბურთს ბევრი რამ აქვს საპრეტენზიო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტი თბილისის "დინამოს" ექვსი წლის წინ კახი კალაძის კიევის "დინამოში" ტრანსფერიდან მიღებული 300 ათასი დოლარიდან გადასახადებს ედავება. უკვე მესამე წელია, რაც კახი კალაძის ძმა გატაცებულია და მის მოძებნას უკვე მესამე მინისტრი შეუდგება... ამ ფაქტმა ჩვენს ფეხბურთს ისეთი ჩრდილი მიაყენა, რომ იქნებ უპრიანია, ფეხბურთის ფედერაციამ არა მარტო მორალური ზარალისთვის შსს-ს ათჯერ უფრო დიდ თანხაზე წაუყენოს სარჩელი.

ეს ის შინაგან საქმეთა სამინისტროა, რომელიც მეორე წელია, უშედეგოდ ეძებს ქართული ფეხბურთის გამორჩეული ფიგურის კახი ასათიანის მკვლელებს და მკვლელობის დამკვეთებს. ვითომც არაფერი მომხდარა... არადა, ქვეყანაში გამეფებულ ძალადობასა და განუკითხაობას შეეწირა ისეთი პიროვნება, რომელიც ნორმალურ ქვეყანას სავიზიტო ბარათად უნდა ჰყოლოდა და მისით ეამაყა. უსამართლო სამართლის ქვეყანაში კრიმინალურმა სიბნელემ ყველაფერი გადაფარა.



ვის წისქვილზე ასხამს წყალს ჟორდანიას დაპატიმრება?

ეს ისევ ის შინაგან საქმეთა სამინისტროა, ათიოდე ახალი ხელმძღვანელის გამოკლებით, რომელთა მოსვლას ახალი მინისტრის გიორგი ბარამიძის თავკაცობით ასეთი დიდი იმედით შეხვდა საზოგადოება. არადა, უწყება ისევ გაძეძგილია იმ უკადრებლის მკადრებელი კადრებით, რომლებიც ახლა იმის ცდაში არიან, ახალ ხელისუფლებას მიეტმასნონ, თავისი საჭიროობა და შეუცვლელობა დაუმტკიცონ. მათი ფიცი-მტკიცი ზოგჯერ ისეთ ფარსში გადაიზრდება, როგორიცაა ჟორდანიას სკანდალური დაკავება. ნუთუ ამ რვა წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქმე აღიძრა, სხვა ფორმა, სხვა დრო და საშუალება არ მოიძებნა მერაბ ჟორდანიას დასაკავებლად, თუ იგი, საქმის შინაარსიდან გამომდინარე, მართლაც, იმსახურებდა დაკავებას? ამ წლების განმავლობაში იგი, სულ ცოტა, ასჯერ მაინც იქნება საზღვარგარეთ წასული და უკან დაბრუნებული, მრავალჯერ ნამყოფი შსს-ში ჩვენების მისაცემად. ორჯერ წარდგა სასამართლოს წინაშე და სასამართლომ წაყენებული ბრალდებები მოუხსნა.

მერაბ ჟორდანია არ არის პოლიტიკური ფიგურა. იგი არც სახელმწიფოს გაპარტახებულ ბეღელში შემძვრალი ჩინოვნიკია, არც "რკინის მინისტრია" და არც ოქროს ზოდების მოყვარული გუბერნატორი. იგი იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტია, რომლის ხელმძღვანელ ფიფას ოცი ქვეყნით მეტი წევრი ჰყავს, ვიდრე გაეროს. თუ მავანი ფიქრობდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანტიკორუფციული შეტევის პირველი სამიზნე ობიექტი იყო, ნამდვილად შეცდა. საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაუცუდდა მოლოდინი იმისა, რომ, მართლაც, ღლავებს – ბიუჯეტისა და ქვეყნის დამაქცევარ მაღალჩინოსნებს მოსთხოვდნენ პასუხს. სამაგიეროდ, ჟორდანიას მაგალითზე, თიმსალ-მაკოს ტიპის რევანშისტ მოპოლიტიკო ელემენტებს საბაბი მიეცათ, სამი კვირის მოსული ხელისუფლება კუდიანებზე ნადირობაში "ამხილონ". ვის სჭირდება, ვის წისქვილზე ასხამს ეს წყალს?

2000 წელს, როცა "რკინის კაცმა" "დინამოს" მეპატრონეებს ფული წაართვა და ოფშორში მის მიერ აღმოჩენილ "მოამაგეებს" ჩაახუტა, ერთ ინტერვიუში აღტაცებით განგვიცხადა: "ერთი მილიონი დოლარი გადაიხადეს, კაცო, გესმის? ნაღდი ფული, ერთი მილიონი დოლარი!"

ძალიან საინტერესო დამთხვევაა ისიც, რომ 2001 წლის 2 მარტს მოსამართლე, რომლის გადაწყვეტილებითაც კახა თარგამაძემ "დინამო" თავისად დაიგულა, გახლდათ იგივე მამუკა სონღულაშვილი, რომელმაც 12 დეკემბერს, შუაღამისას, ფრიად უცნაური ვადა დაუთქვა გირაოს სახით 250 ათასი ლარის მოსატანად: დილის 8 საათამდე (!) სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ეს თანხა უნდა ჩაირიცხოსო. დაახლოებით ისეა, როგორც ჩვენი ბავშვობის ზღაპრებში, როცა მთავარი გმირისგან პრაქტიკულად შეუსრულებელ ვადაში შეუძლებლის გაკეთებას ითხოვდნენ. სონღულაშვილის ვერდიქტისგან განსხვავებით, ზღაპრებს კეთილი ბოლო აქვთ. იმედს ვიტოვებთ, რომ, სონღულაშვილისგან განსხვავებით, საქმეს ობიექტურად მიუდგებიან საოლქო სასამართლოში, რომელიც ადრე "რკინის კაცის" დაკრულზე ცეკვავდა, ახლა კი თავის "შეუვალობას" ახალ ხელისუფლებას უმტკიცებს.

შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი განუგრავას განცხადებით, "ადამიანის დაკავება უკიდურესი ღონისძიებაა და არავის ეხალისება, მით უმეტეს, საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნების". თუ ასეა, მაშინ გვინდა, შევეკითხოთ ბატონ განუგრავას: რომელი რეციდივისტი, ქილერი თუ მანიაკი, საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად საშიში პიროვნება ნახეთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სახით? მის მიმართ მიყენებული მუხლით განსაზღვრული სასჯელის ზომა ხომ სულაც ჯარიმით იწყება!

საზოგადოების დიდ ნაწილს კარგად ახსოვს, თუ რამდენი ხაზინის ქურდი, მკვლელი და ავაზაკი გამოუშვიათ თავდებით, გაუსვლელობის ხელწერილით. ისიც ახსოვთ, რომ მილიონიანი თანხის დატაცების საქმეებზე (მაგალითად, "კვარციტის", "აი-ეს-თელასის") გირაოს თანხა ხუთჯერ და ათჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ჟორდანიას შემთხვევაში. შემთხვევით კი, ალბათ, არაფერი ხდება.

მაშ, სამართალი? – იკითხავს მკითხველი. სამართალი ჯერ ისევ თამაშგარე მდგომარეობაშია. ვისთვის არის ეს სასარგებლო?

**დათო ყიფიანის სახელობის საერთაშორისო ფონდი**

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა განაცხადა, რომ აპირებს, გუნდში ბუნდესლიგის უკანასკნელი წლების საუკეთესო ბომბარდირი, ბრაზილიელი აილტონი მიიწვიოს. ფიოლერი ფეხბურთელს დიდი ხანია, აკვირდება და მოხიბლულია მისი საგოლე ალღოთი. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებში თამაშის არავითარი შანსი არა აქვს, მზადყოფნა გამოთქვა ბუნდესნაკრებში თამაშზე. თუმცა, ასეთი იდეა ფიოლერმა უარყო. "ის ბრაზილიელია", - განაცხადა გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ სიტიში" ფრანგი ნიკოლა ანელკას დღეები, ალბათ, დათვლილია - ერთ-ერთ ვარჯიშზე მან ხელი გაარტყა თავის პარტნიორ სტივენ ჯორდანს. ორმხრივი თამაშის დროს ჯორდანი ანელკას ფეხებში ჩაუვარდა. ანელკას ეს არ მოეწონა და 21 წლის ფეხბურთელს ხელი გაარტყა, თუმცა, მერე თანაგუნდელებმა გააშველეს. ანელკა თავისი აგრესიული ხასიათით ჯერ კიდევ ლონდონის "არსენალსა" და მადრიდის "რეალში" თამაშის დროს გამოირჩეოდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საფრანგეთში გადაიდო მე-18 ტურის მატჩი "მონპელიესა" და "ოლიმპიკს" შორის. ამის მიზეზი მინდვრის უხარისხო მდგომარეობა იყო. ფეხბურთელებმა უარი თქვეს, მოუწესრიგებელ მინდორზე ეთამაშათ. როდის გაიმართება მატჩი, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსმა" კონტრაქტი გაუგრძელა ნახევარმცველ მაურო კამორანეზის, წარმოშობით არგენტინელს, რომელმაც იტალიური წარმომავლობის გამო "სკუადრა აძურაში" თამაშის უფლება მოიპოვა. ახალი შეთანხმება 2007 წლამდე იქნება ძალაში. შეგახსენებთ, რომ კამორანეზიმ შარშანდელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, რისთვისაც იტალიის ნაკრებიდან მიწვევა მიიღო. თუმცა, მიმდინარე სეზონში ფეხბურთელს იმდენად შესამჩნევი ჩავარდნა ჰქონდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ კამორანეზისთან სპეციალური საუბარიც კი გამართა. ახლა "იუვეს" ბოსებს მოუწევთ, ახალი კონტრაქტები გაუფორმონ დავიდ ტრეზეგეს, ჯანლუკა ძამბროტასა და ალესანდრო ბირინდელის.

■ ■ ■

